საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №270 (2643) ხუთშაბათი, 30 ოქტომბერი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

პარლამენტი

არის პირველი ომბუცმენი, არ არის ქვორუმი

საქართველოს პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტმა მეორე მოსმენით სამი კანონპროექტი წარმოადგინა. „საქართველოს შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ და „იმპიჩმენტის შესახებ“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იმპიჩმენტი ხელისუფლების დანაწილებისა და ურთიერთშეწონასწორების პრინციპის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი ელემენტია. ამ მექანიზმის არსებობა ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის თანაარსებობის ჰარმონიზაციას უწყობს ხელს და განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით. კანონპროექტში შეძლებისდაგვარად ზუსტად არის მითითებული დეტალური საპროცედურო ვადები, რათა მკაფიოდ განისაზღვროს იმპიჩმენტის განხორციელების კონკრეტული მექანიზმები.

მესამე მოსმენით განიხილეს საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსა და პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი „საქართველოს შრომის კანონთა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომელიც ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მეორე მოსმენით დეპუტატებს შესთავაზეს საქართველოს საბაჟო კოდექსი და პირველი მოსმენით კანონპროექტი „საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

კანონპროექტი „სტატისტიკის შესახებ“ მეორე მოსმენით წარმოადგინა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა და ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტმა.

იხ. მე-4 გვ.

ვიზიტი

„ჩვენ წილად გვხვდა უდიდესი პასუხისმგებლობა გავდოთ ხიდები, რომლებიც სრული ძალით ამოქმედდება უკვე მომავალი საუკუნის დამდეგამდე“

უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას შეხვდა.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

დამთავრდა უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას ოფიციალური ვიზიტი საქართველოში

გვირგვინით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი

საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ 29 ოქტომბერს დილით გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი ვაკის პარკში.

შესრულდა უკრაინისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები. ლეონიდ კუჩმამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო დაღუპულ მეომართა ხსოვნას.

გვირგვინით შემკობის ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, თბილისის მერი ბადრი შოშიტაიშვილი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. უკრაინის ოფიციალური დელეგაციის წევრები.

შეხვედრა პარლამენტში

უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა 29 ოქტომბერს შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას, რომელმაც კმაყოფილებით აღნიშნა საქართველოსა და უკრაინას შორის ჩამოყალიბებული გულთბილი ურთიერთობა და გამოთქვა იმედი, რომ სამომავლოდ ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა უფრო გააქტიურდება.

უკრაინის პრეზიდენტმა მიმოიხილა თავის ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები. როგორც მან აღნიშნა, უკრაინაში ორმოცდაათამდე პარტია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება არსებობს. მაგრამ მათი უმრავლესობა პოლიტიკური იდეოლოგიის თვალსაზრისით იდენტურია. უკრაინის პარლამენტში უმრავლესობა მემარცხენე ორიენტაციისაა და ეს რეფორმატორულად განწყობილ აღმასრულებელ ხელისუფლებას საკმაოდ ბევრ პრობლემას უქმნის. პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ ქართველ პარლამენტარებს უკრაინელი კოლეგების რამდენიმე, მისივე შეფასებით, პოპულისტურ და არარეალურ გადაწყვეტილებაზე მოუთხრო.

როგორც საპატიო სტუმარმა აღნიშნა, 1998 წლის მარტის დამლევს უკრაინაში გაიმართება ახალი პარლამენტის არჩევნები, რომლის შედეგებიც, პრეზიდენტის შეფასებით, დიდად განაპირობებს ქვეყნის მომავალს. ჯერჯერობით კი საქართველოში აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის ჩამოყალიბებული კონსტრუქციული ურთიერთობის პრაქტიკა უკრაინის პრეზიდენტის შეფასებით სამაგალითოა.

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში.

როგორც ვიუწყებოდით, გუშინ გამართულ დარბაზობაზე ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს. გთავაზობთ ამ სადღეგრძელოებს

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა

ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო მეგობარო ლეონიდ დანილის ძევ!

პატივცემულო ლუდმილა ნიკოლოზის ასულო!

ძვირფასო უკრაინელო სტუმრებო!

კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება საქართველოში. იგი მუდამ სტუმართმოყვარედ უხსნის გულს ძვირფას და სასურველ სტუმრებს, ხოლო ისეთი ახლობელი მეგობრებისათვის, როგორც თქვენ ბრძანდებით, მზად არის ყველაფერი გაიღოს, რაც კი მას აქვს. იქნებ ეს ძალიან ხმამაღლა იყოს ნათქვამი დღეს, როცა ჩემი ქვეყანა ეს-ეს არის წელში იმართება, მაგრამ საიმედო და ერთგული მეგობრის ხელის იმედი შეგიძლიათ იქონიოთ დღესაც და მომავალშიც.

ერთი თვეც კი არ გასულა, რაც ჩვენ, ლეონიდ დანილის ძევ, ბოლოს შევხვდით სტრასბურგში. სულ რამდენიმე თვის წინათ გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო ვიზიტი უკრაინაში. იქნებ, საჭირო არც კი იყოს ესოდენ ხშირი უმაღლესი დონის შეხვედრები, რომ არა, ჯერ ერთი,

იხ. მე-2 გვ.

უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას გამოსვლა

დიდად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

პატივცემულო ნანული რაჟდენის ასულო!

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

მინდა მადლობა მოვახსენო პრეზიდენტს ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეს საქართველოს მადლიან მიწაზე მოწვევისათვის, უკრაინელი ხალხის მიმართ გულთბილი სიტყვებისა და სურვილებისათვის.

უკრაინის დელეგაცია გულწრფელ მადლობას გიძღვნით ტრადიციული ქართული მასპინძლობისათვის, რომელსაც პირველი წუთებიდანვე ვგრძნობთ.

მჭიდრო მეგობრობა და ურთიერთნდობა საიმედოდ აკავშირებთ ჩვენს ხალხებს უკვე არაერთი საუკუნეა.

უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობას დიდი ისტორია და მდიდარი ტრადიციები აქვს. გავიხსენოთ უძველესი „აბრეშუმის გზა“, რომლის აღორძინებაც დღეს აქტიურად მიმდინარეობს. გზა კიევის რუსეთიდან ინდოეთისაკენ კავკასიის წმიდათაწმიდა მიწაზე გადიოდა. ეს გახდა კულტურით, წეს-ჩვეულებებითა და ტრადიციებით ერთმანეთის გამდიდრების კარგი საფუძველი.

ერთმანეთს ეხმიანება ქართველ ხელოვანთა კედლის ფერწერა და კიევის პეჩორის ლავრის ფრესკები, ტარას შევჩენკოსა და ილია ჭავჭავაძის, ლესია უკრაინკასა და დავით გურამიშვილის, ოლეს გონჩარისა და სიმონ ჩიქოვანის შემოქმედება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა ხალხებმა ერთმანეთისადმი სიმპათიისა და პატივისცემის გრძნობები, კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესი საუკუნეთა მანძილზე შეინარჩუნეს და გაუძლეს მძიმე განსაცდელს, რომელიც წილად ხვდა მათ.

როგორც მშობლიური შარისათვის, ისე აღიმაღლა ხმა ქართველი ხალხის დასაცავად დიდმა კობზარმა.

იხ. მე-2 გვ.

კულუარები

ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა პრეზიდენტმა კუჩმამ დილის საუზმეზე მიგვიპატიჟა

ქართველი ჟურნალისტები უკრაინის პრეზიდენტს შეხვდნენ

უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას საქართველოში ოფიციალური ვიზიტის მეორე დღე კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში ჟურნალისტებთან სამუშაო საუზმით დაიწყო.

თავისთავად ამ უპრეცედენტო ფაქტით ხაზი გაესვა ორ გარემოებას: პირველი, პრეზიდენტ კუჩმას დამოკიდებულებას მასმედიისადმი, იმას, რომ ჟურნალისტებთან შეხვედრა მისი შინაგანი მოთხოვნილებაა, რადგან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პრესის როლს ქვეყნის სახელმწიფოებრივ მშენებლობაში; და, მეორე, – პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ უნიკალურ სიტუაციაში უშუალოდ ესაუბრათ უკრაინის სახელმწიფოს მეთაურთან იმ პრობლემებზე, რომლებიც პოსტტოტალიტარულ სივრცეში დგას ახალი დემოკრატიის ქვეყნებს შორის, თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, – ნატოსთან, ევროკავშირთან, საფინანსო-ეკონომიკურ გაერთიანებებთან მათს ურთიერთობაში.

საუბარი უაღრესად კორექტულ, თავისუფალ და გულახდილ ვითარებაში წარიმართა და იმდენად საინტერესო გამოდგა, რომ პროგრამით გათვალისწინებულ დროში ვერ ჩაეტია, რის გამოც, პრეზიდენტის თქმით, „პროტოკოლის“ განაწყენების მიზეზი გახდა.

იხ. მე-3 გვ.

ინფორმაცია

ავადმყოფობა ბევრია. ჯანმრთელობა – ერთი

ოზურგეთის რაიონის ბავშვთა საავადმყოფო მალე შეიცვლის სტატუსს. იგი ბავშვთა სამკურნალო ცენტრი გახდება და რეგიონულ დატვირთვას მიიღებს, – განუცხადა „მოამბე-ექსპრესის“ კორესპონდენტს საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა დავით მდინარაძემ. ცენტრი თანამედროვე სამკურნალო აპარატურით აღიჭურვება, რომელსაც ამ დღეებში მათ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გადასცემს.

დაპურდა. გახდა ყანაო

მიმდინარე წელს მარცვლეულის წარმოება ჩვენს ქვეყანაში 800.000 ტონას მიაღწევს, რაც საქართველოს ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელია.

წლეულს წარმოებულია 350.000 ტონა თავთავიანი მარცვლეული, რომელთა შორის 300.000 ტონა ხორბალია.

სამარცვლე სიმინდი დათესილია 220 ჰექტარზე, საიდანაც მოსალოდნელია 450.000 ტონამდე მარცვლის წარმოება.

ბანკი ზარალს აანაზღაურებს

„თბილკრედიტბანკი“ წლეულს ფილიალის გახსნას აპირებს ფოთში. ამისთვის უკვე შერჩეულია პერსონალის ნაწილი და შეძენილია შენობა ნავსადგურის ტერიტორიაზე.

ეს იქნება „თბილკრედიტბანკის“ მეშვიდე ფილიალი. ადრე გაიხსნა და წარმატებით მოქმედებს ფილიალები თელავში, რუსთავში, წყალტუბოში და სხვაგან.

რაც შეეხება „თბილკრედიტბანკის“ ქუთაისის ფილიალს, სადაც, როგორც ცნობილია, მმართველმა და მისმა მოადგილემ კლიენტთა ანაბრები გაფლანგეს, „თბილკრედიტბანკის“ მმართველობა მხოლოდ პროკურატურისათვის მასალების გადაცემით არ შემოიფარგლა და რეპუტაციის აღდგენის მიზნით გადაწყვიტა თავისი მოგების ნაწილი დაზარალებულ მეანაბრეთა თანხების დასაფარავად გამოიყენოს.

ახალი ციკლი

უახლოეს ხანში ქვეყნის ტელემაყურებლებს საშუალება მიეცემათ დაესწრონ კონსტიტუციურ სასამართლოში ყველაზე საინტერესო პროცესებს. საქართველოს ტელევიზიის გადაცემებით მოსახლეობა გაეცნობა კონსტიტუციური კონტროლის სახელმწიფო ორგანოს საქმიანობას, მის ფუნქციებს და როლს თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში.

– სპეციალური ტელეგადაცემების ციკლი ერთ-ერთი მიმართულებაა პროექტისა „კონსტიტუციური სასამართლოსადმი დახმარება“, პროექტი შემუშავებულია გაეროს განვითარების პროგრამასთან ერთად და მიმდინარე წლის ივნისშია დამტკიცებული. მისი ბიუჯეტი 500.000 ამერიკული დოლარია. აქედან 435 ათასი დოლარი გამოჰყო განვითარების პროგრამამ, ხოლო 65 ათასი – საქართველოს მხარემ.

ჩამოვა ელჩი სესტანოვიჩი

1-2 ნოემბერს საქართველოს ეწვევა აშშ სახელმწიფო მდივნის საგანგებო მრჩეველი ახალი დემოკრატიის ქვეყნებთან ურთიერთობის დარგში ელჩი სტეფან სესტანოვიჩი და აშშ თავდაცვის მდივნის მოადგილე ედუარდ ვორნერი თორმეტკაციან დელეგაციასთან ერთად. დაგეგმილია შეხვედრები უმაღლეს დონეზე. განხილული იქნება პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების საკითხები.

უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ მიიწვია

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მიწვევით, 31 ოქტომბერს საქართველოს სამხედროთა ოცეული მონაწილეობას მიიღებს უკრაინის შეიარაღებული ძალების საჰაერო თავდაცვის ჯარების წვრთნაში, რომელიც ფეოდოსიაში გაიმართება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ“, „მოამბე-ექსპრესმა“.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 29 ოქტომბერი ქ. თბილისი

ბ. ბიწაძის, ი. გეგეჭკორის და გ. შერვაშიძის III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სამხედრო მოსამსახურეთა მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მომზადების უზრუნველყოფისა და ფართომასშტაბიან სწავლებებში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

ბადრი ბიწაძე – იუსტიციის პოლკოვნიკი, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე, მთავარი სამხედრო პროკურორი,

იური გეგეჭკორი – პოლკოვნიკი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგი,

გიორგი შერვაშიძე – გენერალ-მაიორი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდალი.

ე. შევარდნაძე.

უკანასკნელ საათს

ნიუ-იორკი. ჩაცხრა დაძაბულობა მსოფლიო საფონდო ბირჟებზე, დაიწყო ე. წ. დოუ-ჯონსის ინდექსის ზრდა, მაგრამ, ექსპერტთა აზრით, სტაბილიზაციაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

მოსკოვი. რუსეთის ფედერაციის ქვედა პალატა იწყებს საგაისო ბიუჯეტის განხილვას, იქამდე კი სხდომაზე აღინიშნა კომკავშირის დაბადების დღე, ხოლო 6 ნოემბერი ოქტომბრის რევოლუციის 80 წლისთავის ზეიმის დღედ გამოაცხადეს.

* * *

გუშინ რუსეთში სამდღიან ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა ავსტრიის ფედერალური კანცლერი ვიქტორ კლიმა. იგი შეხვდა პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ჩერნომირდინს, ხოლო დღეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბორის ელცინს ხვდება. შეხვედრებზე განიხილავენ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცების საკითხებს.

ბუინაკსკი. დაღესტნის ამ ქალაქის გარნიზონის საერთო საცხოვრებელში, სადაც რუსი სამხედრო კურსანტები არიან დაბინავებულნი, აფეთქდა 20 კგ ტროტილის სიმძლავრის ეკვივალენტური მოწყობილობა. შენობა მთლიანად დაინგრა, მსხვერპლის შესახებ არაფერს იუწყებიან.

ჰოპარზალა. ჩეჩნეთის პრეზიდენტს ასლან მასხადოვს, რომელმაც უკვე მეორედ დააყენა საკითხი მისთვის საგანგებო რწმუნებების მინიჭების შესახებ, პარლამენტმა კვლავ უარი უთხრა. ახლა იგი ათი დღით თურქეთს მიემგზავრება შვებულების გასატარებლად.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი

არჩილ სულაკაური

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

არჩილ სულაკაურის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შექმნილია დამკრძალავი კომისია საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თამაზ წივწივაძის თავმჯდომარეობით.

არჩილ სულაკაური დაიკრძალება მწერალთა საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

„ჩვენ წილად გვხვდა უდიდესი პასუხისმგებლობა გავდოთ ხიდები, რომლებიც სრული ძალით ამოქმედდება უკვე მომავალი საუკუნის დამდეგამდე“

ზურაბ ჟვანიამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის განსაკუთრებული დამოკიდებულება უკრაინის მიმართ. „საქართველო უკრაინას სტრატეგიულ პარტნიორად აღიქვამს. ეს ის სახელმწიფოა, რომელიც ახალ პოლიტიკურ კლიმატს ქმნის რეგიონში“, — აღნიშნა მან.

შეხვედრის დასასრულს უკრაინის პრეზიდენტმა ჩანაწერი გააკეთა პარლამენტის საპატიო სტუმართა წიგნში.

თანამშრომლობის მიზანი: კოსმოსი

საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი, რომელიც თავისი უნიკალური სასტენდო კომპლექსითა და დიდგაბარიტიანი კოსმოსური კონსტრუქციებით დღემდე უანალოგოა მსოფლიოში, შესაძლოა საინტერესო პარტნიორი გახდეს უკრაინის იმ ფირმებისათვის, რომლებიც მძლავრ სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს ფლობენ. უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტის მეორე დღეს ეწვია ამ მართლაც უნიკალურ კომპლექსს, ინსტიტუტის გენერალურმა დირექტორმა და გენერალურმა კონსტრუქტორმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა დეტალურად გააცნო ინსტიტუტის შესაძლებლობები და, აქედან გამომდინარე, უკრაინელ კოლეგებთან თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები.

ლეონიდ კუჩმამ და უკრაინის ოფიციალური დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ინსტიტუტის ექსპერიმენტული სტენდები, ნახეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასახავს ინსტიტუტის მიერ განვლილ გზას დაარსებიდან — 1980 წლიდან — დღემდე. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი რუსეთისა და უკრაინის უდიდეს სამეცნიერო ცენტრებთან ერთად ასრულებდა მნიშვნელოვან სახელმწიფო კოსმოსურ პროგრამებს. დღეისათვის ამ სამეცნიერო დაწესებულებას მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი აქვს რუსეთის კოსმოსურ ფირმებთან, ერთობლივ სამუშაოებს ასრულებს გერმანულ ფირმა „დაიმლერ ბენც აეროსპეისთან“ და შვეიცარულ ფირმა „ვალემართან“ ერთად.

ინსტიტუტი მის მიერ დაფუძნებული საერთაშორისო ფირმა „საქართველოს პოლიტექნიკურ ინტელექტთან“ ერთად ამზადებს სახელშეკრულებო ბაზას ამერიკულ ფირმა „ლოკჰიდ მარტინთან“. როგორც უკრაინის პრეზიდენტის სტუმრობისას ითქვა, ამ სამუშაოებს დიდი ეკონომიკური ეფექტი აქვს და მიზნად ისახავს ახალი თაობის კოსმოსური და მიწისზედა ტექნიკის შექმნას. ამ თვალსაზრისით, ინსტიტუტის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი თანამშრომლობის კონკრეტული წინადადებები სტუმრებმა უაღრესად დიდი ინტერესით გაიზიარეს.

იმავე დღეს უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ მეუღლესთან ერთად დაათვალიერა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. საპატიო სტუმრებს თან ახლდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, სხვა ოფიციალური პირნი.

სტუმრად ილია მეორესთან

უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა მეუღლითურთ ეწვია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს. გაიმართა საუბარი ორი ქვეყნის ხალხთა საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანული რელიგიით განმტკიცებული კავშირურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ.

ბატონმა პრეზიდენტმა გამოთქვა რწმენა, რომ უკრაინისა და საქართველოს რელიგიური მოღვაწენი შეძლებენ ჩვენი მართლმადიდებელი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებასა და მათი ხალხების რწმენისა და სულიერების შენარჩუნებას. კათალიკოს-პატრიარქმა და პრეზიდენტმა ისაუბრეს უკრაინის ეკლესიის დღევანდელ სირთულეებზე, არსებულ შიდა დაპირისპირებაზე და მისი გამთლიანების გზების გამონახვაზე, შემდგომში კი მისი ავტოკეფალიის მიღების შესაძლებლობაზე.

ილია მეორემ საპატიო სტუმარს და მის მეუღლეს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები და დალოცა უკრაინელი ხალხი.

შეხვედრა უკრაინული დიასპორის წარმომადგენლებთან

საქართველოში უკრაინელთა მდგომარეობის, საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფოთა ურთიერთობის განვითარების შესახებ გულწრფელი და გულთბილი საუბარი გაიმართა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, სადაც უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა და საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდნენ საქართველოში უკრაინული დიასპორის წარმომადგენლებს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ტყიბულში, ფოთში, ბათუმში, ლანჩხუთში, კასპში, თელავსა და ცხინვალში მცხოვრები უკრაინელები.

მათ ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ საქართველოში, რომლის სრულუფლებიანი მოქალაქენი არიან და რომელსაც ბევრი თავის სამშობლოს უწოდებს. როგორც 40-ათასიანი უკრაინული დიასპორის წარმომადგენლებმა განაცხადეს, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის კურსი, რომელსაც დღეს საქართველო ადგას, შესაძლებლობას აძლევს მათ მთლიანად განახორციელონ კულტურული მოთხოვნილებანი. შექმნილია და წარმატებით მუშაობს საქართველოს უკრაინელთა ასოციაცია. მთელ რიგ ქალაქებში ფუნქციონირებს მათი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები. ქვეყნის ხელმძღვანელობა მხარს უჭერს ამ საქმიანობას და შეძლებისდაგვარად ეხმარება. უკრაინელთა ასოციაციის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ფარგლებში მოქმედებს ბიბლიოთეკა, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. ასოციაციასთან შექმნილია სამედიცინო ცენტრი, იურიდიული კონსულტაცია, დაგეგმილია გაიხსნას თბილისში საკვირაო სკოლა, ხოლო ფოთის რუსულ სკოლებში, სადაც უკრაინელი ბავშვები სწავლობენ, მათთვის შემოღებული იქნება მშობლიური ენის ფაკულტატიური სწავლება. უკრაინელი ეროვნების წარმომადგენლები აწყობენ კულტურულ ღონისძიებებს, აღნიშნავენ უკრაინელი ხალხის ღირსსახსოვარ თარიღებს, ხშირად ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად.

ორი ხალხის ურყევი მეგობრობის დასტურია ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოში გამოცემული კრებული „ღვთის მადლი“, რომელშიც ორივე ენაზე დაბეჭდილია უკრაინული და ქართული ლიტერატურის კლასიკოსების — ლესია უკრაინკას და დავით გურამიშვილის ლექსები. წიგნი დასაბეჭდად მომზადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მოქმედი კლუბის „უკრაინის“ და კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბის „საქართველოს“ წევრთა და საქართველოში უკრაინის საელჩოს თანამშრომელთა მონაწილეობით. კრებული „ღვთის მადლი“ უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტებს საჩუქრად უბოძა კიევის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ოთარ ბაქანიძემ, რომელიც ქართულ-უკრაინული საზოგადოების პრეზიდენტია. მეცნიერმა და პოეტმა რაულ ჩილაჩავამ ილაპარაკა უკრაინაში ქართული დიასპორის ცხოვრებაზე. მან შეკრებილთ გააცნო წიგნები, რომლებშიც შევიდა ქართულ ენაზე უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსთა მისეული თარგმანები.

ლეონიდ კუჩმასა და ედუარდ შევარდნაძეს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები საქართველოს უკრაინელთა ასოციაციისაგან.

შეხვედრის მონაწილეებმა ორი ქვეყნის პრეზიდენტებს აღუთქვეს, რომ ისინი კვლავინდებურად ქართველ ხალხთან, საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად იშუამავებენ ქართული სახელმწიფოს საკეთილდღეოდ, ქართულ მიწაზე. ამავე დროს, მათს გამოსვლებში ჟღერდა უკრაინისადმი წრფელი სიყვარული, მისი კულტურისა და ისტორიის ნაზიარები გრძნობა, ისტორიული სამშობლოს დღევანდელი ცხოვრებისადმი უზომო ინტერესი. უკრაინის სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა შეკრებილთ გულწრფელი საუბრისათვის. მან გამოთქვა რწმენა, რომ შეხვედრის მონაწილენი უკრაინელებად დარჩებიან და, ამავე დროს, მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ცხოვრობენ საქართველოში და ამ ქვეყნის მოქალაქენი არიან. უკრაინული ეროვნების წარმომადგენლები, თქვა მან, მსოფლიოს 55 ქვეყანაში ცხოვრობენ და ყველგან პატივისცემით სარგებლობენ ერთგულების, პატიოსნებისა და შრომისმოყვარეობის გამო.

ლეონიდ კუჩმამ ილაპარაკა უკრაინის მდგომარეობაზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ, სიძნელეთა მიუხედავად, ცხოვრება იქ უმჯობესდება, ქვეყანა მტკიცედ ადგას გარდაქმნების, დემოკრატიული ცივილიზებული სახელმწიფოს აშენების გზას, და არ აპირებს ამ კურსის შეცვლას.

როგორც უკრაინის პრეზიდენტმა თქვა, იგი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობას და მიაჩნია, რომ მათზე ზრუნვა უკრაინის სახელმწიფოს ვალია. მან უკრაინული დიასპორის წარმომადგენლებს აღუთქვა, რომ ხელს შეუწყობს უკრაინელთა პრობლემების გადაწყვეტას საქართველოში, კერძოდ, ქვეყანაში უკრაინული ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შემოტანას, უკრაინული ტელევიზიის გადაცემების ტრანსლაციას, საქართველოში მცხოვრები უკრაინელი ბავშვების უკრაინაში დასვენებას და სხვა. დასასრულ, ლეონიდ კუჩმამ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, თუ როგორ ვითარდება უკრაინისა და საქართველოს ორმხრივი ურთიერთობა, რომელიც, მისი თქმით, გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ მეზობლებისა და პარტნიორების ურთიერთობა. უკრაინელმა ლიდერმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს უკრაინელ მოსახლეობაზე ზრუნვისათვის. მან გამოთქვა რწმენა, რომ დღეს ორივე ქვეყანაში არსებული პრობლემები სულ მალე გადაწყდება.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მიესალმა შეკრებილთ და შენიშნა, რომ მათ შეეძლოთ გაცილებით მეტი ელაპარაკათ თავიანთ პრობლემებზე, რომლებიც, მართლაც, საკმაოდ ბევრია, მაგრამ, როგორც ჩანს, უკრაინელი ხალხი, ისევე, როგორც ქართველი ხალხი, ოპტიმიზმით, მომავლის რწმენით და იმ გადაწყვეტილებით არის აღსავსე, რომ მთელი ძალისხმევა მოახმარონ თავიანთი ცხოვრების გაუმჯობესებას. შეეხო რა ქვეყნის მდგომარეობას, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბოლო წლებში იგი უკეთესობისაკენ შეიცვალა. წარსულს ჩაბარდა პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი ცხოვრების დესტაბილიზაციის ხანა. დღეს საქართველომ მოიპოვა რეპუტაცია სახელმწიფოსი, რომელიც დემოკრატიული გზით ვითარდება და გარკვეულ წარმატებებს აღწევს ეკონომიკაში. ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა რწმენა, რომ არსებულ პოტენციალს თუ გავითვალისწინებთ, უკვე 2-3 წლის შემდეგ საქართველოში ყოველი ოჯახი გაცილებით უკეთ იცხოვრებს.

საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ქართული სახელმწიფოსათვის უკრაინასთან ურთიერთობა პრიორიტეტულია. ჩვენ, აღნიშნა მან, გიგანტური შრომა გავწიეთ, დავდეთ ბევრი ხელშეკრულება და შეთანხმება და ვშრომობთ მათი რეალიზაციისათვის. ისინი გზას უხსნიან თავისუფალ ვაჭრობას, გაცვლას, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთგამდიდრებას, არა მარტო მატერიალურს, არამედ სულიერსაც. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა თქვა, საქართველო და უკრაინა ახერხებენ პოზიციათა სრულ შეთანხმებას საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც რეგიონული მასშტაბით, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში, ასევე ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში. ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნა მან, ძალიან დიდი ერთობლივი გეგმები გვაქვს. უკრაინა დღეს მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიო გაერთიანების ცხოვრებაში, და ასეთ პარტნიორსა და მეგობარს საქართველო ვერ უღალატებს.

საქართველოს პრეზიდენტმა შეკრებილთ აღუთქვა, რომ ქართულ მიწაზე ისინი მუდამ იგრძნობენ თავს, როგორც საკუთარ სახლში. საქართველოს ხელმძღვანელობა შეძლებისდაგვარად დაეხმარება მათ საარსებო მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტაში. მე გულწრფელად მსურს, რომ საქართველოში ამოქმედდეს თუნდაც ერთი უკრაინული სკოლა, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ. — სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა, მაგრამ მჯერა, რომ უახლოეს მომავალში იგი გადაწყდება.

სამუშაო შეხვედრები

29 ოქტომბერს უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტის ფარგლებში გაიმართა საქართველოსა და უკრაინის ოფიციალურ დელეგაციათა სამუშაო შეხვედრები. ქართულ-უკრაინული კავშირურთიერთობის მრავალმხრივი ასპექტები და პარტნიორობის გაღრმავების საკითხები განიხილეს საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიაში, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის, ტრანსპორტის, სათბობ-ენერგეტიკის, უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროებში, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში. განხილვაში მონაწილეობდნენ შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები.

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის თეატრში

მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა მეუღლითურთ გამგზავრების წინ რამდენიმე საათით თბილისის ერთ-ერთ კოლორიტულ უბანში — ფიქრის გორაზე ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრს ეწვია. დიდი ქართველი მსახიობების ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის ფუძე გულღიად და სიხარულით შეეგება საპატიო სტუმრებს.

აქ გაიმართა ქართული ხელოვნების ცნობილ მოღვაწეთა კონცერტი.

უკრაინელ სტუმრებთან ერთად კონცერტს დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მეუღლითურთ, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი.

ქალბატონი კუჩმა ეწვია წყნეთის ბავშვთა სახლს

29 ოქტომბერს უკრაინის პრეზიდენტის მეუღლე ლუდმილა კუჩმა ეწვია წყნეთის ბავშვთა სახლს. იგი გაეცნო მშობელთა მეურვეობასმოკლებული ბავშვების ყოფა-ცხოვრების პირობებს.

ბავშვთა სახლის აღსაზრდელებმა კონცერტი გამართეს, იმღერეს ქართული და უკრაინული სიმღერები, შეასრულეს ხალხური ცეკვები.

ქალბატონი კუჩმა გულწრფელად უკრავდა ტაშს ნორჩ შემსრულებელთა ხელოვნებას და საჩუქრები გადასცა ყველა ბავშვს.

უკრაინის პრეზიდენტი სამშობლოში გაემგზავრა

29 ოქტომბერს, საღამოს, საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა მეუღლითურთ სამშობლოში გაემგზავრა.

გაიმართა გაცილების საზეიმო ცერემონია.

თვითმფრინავის კიბესთან საპატიო სტუმრები გულთბილად გააცილეს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და ქალბატონმა ნანული შევარდნაძემ, რომლებმაც უსურვეს მათ ბედნიერი მგზავრობა, ხოლო უკრაინელ ხალხს — კეთილდღეობა და აყვავება.

სტუმრები გააცილეს, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

საქინფორმი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

არც თვითმკვლელობა, არც ტერორისტული აქტი

28 ოქტომბერს, დაახლოებით 19 საათზე, მეტროს სადგურ „დიდუბის“ პოლიციის განყოფილების სამორიგეო ნაწილში, პოლიციის ყოფილმა თანამშრომელმა დავით კაპანაძემ ააფეთქა ჯერჯერობით დაუდგენელი მოწყობილობა, რის შედეგადაც თავად კაპანაძე შემთხვევის ადგილზევე დაიღუპა.

კრიმინალისტებმა ჯერ ვერ დაადგინეს ასაფეთქებელი ნივთიერების სახე. როგორც ბეპა-ს კორესპონდენტს ქალაქის ტრანსპორტის პროკურორმა იოსებ გულიაშვილმა აცნობა, წინასწარი მონაცემებით, კაპანაძე მთვრალი იმყოფებოდა პოლიციის სამორიგეო ნაწილში. გულიაშვილი გამორიცხავს დივერსიულ აქტს და მკვლელობას. ექსპერტები ასევე გამორიცხავენ თვითმკვლელობას.

„იმუნოლოგიის“ პროგრამა – სოფლის მეურნეობას

ოპერატიული რეაგირება მოახდინა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე მეცნიერი იმუნოლოგის ნინო ფორაქიშვილის გამოსვლის გამო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, კათედრის გამგემ ყურადღება მიაპყრო მცენარეთა ვირუსული დაავადების დიაგნოსტირების მეთოდებს, კერძოდ, დაწვრილებით აცნობა თანამედროვე მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა არა რამდენიმე წლით, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა, არამედ ორ საათში განისაზღვროს მცენარეში ვირუსის არსებობა. ამ საფუძველზე უვირუსო თესლისა და ნერგების წარმოების ორგანიზაცია ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას, ფართო პერსპექტივებს უსახავს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის გამოშვებას.

სხდომამ შესაბამის სამინისტროებს დაევალათ გამოჰყონ მიწის ნაკვეთი იმუნოლოგიაში თანამედროვე მეთოდის გამოსაცდელი მეურნეობის მოსაწყობად. შეიმუშაონ მიზნობრივი პროგრამა „იმუნოლოგია“. ამავე დროს შემოქმედებითი და საქმიანი კონტაქტები დამყარდა ნინო ფორაქიშვილსა და სამინისტროს შესაბამის სამსახურსა და მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს შორის.

სუფსაში სამუშაოებს თურქული კომპანია წარმართავს

როგორც „მოამბე-ექს-პრესს“ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის საინფორმაციო სამსახურიდან აცნობებს, კონტრაქტით საქართველოში, სუფსის ტერმინალში მექანიკური, ელექტრული და გასამართი სამუშაოების ჩატარების უფლება მოიპოვა „ტექფენ-აშფენმა“, რომლის პარტნიორიც ქართული მხრიდან საქართველო-თურქეთის სამშენებლო კომპანია — „გეოტეკია“. კონტრაქტი, რომელიც მოიცავს აუცილებელ საინჟინრო სამუშაოებს სამი სატუმბი, ორი წნევის დასაწევი და, აგრეთვე, მაღალი და ულტრამაღალი სიხშირეების გადამცემი სადგურებისათვის, ასევე მიენიჭება კომპანია „ტექფენ-აშფენს“. კონტრაქტის სრული ღირებულება 8 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბებს.

ინვესტიციების მოსაზიდად

საქართველოში ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელშეწყობას ისახავს მიზნად პროგრამა „საქართველოს საინვესტიციო ცენტრი“. პროექტს ამ დღეებში ხელი მოაწერეს ქვეყნის პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკურ საკითხებში თემურ ბასილიამ და საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა მარკო ბორსოტიმ.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა პროგრამის ფარგლებში შექმნილი საინვესტიციო ცენტრის დირექტორმა გიორგი ჯაჭვლიანიძემ, გათვალისწინებულია არა მარტო ყოველმხრივი დახმარება პოტენციური ქართველი და უცხოელი ინვესტორებისათვის, არამედ ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის, საკანონმდებლო ბაზისა და საგადასახადო სისტემის შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს საქინფორმმა, „იბერიამ“ „მოამბე-ექსპრესმა“.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა

სრულიად განსაკუთრებული ორმხრივი ურთიერთობა ჩვენს ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის და, მეორე, რომ არა თანამედროვე მსოფლიოში ახალ ურთიერთობათა ფორმირების პროცესები, რომლებიც მოითხოვენ ჩვენი შეხედულებების მუდმივ შეჯერებას მეგობრებისა და თანამოაზრეების შეხედულებებთან.

საოცარია მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების დინამიკა. ამაში არის თავისი ლოგიკა. ყოველთვის, გლობალურ დაპირისპირებათა დამთავრების შემდეგ, იბადება ახალი მსოფლწესრიგის დამყარების სურვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყოველთვის სამართლიანი როდია. ასე იყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ და მაშინ მსოფლიო ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაყოფილი აღმოჩნდა. ასე ხდება დღესაც, ჩვენი ასწლეულის ყველაზე ხანგრძლივი ომის — „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ. ახალი მსოფლწესრიგის ფორმირების პროცესის სისწრაფეს, სიტყვამ მოიტანა და უნდა ეთქვათ, წინანდელზე უფრო სამართლიანს, მოწმობს ბოლო წლების მანძილზე მომხდარი მოვლენები. ხომ არ აღმოჩნდნენ ჩვენი ქვეყნები ამ პროცესის განაპირას, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა საუკუნეთა განმავლობაში? ხომ არ მოხდება ის, რომ ჩვენ, უკვე მერამდენედ, შემოგვთავაზებენ ელიტარული პოლიტიკური და ეკონომიკური კლუბების დახურულ კარს მიღმა მიღებულ მზა გადაწყვეტილებებს და შემდეგ კეთილმოსურნედ დაგვრთავენ არჩევანის ნებას, როცა, სინამდვილეში, ასარჩევი უკვე აღარაფერია.

მაგრამ, ყველაფერი იმას მოწმობს, რომ წარსული არ გამეორდება. მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების განსაკუთრებული დამოკიდებულება უკრაინის — ევროპის პოსტტოტალიტარული პერიოდის ერთ-ერთი საკვანძო სახელმწიფოსადმი, მოწმობს, რომ მოხდა ძირფესვიანი ცვლილებები ჩვენი კონტინენტის მომავლის ხედვაში. უკრაინა, იმის გამო, რომ მას ევროპის აღმოსავლეთით უკავია უდიდესი სივრცე, აქვს გიგანტური სულიერი და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, მდიდარი ბუნებრივი რესურსები, მუდამ ითვლებოდა მნიშვნელოვან ფაქტორად მსოფლიო პოლიტიკაში. მაგრამ, ერთი საქმეა გქონდეს შესაძლებლობანი და სულ სხვა, დაუმტკიცო ყველას, რომ მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი გამოიყენო ისინი საკუთარი სახელმწიფოს, მისი მეგობრების, ყველა იმათ საკეთილდღეოდ, ვინც საბოლოოდ და უყოყმანოდ ერთგულობს დემოკრატიის, მეწარმეობის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების პრინციპებს. ყველას, და იმათაც, ვინც სვეკეთილ ევროპაში ცხოვრობს, და იმათაც, ვინც ახლა ეძებს მისკენ სავალ გზებს, გაუმართლა, რომ ამ რთულ დროში, ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების დროში, უკრაინას ხელმძღვანელობს ადამიანთა გუნდი პრეზიდენტ კუჩმას მეთაურობით, საოცრად გაბედული და მოქნილი პოლიტიკოსი ურთულესი საშინაო და საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტის დროს, კაცი, რომელსაც სრულად აქვს შეგნებული თავისი უდიდესი პასუხისმგებლობა კონტინენტის უკეთესი მომავლისათვის.

უკრაინის — აღმოსავლეთ ევროპის საკვანძო სახელმწიფოს მიერ ნატოსთან განსაკუთრებული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა, უკრაინისა და საქართველოს მონაწილეობა ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს დამფუძნებლებად, ევროპის კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების სულ უფრო მზარდი დახმარება ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისადმი, რომლებიც თავიანთ ადგილს ეძებენ თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში, ევროპის საბჭოს მიერ ახლახან სტრასბურგში იმათდამი გამოვლენილი დიდი ყურადღება, ვინც ესწრაფვის გახდეს ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი, უფლებას გვაძლევენ ვთქვათ: ხელიდან არ იქნება გაშვებული კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე სამართლიანი მსოფლმოწყობის შექმნის უნიკალური შანსი.

ჩვენ სახელმწიფოებს არსებითი წვლილი შეაქვთ ამ ისტორიულ გარდაქმნებში. უკრაინისა და საქართველოს სანიმუშო ურთიერთობა, რაც გამოიხატება არა მარტო ჩვენი ხალხების ბუნებრივი ურთიერთსიმპათიებით, არამედ ყოვლისმომცველი სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზით, საფუძველი რომ ჩაეყარა ჩვენი არაერთგზისი შეხვედრების შედეგად, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და მომიჯნავე რეგიონების მომავალში. ჩვენ წილად გვხვდა უდიდესი პასუხისმგებლობა — გავდოთ ხიდები, რომლებიც სრული ძალით ამოქმედდება ჯერ კიდევ მომავალი ასწლეულის დამდეგამდე.

დღეს გამართულ საუბარში კვლავ გამოვთქვით ჩვენი საერთო აზრი იმის შესახებ, რომ სატრანსპორტო-საკომუნიკაციო მაგისტრალები, რომლებიც აღადგენენ დიდ აბრეშუმის გზას, საიმედო ხიდია კონტინენტებს შორის, ევროატლანტიკური გაერთიანების, ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის და შორეული აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოს თანაბრად რომ უხსნის გზას ამ უზარმაზარი სივრცის სიმდიდრეებისაკენ. ჩვენი მუდმივი კონტაქტები ყველა დონეზე მოწმობს, რომ აღორძინებად დიდ აბრეშუმის გზაზე განლაგებულ უკლებლივ ყველა სახელმწიფოს უაღრესად საჭიროდ მიაჩნია მაქსიმალურად აამოქმედოს ამ მაგისტრალის გიგანტური ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ თაოსნობებს სულ უფრო მზარდ მხარდაჭერას უწევს ევროკავშირი ტრასეკას საუკუნის პროექტის განხორციელების გზით, აგრეთვე დასავლეთისა და აღმოსავლეთის სხვა უდიდეს სახელმწიფოთა დაინტერესებას, მიგვაჩნია, რომ უახლოეს მომავალში დღის წესრიგში შეიძლება დადგეს სამი ზღვის — ხმელთაშუა, შავი და კასპიის ზღვების სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ინსტიტუციონალიზაციის საკითხი. ვფიქრობ, ეს არ იქნება მორიგი, ხელოვნურად შექმნილი წარმონაქმნი, არამედ იქნება იმ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლებიც უკვე დღეს შეგნებულად ეძებენ ურთიერთხელსაყრელი თანასწორუფლებიანი ინტეგრაციის გზებს.

რაკი შევეხეთ ინტეგრაციულ სისტემებს, უნდა გავიხსენოთ ამ დღეებში დამთავრებული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მორიგი სამიტიც. ბოლო ხანს ხშირად ისმება კითხვები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის არა მარტო სიცოცხლისუნარიანობის, არამედ არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ. მე და ლეონიდ დანილის ძეს ერთი აზრი გვაქვს, რომ სიცოცხლისუნარიანია მხოლოდ ის გაერთიანებანი, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის განმტკიცებას, თავისუფალ, დემოკრატიულ განვითარებას, ახალისებენ მათი არჩევანის თავისუფლებას. და თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა ასეთი გახდება, იგი არა მარტო უზრუნველყოფს თავის მომავალს, არამედ ორგანულადაც ჩაეწერება ვრცელ არეალში, რომელსაც ვუწოდებთ ერთიან მსოფლმხედველურ ეკონომიკურ, სამართლებრივ სივრცეს ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე. თანამეგობრობას ექნება პერსპექტივა, თუ იგი წესად შემოიღებს პრობლემათა გულახდილად განხილვას, რაც უნდა უსიამოვნო იყოს ეს ხელმძღვანელთა ცალკეული ჯგუფებისათვის. უმისოდ ვერ წარმოიქმნება და ვერ განმტკიცდება სახელმწიფოთა ვერც ერთი გაერთიანება.

და კიდევ ერთი. როცა ჩამოყალიბებად ახალ მსოფლიო წესრიგზე ველაპარაკობთ, გვინდა შევნიშნოთ, რომ ევროპელთათვის საარსებო მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტის დროს არ ღირს, აგრეთვე, ვმორდებოდეთ სახელმწიფოებს, ურომლისოდაც ევროპა არ იქნებოდა ის, რაც ახლა არის, სხვა იქნებოდა დანარჩენი მსოფლიოც. მშვიდობის და შედარებითი კეთილდღეობის ის მოკლე მონაკვეთი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ ვაფასებთ ღირსეულად, შესაძლებელი გახდა მხოლოდ უკლებლივ იმ ყველა სახელმწიფოს კოლექტიური პასუხისმგებლობის მეოხებით, რომლებიც ოდესღაც „კედლის“ სხვადასხვა მხარეს იყვნენ. დღეს, თუ შეეცდებიან კონტინენტის მომავალი ააგონ ჩვენგან ყველაზე მცირეს აზრის გაუთვალისწინებლად, შეიძლება წარუმატებლად დასრულდეს, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე ცდებზე, ეს მოიმოქმედონ იმათი მონაწილეობის გარეშე, ვინც უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენს საერთო გამარჯვებაში ფაშიზმზე, პირდაპირ გამოიყვანა დასავლეთი ევროპა ნანგრევებიდან, დღეს კი, როგორც მშვიდობისა და დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი გარანტები, ხელს უწყობენ აღმოსავლეთ ევროპასა და ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს დააღწიონ თავი ტოტალიტარიზმის მძიმე მემკვიდრეობას. ერთიან სივრცეში ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე უმცირესი ბზარის გაჩენაც კი აუნაზღაურებელ ზიანს მიაყენებს ევროატლანტიზმის იდეას, ყველა სახელმწიფოს, დიდი და პატარა სახელმწიფოების კოლექტიური პასუხისმგებლობის იდეას ევროპის ბედისათვის.

ასე ვხედავთ ევროპის მომავალს და ჩვენს სახელმწიფოთა მომავალს მასში. თქვენმა ვიზიტმა, პატივცემულო უკრაინელო სტუმრებო, ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ უკრაინასა და საქართველოს შორის არ არსებობს არავითარი უთანხმოება არც ორმხრივ ურთიერთობაში, არც ჩამოყალიბებადი ახალი სამართლიანი მსოფლიო წესრიგის ხედვაში. ამას უფრო ცხადად და მკაფიოდ ვერ გამოაცხადებდი, ვიდრე ეს გაკეთდა საერთო მიზნებისა და შეთანხმებული პოლიტიკის შესახებ დღეს ხელმოწერილ უკრაინისა და საქართველოს დეკლარაციაში.

ძვირფასო მეგობრებო,

ნება მიბოძეთ, შევსვა ჩემი დიდი მეგობრის ლეონიდ დანილის ძე კუჩმასა და ლუდმილა ნიკოლოზის ასულის, ყველა უკრაინელი სტუმრის, ჩვენი საერთო მომავლის სადღეგრძელო.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას გამოსვლა

პოემა „კავკასია“, რომელიც ხალხის თავისუფლებასა და ქედუხრელობას უმღერის, გახდა მიზეზი მკაცრი განაჩენისა, რომელიც დიდ გარასს გამოუტანა რუსულმა თვითმპყრობელობამ.

ფაშიზმთან ერთობლივ ბრძოლაში საქართველოს ასიათასობით მამაცმა შვილმა სიცოცხლე შესწირა უკრაინის გათავისუფლებას. ეს სამუდამოდ დარჩება უკრაინელი ხალხის ხსოვნაში.

დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ჩვენმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ერთობლივი ისტორიის ახალი ეტაპი. როგორც ბრძნული ანდაზა ამბობს: „მეგობრობა უდიდესი სიმდიდრეა“, მაგრამ იგივე სიბრძნე გვაფრთხილებს: „მრავალი ათასიდან შენ გაგიჭირდება იპოვო თუნდაც ერთი ერთგული მეგობარი, რომელთან ერთად შეძლებ განვლო გზა თავიდან ბოლომდე“.

და ჩვენ დიდად ვაფასებთ იმას, რომ სწორედ ასეთი მეგობრობა — მტკიცე, საიმედო, უანგარო — აკავშირებთ დღეს უკრაინასა და საქართველოს.

ახლანდელი ვიზიტი მნიშვნელოვანი ნაბიჯია უკრაინა-საქართველოს პარტნიორობის გზაზე, რომელიც შორეული პერსპექტივისათვის არის გათვალისწინებული.

საქართველოს პრეზიდენტთან მოლაპარაკების დროს განვიხილეთ ორმხრივი თანამშრომლობის ფართო წრის საკითხები, საერთაშორისო პრობლემები, რომელთა უმრავლესობის გამო ჩვენი პოზიციები პრაქტიკულად მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს.

ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი საერთო ამოცანაა შევქმნათ და ეფექტიანად აავმუშაოთ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი, რომელმაც უნდა გააერთიანოს უკრაინისა და საქართველოს შავი ზღვის ნაპირები.

ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში მხარდაჭერის მისწრაფება ჩვენი ინტერესების ერთობის დასტურია. ჩემი ღრმა რწმენით, საერთო-ევროპულ სახლში უკრაინისა და საქართველოს სრულუფლებიანი შესვლა ხელს შეუწყობს კონტინენტზე უშიშროებისა და სტაბილურობის განმტკიცებას.

ჩვენს სახელმწიფოებს აერთიანებს, აგრეთვე, ის მიზანი, რომ ხელი შევუწყოთ კავკასიის გადაქცევას მშვიდობისა და აყვავების რეგიონად. ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს პრეზიდენტის საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივას „მშვიდობიანი კავკასიისათვის“. უკრაინა, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, მზად არის უშუალო მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში.

ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ შავ ზღვაზე უშიშროებისა და ნდობის განმტკიცებას.

ჩვენ მივესალმებით უკრაინისა და საქართველოს აქტიურ თანამოქმედებას შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებში. დარწმუნებული ვარ, რომ შავიზღვისპირა სახელმწიფოები კეთილი მეგობრები და საიმედო პარტნიორები უნდა გახდნენ.

როგორც ჩანს, უკრაინა-საქართველოს ურთიერთობის ფართო ჰორიზონტები იმის დასტურია, რომ ჩვენმა პარტნიორობამ წარმატებით გაუძლო სიმტკიცისათვის დროის გამოცდას.

დიდად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

მე-12 საუკუნის გარიჟრაჟზე ბრძენმა ქართველმა მეფემ და ბრწყინვალე მხედართმთავარმა დავით აღმაშენებელმა საქართველოს გაერთიანებით იგი უძლიერეს სახელმწიფოდ გადააქცია. ამავე პერიოდს ემთხვევა კიევის რუსეთის აყვავება.

დღეს, 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე, საერთო ძალისხმევით ევროპის ერები ქმნიან გაერთიანებულ და ძლიერ ევროპას.

და სიმბოლურია ის, რომ ამ პროცესში ჩვენს ქვეყნებს აერთიანებს არა მარტო სრული ურთიერთგაგება და მხარდაჭერა, არამედ გულწრფელი მეგობრობაც.

მწამს, რომ უკრაინა-საქართველოს მეგობრობის სიმტკიცის კრიტერიუმი გახდება დიდი შოთა რუსთაველის წინასწარმეტყველური სიტყვები:

„სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:
პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ-მოთმენა,
მეცემა და არა შური, ჩუქებისა არ-მოწყენა,
გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა“.

მოდით, ვუერთგულოთ ამ ანდერძს მომავალ ათასწლეულშიც!

მინდა შემოგთავაზოთ სადღეგრძელო:

— ვუსურვებ ჯანმრთელობას დიდად პატივცემულ პრეზიდენტს ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეს!

— აყვავებასა და სიდიადეს საქართველოსა და უკრაინას!

— მშვიდობიან მომავალს ჩვენს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს!

— კიდევ მეტად განმტკიცებას უკრაინა-საქართველოს პარტნიორობას!

— ვუსურვებ ჯანმრთელობას ყველა დამსწრეს!

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

საქართველოს რესპუბლიკა
№270. ხუთშაბათი, 30 ოქტომბერი. 1997 წელი.

კულუარები

ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა პრეზიდენტმა კუჩმამ დილის საუზმეზე მიგვიპატიჟა

ქართველი ჟურნალისტები უკრაინის პრეზიდენტს შეხვდნენ

შეკითხვაზე — კვლავაც თვლის თუ არა პრეზიდენტი კუჩმა, რომ დსთ პერსპექტივა მოსკოვზეა დამოკიდებული, მან განაცხადა:

— თანამეგობრობამ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სუვერენიტეტის გაძლიერებას, მათს სახელმწიფოებრივ მშენებლობას უნდა შეუწყოს ხელი. ეს მისი მთავარი დანიშნულებაა. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი კვლავ ცენტრის როლისა და ფუნქციების შესრულებას მოინდომებს, მაშინ ბუნებრივად გაძლიერდება ცენტრიდანული ძალები, ჩვენ სხვა საერთო სივრცეს მოვძებნით.

არსებული ვითარება არასტანდარტული გადაწყვეტილებებისაკენ გვიბიძგებს, — თქვა ლეონიდ კუჩმამ, და ამ დებულების დასასაბუთებლად დაასახელა მაგალითები დსთ ქვეყნების ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობის პრაქტიკიდან, როდესაც რუსეთის მიერ შექმნილი ხელოვნური წინააღმდეგობათა, ვთქვათ, ნავთობის, გაზის, სხვა ეროვნულ სიმდიდრეთა გატანის საქმეში, სატრანსპორტო სისტემის ფუნქციონირებაში მისი დიქტატის დამყარების მცდელობის საწინააღმდეგოდ ცენტრალური აზიის ქვეყნებმა მონახეს გზები ჩინეთთან, ირანთან, აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განსავითარებლად.

— ნიშნავს ეს თუ არა, რომ იქმნება ქვეყნების ახალი რეგიონული გაერთიანებები, მაგალითად, ღერძი — კიევი-თბილისი-ბაქო?

— თუ ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, რატომღა უნდა დავმალოთ? ჩვენ, ერთნაირ მდგომარეობაში ვიმყოფებით და ერთობლივად ვეძებთ გამოსავალს.

ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა ისტორიული რეალობაა. რომც არ ყოფილიყო ასეთი ხელოვნური გამღიზიანებელი, რეგიონის ტრადიციული ინტერესები მაინც გვიკარნახებდა ამ გზით სიარულს, ეკონომიკური რეალობაა ასეთი. ბრძენი ხალხი იყო ჩვენი წინაპრები, იგივე „აბრეშუმის ისტორიული გზის" აღდგენა მათი გამოცდილების გაცოცხლებაა: კიევის რუსეთი ვაჭრობდა ინდოეთთან, სხვა ქვეყნებთან, ჩვენც ამ გზას დავადექით.

პრეზიდენტ კუჩმას ინიციატივა შავი ზღვისა და ბალტიის ზღვის რეგიონების ქვეყნების თანამშრომლობის შესახებ იმდენად ორიგინალურია და, შეიძლება ითქვას, მოულოდნელიც (ჩვენთვის), რომ რედაქციაში საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტების დეკლარაციის გამოქვეყნებაზე მუშაობისას ეჭვიც კი შეგვეპარა — ბალტიის ნაცვლად ბალკანეთი ხომ არ უნდა ყოფილიყო ნახსენები მის მე-12 პუნქტში, სადაც ეს იდეა არის ჩამოყალიბებული? ერთი სიტყვით, კორექტურა გვეგონა. რა თქმა უნდა, იქვე გავარკვიეთ, რომ წერია ის, რაც უნდა ეწეროს. მაგრამ რა მიზანი ამოძრავებდა პრეზიდენტ კუჩმას ამ შემთხვევაში?

საუბრისას მან აგვიხსნა, რომ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გზა ასევე ჩვენი ძველების გაკვალულია. ეს არის, ერთი მხრივ, ახალი ბაზარი, მეორე მხრივ, ახალი ტექნოლოგიები, რომელთა ათვისება ჩვენი ქვეყნების ეკონომიკის აღმავლობას შეუწყობს ხელს.

პრეზიდენტმა კუჩმამ გააანალიზა ჩრდილოეთის ქვეყნების ყოფის რაციონალური ორგანიზაცია, ენერგორესურსების, ბუნების მიერ ბოძებულ სიკეთეთა ყაირათიანად გამოყენების მაგალითები, რომელთა გადმოტანა ჩვენს ნიადაგზე მილიარდობით დოლარს დაუზოგავდა სახელმწიფოს.

ფრიად საინტერესო იყო უკრაინის პრეზიდენტის პასუხი მომავალი არჩევნების პერსპექტივაზე. მას მიაჩნია, რომ სოციალური მოუწყობლობის არსებულ ფონზე კომუნისტებს გამარჯვების რეალური შანსი აქვთ. პენსიონერები, რომლებიც სოციალურად დაუცველ ფენას განეკუთვნებიან, უკრაინაში 16 მილიონზე მეტნი არიან, რაც ქვეყნის აქტიური ელექტორატის უდიდესი ნაწილია. — ისინი, — თქვა ლეონიდ კუჩმამ, — ხმას მისცემენ თავიანთ ახალგაზრდულ მოგონებებს, სხვაგვარად, ხმას მისცემენ დღევანდელი მეჭირვების წინააღმდეგ, თუმცა, ქვეყნის უკან დაბრუნება უეჭველ სიკვდილს ნიშნავს.

მას მიაჩნია, რომ ასეთი განწყობილებები დომინირებს ბელორუსიაში, მაგრამ „ბელორუსია ნემსზე დასვა" რუსეთმა (მისი გამოთქმა), სახელმწიფო სახელმწიფოს ეხმარება. ეს სიტუაცია ვერ შეიძლება დაუსრულებლივ გაგრძელდეს. მალე დადგება დრო, როცა რუსეთში კერძო კაპიტალი იქნება ყველაფრის გადამწყვეტი, და მაშინ ვინ დაეხმარება ბელორუსიას, ვინ მოიკლებს თავისას სხვა, თუნდაც ერთ კავშირში გაერთიანებული, ქვეყნის სასარგებლოდ?

პრეზიდენტ კუჩმას, ჩანს, სრულად აქვს გათვითცნობიერებული ის მძიმე სიტუაცია, რომელიც პოსტტოტალიტარული ქვეყნების ეკონომიკისა და, განსაკუთრებით, სოციალურ სფეროებში ობიექტურად ჩამოყალიბდა, მაგრამ იმასაც კარგად ხედავს, რომ 6 წლის თავისუფლება, ყველაფრის მიუხედავად, უკვე იძლევა პირველ შედეგებს. უკრაინა, როგორც მან თქვა, თანდათან გამოდის გაჭირვების სტადიიდან.

ეტყობა, ამ ტენდენციის ნიშნები იმდენად ძლიერია, რომ კუჩმამ, რომელიც პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევისათვის საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას იმ შემთხვევაში აპირებდა, თუ უკრაინა ეკონომიკურ პრობლემებს დაძლევდა, უკვე გადადგა ეს ნაბიჯი.

ლეონიდ კუჩმა აშკარად პროდასავლური ორიენტაციის, მაგრამ გამოკვეთილად ეროვნული ლიდერია. ამასთან, იგი რეალისტურად აფასებს რუსეთის როლს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში, უწინარეს ყოვლისა, ყოფილი სსრკ რესპუბლიკების საერთაშორისო თუ საშინაო პოლიტიკის განხორციელებაში.

— რუსეთს, ალბათ, შეუძლია ლობე შემოივლოს და ერთ, ცალკე აღებულ ფედერაციაში ააშენოს კომუნიზმი. მისი ბუნებრივი რესურსები შეიცავს არა მარტო მენდელეევის ცხრილის ყველა არსებულ ელემენტს, არამედ იმასაც, რომელიც ჯერ არ აღმოუჩენიათ, — მიაჩნია მას. — უკრაინისათვის კი თვითიზოლაცია დამღუპველია. ამიტომ ურთიერთკავშირების განვითარება ჩვენი ქვეყნებისათვის სასიცოცხლო აუცილებლობაა.

ეს უნდა გაიგოსო, თქვა მან, მსოფლიო თანამეგობრობამ, რომელიც უმეტესად ჩვენთვის რეკომენდაციების მოცემით იფარგლება. ეს იმას ჰგავს, — შეადარა კუჩმამ, — ავადმყოფი საოპერაციო მაგიდაზე მუცელზე გაჭრილი რომ დატოვონ და ოპერაციის გასაგრძელებლად რჩევა-დარიგების მიცემა დაუწყონ ჭირისუფლებს — აჰა თქვენ იცითო.

ამის დამადასტურებელ სახიერ მაგალითად მან გასაღების ბაზრის პრობლემა დაასახელა. ჩვენო, თქვა, დაგვაკარგვინეს ბაზარი, ჩვენი ბაზარი მათი საქონლისათვის გაგვახსნევინეს, საკუთარი კი დაგვიკეტეს. და, ამასთან, გვაკრიტიკებენ — თქვენთან რეფორმები ნელა ხორციელდებაო.

უბაზროდ ვის გაუგია საბაზრო ეკონომიკის განვითარება?

ამასთან, აქ პოლიტიკური მომენტიც ერთვება.

კუჩმას მიაჩნია, რომ ამ ჭრილში საქართველოსა და უკრაინის შედარება არ შეიძლება. თქვენ დასავლეთის ორიენტაცია გაქვთ აღებული — ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც. ჩვენთან ასე არ არის. ჩვენი ოპოზიცია კომუნისტური ორიენტაციისაა. უკრაინა საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების გზაზე სწორედ ამ მიზეზით უამრავ წინააღმდეგობას აწყდება.

უკრაინის პრეზიდენტი ამ წინააღმდეგობებს გადაულახავად არ მიიჩნევს. ეძებს გზებს, ხშირად მორეულსაც კი. ერთი ასეთი, ორიგინალური და გაბედული აქცია იყო სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან — არგენტინა, ბრაზილია, ჩილე — ორმხრივი კონტაქტების დამყარება ამ ქვეყნებში მისი ვიზიტის დროს, როგორც მან თქვა, — შედეგიანი და სასარგებლო.

დეტალების განხილვას აქ არ შევუდგები (თუმცა პრეზიდენტმა კუჩმამ ეს საკმაოდ დეტალურად, არგუმენტირებულად დაასაბუთა), მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამერიკის კონტინენტის სამხრეთის ქვეყნებში კუჩმასეული მარშრუტი ახლახან ბილ კლინტონმა გაიმეორა საერთოამერიკულ ბაზარში მათი (ამ ქვეყნების) შემოერთების მიზნით.

ბაზარი, რა თქმა უნდა, ბაზარი სჭირდება ამერიკის შეერთებულ შტატებს, სჭირდება უკრაინასაც. სამხრეთ ამერიკა თანახმაა ისეთ საქონელზე, იმ მომსახურებაზე (რაც ასე აუცილებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის), რომელიც იაფი ღირს, ნაკლები ჯდება, ამ თვალსაზრისით უკრაინა მისწრებაა.

უკრაინის პრეზიდენტთან საუბარი ყოფილ სსრკ ტერიტორიაზე კონფლიქტების მოწესრიგების საკითხის განუხილავად ვერ დამთავრდებოდა. შევეკითხენ კიდეც, — იკისრებს თუ არა უკრაინა რუსეთის, როგორც შუამავალი ქვეყნის, შემცვლელის როლს?

ლეონიდ კუჩმას ურუსეთოდ პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე კონფლიქტების მოგვარებაზე ლაპარაკი მართებულად არ მიაჩნია, თავისი ვალდებულებანი კი დეკლარირებული აქვს ერთობლივ დოკუმენტში, რომელსაც ხელი მოაწერეს თბილისში ვიზიტის დროს.

ეს არ არის პასუხისმგებლობის თავიდან აცილება, არამედ იმ რეალური ადგილისა და გავლენის ადეკვატური შეფასებიდან გამომდინარეობს, რომელიც რუსეთს დღევანდელ მსოფლიოში აქვს.

— სამწუხაროდ, — თქვა მან, — ჩვენ ხშირად სასურველს არსებულად მივიჩნევთ. ჩვენ, უკრაინას, მსოფლიოში როგორც საჭიროა, ისე არ გვიცნობენ, თუმცა გვინდა რომ გვიცნობდნენ.

პიერ რიშარს, ცნობილ ფრანგ მსახიობს ერთხელ შევხვდი, და ასეთი (ცოტა გულდასაწყვეტი) ამბავი მომიყვა:

— თქვენთან გამოსაფრენად აეროპორტში ტაქსით გავემგზავრე. შოფერი მეკითხება, საით მიემგზავრებით, მესიე რიშარ? ვუთხარი, რომ კიევში მიფრინავდი. სახე შეეცვალა: — იქ რა გინდათ, იქ ხომ ომია!.. კიევი ჩეჩნეთი ეგონა.

უკრაინა აქტიურად მუშაობს მსოფლიო თანამეგობრობაში თავისი ადგილის დასამკვიდრებლად. ნატოსთან განსაკუთრებული ურთიერთობის შესახებ შეთანხმებაც ამ მიზნისკენ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯია.

— ჩვენ არ გვსურს ნაცრისფერ ზონაში აღმოვჩნდეთ, — თქვა მან, რითაც ხაზი გაუსვა, რომ უსახო ქვეყნის პერსპექტივა უკრაინისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. — ჩვენ არ გვსურს ვიყოთ ბუფერული ქვეყანა, რადგან ამ დროს მოსიყვარულებაც კი საშიშია, რადგან ორთა შორის შეიძლება გაიჭყლიტო.

ამას ბუნებრივად მოჰყვა შეკითხვა ატომური იარაღის შესახებ — რატომღა გაიტანა უკრაინამ ეს ბირთვულქობინებიანი რაკეტები რუსეთში?

— რომ არ გაგვეტანა, ბირთვული იარაღის მქონე ქვეყანა ვიქნებოდით, ანგარიშგასაწევი? — დაგვიბრუნა კითხვა პრეზიდენტმა, — სხვათა შორის, ამ პოზიციიდან შემომიტიეს ჩვენს პარლამენტში. ატომური იარაღი ყველაზე იაფი შეიარაღებაა.

მაგრამ პოლიტიკურ ასპექტთან ერთად, აქ არის ერთი ტექნიკური საკითხი, რომელიც არა მარტო ანგარიშგასაწევია, არამედ გადამწყვეტიც. ქობინებს, მოგეხსენებათ, რუსეთში ამზადებენ. მათ გარკვეული რეჟიმი, მოვლა, მომსახურება სჭირდება. გარკვეული პერიოდის შემდეგ შესაცვლელია, რადგან გამოსხივება ძალიან იზრდება და გარემომყოფთათვის მეტისმეტად საშიში ხდება. როდესაც პარლამენტარები ძალიან გააქტიურდნენ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ ბირთვული იარაღიო, პირდაპირ ვუთხარი: თანახმა ვარ, ოღონდ ერთი პირობით, გაემგზავრეთ და ერთიორი კვირა იმ ჯარისკაცების გვერდით იმუშავეთ, რომლებიც ამ რაკეტებს უვლიან.... მერე თქვენს ცოლებს ვკითხოთ, თანახმანი არიან თუ არა, დარჩეს ბირთვული იარაღი უკრაინაში.

საკითხი მოიხსნა...

და დროც გავიდა. როგორც დასაწყისში გითხარით, დაგეგმილზე გაცილებით მეტი დრო „დაიხარჯა" პრეზიდენტ კუჩმას შეხვედრაზე ქართველ ჟურნალისტებთან.

ეს მართლაც უპრეცედენტო ფაქტი იყო...

არმაზ სანებლიძე.

P. S. როგორი სუფრა იყო იმ საუზმეზე? რა თქმა უნდა, პრეზიდენტს რომ ეკადრება, ისეთი, მაგრამ როგორც თქვენ არ იცით, რა ეწყო, რა შემოჰქონდათ მაგიდაზე, ისე მეც არაფერი ვიცი.

ა. ს.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

მეცნიერება

ადამიანის არსებობის გარანტი

შელფური ზონა ბუნებრივი რესურსების უმდიდრესი წყარო

მზის ენერგია, მიწისქვეშა სითბო, წყლისა და მიწის წიაღში განლაგებული რესურსები, მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო და სხვა ბევრი, ბუნების მიერ ნაბოძები სიმდიდრე ბუნებრივი რესურსების ძირითად სახეობებს წარმოადგენენ. ეს სახეობები დედამიწაზე არათანაბრად არის განაწილებული. მათი სიჭარბე და გონივრული გამოყენება განსაზღვრავს ძირითადად ცხოვრების დონეს და სახელმწიფოთა სიმდიდრეს.

კაცობრიობის ისტორიაში უმთავრესად ბუნებრივი რესურსები იყო და, სამწუხაროდ, დღესაც არის კონფლიქტებისა და სახელმწიფოთა შორის სისხლისმღვრელი ომების მიზეზი. მის გარეშე ადამიანის არსებობა შეუძლებელია.

ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსების მოვლა და მისი გონივრული გამოყენება.

ბუნებრივი რესურსების სახეობები ორ კატეგორიას განეკუთვნება — პრაქტიკულად ამოუწურავ და ამოწურვად ბუნებრივ რესურსებს. ამოწურვადი ორ ჯგუფად იყოფა: განახლებად და განუახლებად სახეობებად, ამ უკანასკნელს ძირითადად სასარგებლო წიაღისეული მინერალური რესურსები განეკუთვნება, რომელსაც ადამიანმა ჯერ კიდევ ოთხი ათასი წლის წინათ მიაგნო, დაიწყო მისი პრაქტიკული გამოყენება და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

მოსახლეობის რაოდენობის მატება, მისი მოთხოვნილების სისტემატური ზრდა ბუნებრივი რესურსების ახალი წყაროების ძიებასა და მათ ინტენსიურ ათვისებას მოითხოვს. ამას, აგრეთვე, ხელს უწყობს მეცნიერების პროგრესი, რომელიც საოცრად აჩქარებს და აადვილებს კიდეც ამ პროცესს. ყოველივე ამას კი კონტინენტური მინერალური რესურსების მარაგი კატასტროფულ შემცირებამდე მიჰყავს.

მომავლის ჰორიზონტზე, სადღეისოდ, ამ კატასტროფიდან თავის დაღწევის მხოლოდ ერთადერთი გზა მოჩანს. ეს მსოფლიო ოკეანეებისა და ზღვების შელფური ზონაა, რომელიც მინერალური რესურსების უმდიდრეს მარაგს ინახავს.

რთული და ძვირადღირებულია ასეთი ზონიდან მინერალური რესურსების მოპოვება, მაგრამ დღეს უკვე შელფური ზონიდან მოპოვებული მინერალური რესურსები ზოგიერთი სახელმწიფოს ძირითად სიმდიდრეს წარმოადგენს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ შელფური მინერალური რესურსების ათვისების პროცესი უკვე დაწყებულია და მიუხედავად მოპოვების სიძვირისა, იქიდან ამოღებული მინერალური რესურსები ეკონომიურად გამართლებულია და ხელსაყრელი. მაშ, რა უშლის ხელს მათ მასიურად მოპოვების პროცესს? ამ კითხვას ერთი პასუხი აქვს — უაღრესად რთულად განსახორციელებელი და ძვირად ღირებული მინერალური რესურსების ძიება და მიგნება შელფურ ზონაში.

დედამიწის ორბიტაზე ხელოვნური თანამგზავრების გაყვანის შემდეგ ადამიანისთვის ძნელად შესაღწევ ადგილებში, კერძოდ, დაუსახლებელ მაღალმთიან ზონებში და ოკეანეებისა და ზღვების ფსკერზე მინერალური რესურსების ძიების სრულიად ახალი, უაღრესად პერსპექტიული შესაძლებლობები გამოიკვეთა.

საქმე ის არის, რომ დედამიწის სიღრმეებში ტემპერატურული ველის განაწილების სტრუქტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული გეოსფეროების შემადგენლობაზე, მის ერთგვაროვნებაზე, განსაკუთრებით დედამიწის ქერქში განლაგებული მინერალების თერმულ თვისებებზე, კონცენტრაციაზე, სიმკვრივეზე, რაოდენობაზე და სხვა. ყოველივე ეს იწვევს ნიადაგში ტემპერატურის არაერთგვაროვან განაწილებას.

ყოველი ნივთიერება, რომელსაც რაიმე ტემპერატურა გააჩნია, თავად ხდება გამოსხივების წყარო და გამოსხივებული ენერგია მკვეთრად არის დაკავშირებული მის ტემპერატურასთან. სხვადასხვა ტემპერატურების მქონე ნივთიერებები მისთვის დამახასიათებელი, განსხვავებული ენერგიების გამომსხივებელ წყაროებად იქცევიან ხოლმე. სწორედ ეს განსხვავებული გამოსხივებული ენერგიები ქმნიან მინერალების ადგილსამყოფელის მიგნების შესაძლებლობას. აღმოჩნდა, რომ ამ განსხვავებათა მიგნების ყველაზე ეფექტიან, პრინციპულ შესაძლებლობას ხელოვნური თანამგზავრები იძლევიან, საჭიროა მხოლოდ ძიების შესაბამისი მეთოდების დამუშავება.

აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდების დამუშავება მეცნიერების შესაძლებლობის მაშინდელ საზღვრებს სცილდებოდა. მიუხედავად ამისა, 70-იან წლებში ამ მიმართულებით ინტენსიურად დაიწყო ყველაზე ძვირადღირებული სამეცნიერო, კვლევითი სამუშაოები და შემუშავდა ცნობილი პროგრამა „ინტერკოსმოსი". მასში გაერთიანდა ყოფილი საბჭოთა კავშირის და ე.წ. „სოციალისტური ორიენტაციის" მქონე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. აღნიშნული პროგრამის მიხედვით კვლევის პოლიგონს შავი ზღვის აკვატორია წარმოადგენდა.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა — ატმოსფერული გაჭუჭყიანება, რომელიც ნიადაგიდან გამოსხივებულ ენერგიაზე ახდენდა გავლენას, ატმოსფეროში გავლისას გარდაქმნიდა მას და თანამგზავრიდან მიღებული ინფორმაციის გაშიფვრას შეუძლებელს ხდიდა. აუცილებელი გახდა ატმოსფერული აეროზოლების ოპტიკური თვისებების შესწავლა და თანამგზავრიდან მიღებული ინფორმაციის გაშიფვრისას მისი გათვალისწინება.

იმ პერიოდში ატმოსფეროს გაჭუჭყიანების პრობლემებზე, კერძოდ, კლიმატის ცვლილებაზე მისი გავლენის შესასწავლად, მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი მუშაობდა აკადემიკოს თეოფანე დავითაიას ხელმძღვანელობით. აღნიშნული პრობლემის გადაჭრა ყოფილი საბჭოთა კავშირის აკადემიამ სწორედ ამ ინსტიტუტს დაავალა. შეიქმნა სპეციალური ლაბორატორია, შემუშავდა პროგრამა და მისი ხელმძღვანელობა ამ სტრიქონების ავტორს დაევალა.

პროგრამა ითვალისწინებდა ნებისმიერი ატმოსფერული პროცესების დროს ე. წ. აეროზოლების ოპტიკურ-მეტეოროლოგიური მოდელების სისტემათა შექმნას, რომლებსაც თანამგზავრიდან მიღებული ინფორმაციის გაშიფვრის საშუალება უნდა მოეცა. კვლევისთვის აუცილებელი იყო ექსპერიმენტული ბაზის დაარსება შავი ზღვის ისეთ სანაპირო ზონაში, რომელიც მდიდარი იყო ატმოსფერული პროცესების მრავალსახეობებით. აჭარის ზღვისპირეთი და მაღალმთიანი ზონა ასეთი პროცესების უნიკალურ, ბუნებრივ ლაბორატორიას წარმოადგენდა და არჩევანიც მასზე შეჩერდა.

1980 წელს ბათუმში დაარსდა გეოგრაფიის ინსტიტუტის ბუნებრივი პროცესების მოდელირების ლაბორატორიის ატმოსფერული აეროზოლების ოპტიკური თვისებების შემსწავლელი ექსპერიმენტული ბაზა — ბათუმის სტაციონარი, სადაც საველე ექსპერიმენტული კვლევითი სამუშაოები ტარდებოდა. ამ ბაზაზე ჩატარებული გამოკვლევების შედეგებმა, შეიძლება ითქვას, მსოფლიო აღიარება ჰპოვა. ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე შელფური ზონისთვის შექმნილი ატმოსფერული აეროზოლების ოპტიკურ-მეტეოროლოგიური მოდელები პირველი აღმოჩნდა, რომელთაც შეეძლოთ თანამგზავრიდან მიღებული ინფორმაციის გაშიფვრა. ეს იმთავითვე დაამტკიცა ხელოვნურ თანამგზავრზე „ინტერკოსმოსი-21" და ორბიტალურ სადგურზე „სალიუტ-7" ჩატარებულმა აღნიშნული მოდელების პრაქტიკული გამოყენების პირველივე ცდებმა.

საკმაოდ ფართო აღმოჩნდა აჭარის ბუნებრივ პირობებში მიღებული მოდელების გამოყენების არეალი საზღვარგარეთაც. იგი მათივე მოთხოვნით გადაეგზავნათ მსოფლიოში კოსმოსური კვლევის მნიშვნელოვან ცენტრებს, მათ შორის აშშ აერონავტიკისა და კოსმოსური კვლევის ნაციონალურ სამმართველოს (NASA).

აჭარაში მიღებულმა შედეგებმა მაშინვე მიიპყრო ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყურადღება და პრეზიდიუმთან არსებული მსოფლიო ოკეანეების პრობლემების კომისიამ თავისი მორიგი მეცხრე პლენუმი ბათუმში დანიშნა ჯერ კიდევ 1984 წელს; მასში 150-მდე ცნობილი მეცნიერი მონაწილეობდა. პლენუმის რეზოლუციაში (იგი მსოფლიოს რამდენიმე ენაზე გამოქვეყნდა), ხაზგასმით იყო აღნიშნული აჭარაში მიღებული შედეგების როლი ხელოვნური თანამგზავრებიდან შელფური ზონის მინერალური რესურსების ძიების მეთოდების ჩამოყალიბებაში.

დღეს კოსმოსური სამყაროდან შელფურ ზონაში ამოწურვადი მინერალური რესურსების ძიების მეთოდების დამუშავება გადამწყვეტ ფაზას უახლოვდება. არც ისე შორს არის ის დრო, როცა შელფური ზონიდან მოპოვებული რესურსები ცხოვრების დონეს საგრძნობლად წინ წასწევს და კაცობრიობას დიდ სარგებლობას მოუტანს. სამეცნიერო კვლევებზე ათწლეულებში დაბანდებული კაპიტალი „უნაყოფო ხარჯებიდან" შემოსავლის უმდიდრეს წყაროდ იქცევა. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ამ პროცესში გარკვეული როლი აჭარის ბუნებას და მასში ჩატარებულ გამოკვლევებს მიუძღვის.

საქართველოს შელფური ზონა უდავოდ მდიდარია მინერალური რესურსებით, ამას თუნდაც აჭარის ასეთ ზონაში ახლახან მიგნებული აალებადი აირებიც ადასტურებენ.

მინერალური რესურსების ძიებისა და მისი რაციონალური მოპოვების მეთოდების საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ ბევრი მსხვილი თუ წვრილი სამეცნიერო პრობლემაა გადასაჭრელი. აჭარის ბუნება და გეოგრაფიის ინსტიტუტის გამოცდილება კი ამ პრობლემების გადაჭრაში გარკვეული წვლილის შეტანის გარანტიას იძლევა.

შელფის ბუნებრივი რესურსები, ისევე როგორც კონტინენტის, — ამოწურვადია, ამიტომ მისი ათვისების ორგანიზაციას ყოველმხრივ გააზრებული მიდგომა სჭირდება.

კუკური თავართქილაძე,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

თვალსაზრისი

მელიორაციას ყურადღება სჭირდება

კანონს მელიორაციის შესახებ ქვეყნის პარლამენტი უახლოეს პერიოდში განიხილავს. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამ დარგის სპეციალისტთა არა ერთი წერილი გამოქვეყნდა. ამჟამად გთავაზობთ აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას წერილს.

მელიორაციას ჩვენთან, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილურობისა და მოსავლიანობის გაზრდისათვის ალტერნატივა არ გააჩნია. ნებისმიერი ბუნებრივი კლიმატური პირობების დროსაც მიწა მელიორაციას მაინც საჭიროებს. ეს აქსიომა ცივილიზებულ ქვეყნებში მიღებულია და მადლობა ღმერთს, რომ ჩვენშიც ამ ჭეშმარიტებაზე უკვე აღარ დაობენ. და თუ არა მელიორაციული ღონისძიებანი, რიგ რაიონებში სოფლის მეურნეობის იმ დონის მიღწევაც კი, რაც გაგვაჩნია, შეუძლებელი იქნებოდა. აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოში, ბოლოდროინდელმა გვალვების მიერ მიყენებულმა ზარალმა აბედითად შეგვახსენა თავი და ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა მელიორაციულ ღონისძიებათა ცხოვრებაში დანერგვისა და ფართო მასშტაბით გატარების აუცილებლობაში. დარგი ჩვენგან მეტ ყურადღებას მოითხოვს. რაც მიღწეულია და წლების მანძილზე გაკეთებულა, დღეს ნიავდება.

რამ გამოიწვია ეს ყოველივე?... ახლო წარსულში, ქვეყანაში შექმნილმა არასტაბილურმა მდგომარეობამ. საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის დროს შექმნილმა არაჯანსაღმა დამოკიდებულებამ, უგულისყურობამ და უპასუხისმგებლობამ.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ ძირითადად დააზარალა ის დარგები, რომელთა ფუნქციონირებაც დაკავშირებული იყო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებებთან და საბიუჯეტო ფინანსირებასთან. აღნიშნული პროცესი უარყოფითად შეეხო წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სფეროსაც. არ შევუდგებით იმის აღწერას, თუ როგორ გაჩანაგდა ქვეყნის სარწყავი სისტემები, სარწყავი ტექნიკა და მოწყობილობა, მწყობრიდან როგორ გამოვიდა მაგისტრალური და განმანაწილებელი არხების მნიშვნელოვანი ნაწილი, შლიუზები, წყალმიმღებები, სათავე ნაგებობები. ფაქტობრივად შეწყვიტეს ფუნქციონირება მელიორაციული დანიშნულების სატუმბო სადგურებმა. მნიშვნელოვნად დაზიანდა ფრიად საფრთხილო ობიექტი მდინარე რიონზე — ფოთის ჰიდროკვანძი და სხვა. დაიწყო ისეთი ნეგატიური პროცესები, როგორიცაა ეროზია, დამლაშება, დაჭაობება, მეწყერიანობა, რაც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას. კოლხეთში ხელმეორედ დაჭაობდა დიდი მოცულობის ფართობები. არის საშიშროება მალარიის შემოტევისა. მძიმე მდგომარეობაა სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგებისა და გაწყლოვანების მხრივაც.

წყლის მიუწოდებლობის გამო მოურწყავი რჩება მელიორირებული მიწების საკმაოდ დიდი ნაწილი, ხშირად იმ ფართობებზეც კი, რომელთა სიახლოვეს წყალი მიედინება, სარწყავი ტექნიკის უქონლობის გამო მორწყვა ვერ წარმოებს. სამწუხაროა, რომ მრავალი ათასი ჰექტარი მიწა მელიორირებულ სავარგულებიდან გამოითიშა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეცნიერთა წრეში და საზოგადოებაში დიდი მოწონება დაიმსახურა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პარლამენტის ძალისხმევამ 3 სექტემბერს მთავრობის მიერ მიწების მელიორაციის კომპლექსური განვითარების პროგრამის მიღებასთან დაკავშირებით. ეს არის მელიორაციის ასაღორძინებლად წინ გადადგმული ნაბიჯი. როგორც მელიორაციას, არც ერთ დარგს არ ძალუძს დიდი წვლილი შეიტანოს ქვეყნის მოსახლეობისა და კვების მრეწველობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. მელიორაციის აღორძინების გარეშე სახელმწიფო ვერ გაძლიერდება, ხოლო მელიორაცია ვერ განვითარდება სახელმწიფოს დახმარების გარეშე. ამრიგად, საჭიროა, რომ სახელმწიფომ, მიუხედავად არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, მაინც გამონახოს გზები და სახსრები მელიორაციის განვითარებისა და დახმარების გასაწევად, რადგან იგი ერთადერთი რაციონალური და უმოკლესი გზაა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისათვის. ამ გზის გავლით მიაღწიეს თავიანთი ეკონომიკის ამჟამინდელ დონეს განვითარებულმა ქვეყნებმა. სახელმწიფოებში, სადაც წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის ისეთი მაღალი დონეა, რაზედაც ჩვენ ჯერჯერობით ოცნებაც კი არ შეგვიძლია, მიუხედავად მიღწეულისა, კვლავ ზრუნვას არ აკლებენ ამ დარგის განვითარებას.

მელიორაციული მიწათმოქმედების ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ დიდ რეგიონად აშშ ითვლება, სადაც ჯერ კიდევ 1902 წლიდან არსებობს მელიორაციის სახელმწიფო სამსახური. მას ჰიდროენერგეტიკაც ექვემდებარება.

აშშ-ში მელიორაციული ობიექტების შექმნა, როგორც წესი, სახელმწიფოს ხარჯზე მიმდინარეობს. ამერიკელი ფერმერი საკუთარი სახსრებიდან რწყვათა ჩატარების მთლიანი ღირებულების მხოლოდ 17 პროცენტს იხდის, სამხრეთ კორეასა და პაკისტანში ფერმერები იხდიან მორწყვაზე გაწეული ხარჯების 13 პროცენტს, ფილიპინებზე — 10 პროცენტს, ინდონეზიასა და ტაილანდში — 3 პროცენტს, ბანგლადეშში 1 პროცენტს. ამასთან, აშშ-ში სარწყავი ფართობები ურწყავთან შედარებით 2,5-ჯერ მეტ დანახარჯებსა და სამჯერ მეტ ელექტროენერგიის ხარჯვას მოითხოვს, მოსავალი ურწყავთან შედარებით ოთხჯერ მეტი მოდის, ამიტომ სარწყავი მიწების ფასი სამჯერ და უფრო მეტად ფასობს. ნიუ-ჯერსის შტატში ერთი ჰექტარი სარწყავი მიწის ღირებულება 27,4 ათასი დოლარია, ურწყავი ფართობი კი მხოლოდ 9 ათას დოლარად იყიდება. აშშ-ში სარწყავ ფართობებს უჭირავს საერთო სავარგულების 15 პროცენტამდე, მათზე ქვეყნის მთლიანი მოსავლის მესამედზე მეტი მოდის.

ჩვენს ქვეყანაში დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, მელიორაციული ობიექტების შესანარჩუნებლად შეიძლება სხვადასხვა გზის გამონახვა.

ობიექტების ერთი ნაწილი შეიძლება კვლავ ავამოქმედოთ და მათი ექსპლუატაცია გავაგრძელოთ შესაძლებლობის ზღვრისწინა რეჟიმით, ცვეთის ზღვარზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საექსპლუატაციო ორგანიზაციებს უნდა მივანიჭოთ გარკვეული შეღავათები. ობიექტების მეორე ჯგუფზე კი მათი მოდერნიზაცია და რეკონსტრუქცია ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყოთ. მესამე ჯგუფზე შეიძლება განხორციელდეს არსებული რწყვის ტექნიკის ენერგოდამზოგავი საშუალებებით შეცვლა. გვაქვს ისეთი ობიექტებიც, რომელთა შემდგომი ექსპლუატაცია საერთოდ შეუძლებელია და, სანამ ისინი საბოლოოდ გაჩანაგდებოდნენ, საჭიროა მათი დემონტაჟი და შენახვა.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მელიორაციულ ობიექტებს სიკეთესთან ერთად „მტრობაც" შეუძლიათ. საერთოდ, ბუნებაში არ არსებობს აბსოლუტურად უსაფრთხო ობიექტები, ამიტომ ისინი დაცული და უვნებელი უნდა იყოს. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ჩვენი კაშხალები და წყალსაცავები დღეს მეთვალყურეობას და რემონტს არის მოკლებული. უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიოში ბოლო ასი წლის მანძილზე აღნიშნულ ობიექტებზე ათასი უბედური შემთხვევა დაფიქსირდა (საშუალოდ წელიწადში ათი), ჩვენ კი ამას თითქმის არაფრად ვთვლით. და ხშირად ობიექტებს უმეთვალყუროდ ვტოვებთ. უპირველესად, საჭიროა მათი ინვენტარიზაცია და მელიორაციული ობიექტების აღდგენა, ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა. მალე პარლამენტი მიიღებს კანონს მელიორაციის შესახებ, ეს უდავოდ საშვილიშვილო საქმეა, კანონი ხელს შეუწყობს მელიორაციული ორგანიზაციების მიერ სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას. თუ როგორ იქნება გადაჭრილი მელიორაციული და მასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები, ამაზე ბევრად არის დამოკიდებული დარგის განვითარება და ქვეყნის კეთილდღეობა.

ჩვენ, მეცნიერმა-მელიორატორებმა ხელი უნდა შევუწყოთ ამ დარგის აღდგენა-განახლებასა და აღორძინებას.

ცოტნე მირცხულავა,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი, გაეროს ექსპერტი.

საქართველოს რესპუბლიკა
№270. ხუთშაბათი, 30 ოქტომბერი, 1997 წელი.

თენგიზ აბულაძე,
საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე

იზრდება საბიუჯეტო შემოსავლები

იმის მიუხედავად, რომ გვაქვს აღრიცხვიანობის მოწესრიგებისა და უკეთესობის ტენდენცია, სრულყოფილებამდე ჯერ კიდევ შორსა ვართ, ბევრ მომენტთაგან თუნდაც ორის გამო:

1. ეს გახლავთ დაულუქავი ტვირთები და მასთან დაკავშირებული ხელბარგის ბიზნესი.
2. მოუწყობელი საკონტროლო გამშვები პუნქტები (ამაზე ქვემოთ შევჩერდები).

უმრავლეს შემთხვევაში სწორედ ეს ხდება როგორც აღრიცხვიანობის სრულფასოვანი სტატისტიკური აღნუსხვის ხარვეზისა და ცდომილების მიზეზი, ასევე კონტრაბანდის ერთ-ერთი წყარო. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სერიოზული მუშაობა გასწია მეზობელი და მომწოდებელი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან, მაგრამ დათქმული ვადა იმის თაობაზე, რომ ქვეყანაში დაულუქავი ტვირთები ქვეყნის საზღვარს აღარ გადმოკვეთდნენ, მათივე მოთხოვნით, კვლავ ექვსი თვით გადაიწია. ამდენად (საზოგადოებამ გვინდა იცოდეს), ჩვენ კვლავ დაულუქავი ტვირთებისა და მოუწყობელი საკონტროლო-გამშვები პუნქტების, (წითელი ხიდი, სადახლო, გუგუთი, ყაზბეგი) პირობებში მოგვიწევს ბრძოლა სრულფასოვანი საბაჟო კონტროლის განხორციელებისა და ბიუჯეტის შევსებისათვის.

ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების კონტროლის გაძლიერების მიზნით მუშავდება პროგრესული მეთოდები საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფისათვის, ე. წ. „სარკისებური სტატისტიკის" მეთოდი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებლობა გვეძლევა მოვიპოვოთ საქართველოს პარტნიორი ქვეყნის საბაჟო სამსახურების მიერ დამუშავებული ინფორმაცია ამ ქვეყნებთან საქართველოს ექსპორტ-იმპორტის თაობაზე და შევადაროთ ის ჩვენს ხელთ არსებულ ანალოგიურ ინფორმაციას. ასეთი შედარებები შესაძლებლობას მოგვცემს გამოვავლინოთ აღურიცხავი საგარეო-სავაჭრო ოპერაციები და მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილებები. ეს ჩვენს მუშაობაში სიახლეა და იმედი გვაქვს, რომ სტატისტიკის დეპარტამენტთან ამ სფეროში ერთობლივი საქმიანობით სასურველ შედეგს მივიღებთ.

საბაჟოში ინერგება რაკორდისა და პოსტკონტროლის, სრულყოფილი საფინანსო-ეკონომიკური ანალიზის სისტემა, რითაც შევძლებთ ვაკონტროლოთ და ვმართოთ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის თითოეული ოპერაცია, რასაკვირველია, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

დღის წესრიგში დგება იმპორტის ოპერაციებზე სავალუტო-საბაჟო კონტროლის მექანიზმის შემოღება-ამუშავება, რათა ყოველი სავალუტო ტრანსფერი თუ აკრედიტი წინასწარ იქნეს ცნობილი, რათა გავაკონტროლოთ საბაჟო ტვირთების და ფულადი ნაკადების ურთიერთთანხვედრა. მიგვაჩნია, რომ აქ არის რეზერვები და ის უნდა ჩადგეს საბაჟო კონტროლის, ბიუჯეტის შევსების სამსახურში.

უფრო მნიშვნელოვანი რეზერვები გვესახება კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში. ჩვენ, წლის ბოლომდე დარჩენილი მონაკვეთი ამ მუშაობის გაძლიერების საგანგებო პერიოდად გამოვაცხადეთ. არის გარკვეული შედეგები. ძალზე მოკლედ მათ შესახებ:

წლეულს, 9 თვეში განხორციელებული ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად დაფიქსირდა საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის 89 ფაქტი, აქედან 6 ფაქტზე კონტრაბანდის კვალიფიკაციით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, სასამართლოებში განსახილველად წარიმართა 7, საჯარიმო სანქციებით გადაწყვეტილია 13 საქმე, გამოტანილია 16 დადგენილება საქონლის განბაჟებაზე, 5 დადგენილება კონფისკაციაზე. ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებულია 1029068 ლარი, მათ შორის საჯარიმო სანქციებით — 27 426 ლარი, კონფისკაციის შედეგად — 682 314 ლარი.

ქვეყნის ხელმძღვანელობისა და ძალოვანი სტრუქტურების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად სიყალბეებისა და მანიპულირების სქემებმა საქართველოს შიგნიდან მის ფარგლებს გარეთ გადაინაცვლა. ბულგარეთში მივლინებულმა ჩვენმა ოპერატიულმა მუშაკებმა მოიპოვეს დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ შემოტანილი შაქრის ფხვნილის ცალკეული პარტიები არის არა უკრაინული, არამედ ბულგარული წარმოშობისა. ოპერატიული სამმართველოს მოკვლევის განყოფილებას ამჟამად წარმოებაში აქვს 10 საქმე, მათ შორის, წლეულს, ივნის-ივლისში ფირმების „გინომი"-სა და „კეტა"-ს მიერ 500 და 2200 ტონა ბულგარული შაქრის ფხვნილის ყალბი საბუთებით შემოტანის ფაქტი. ამის გამო, აღნიშნული პროდუქცია დაიბეგრა საქონლის ღირებულების 0,3 პროცენტით, ნაცვლად 34,7 პროცენტისა. რა თქმა უნდა, მოკვლევის შესაბამისად, ყველა ამ საქმეს მიეცემა მიმართულება. ამას სხვა შედეგიც მოჰყვა — იმპორტიორები დღეს იძულებულნი არიან ხელი აიღონ დოკუმენტურ სიყალბეებზე, რასაც ბოლო პერიოდის 8 თვის ანალიზი მოწმობს. ეს თავისთავად გაამკაცრებს წესრიგს, გაზრდის ბიუჯეტის შემოსავლებს, მაგრამ გვინდა შემოვიდეთ წინადადებით იმის თაობაზე, რომ აღნიშნული პროდუქციის (შაქრის ფხვნილი) დაბეგვრით ნუ დაველოდებით დსთ-ს ქვეყნებთან რეჟიმის შეცვლას. ვფიქრობთ, ეს არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას საბაზრო ფასებზე, მაგრამ საგრძნობლად გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს, და, რაც მთავარია, ნაკლები შანსი დარჩება სიყალბეებისათვის. კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაფერს და ერთბაშად ვერ გავწვდებით, მაგრამ ჩვენ ამ მიმართულებითაც მალე მოვძლიერდებით. აქ დანდობა არ იქნება. ახლახან ჩვენმა მუშაკებმა დააკავეს 4500 ბოთლი არაყი (ეტიკეტით „Особая Русская водка" произведено и разлито в России"), რომელიც რუსეთში კი არა, ჩვენთან, ვამლიჯვარშია ჩამოსხმული. ეს ფაქტი გამონაკლისი როდია. საერთოდ არყის, ალკოჰოლური სასმელების საკითხი უნდა გადაიჭრას. ვფიქრობთ, საქართველოს აქვს პოტენციალი ლეგალურად აწარმოოს და აღნიშნული პროდუქტით გააჯეროს საკუთარი ბაზარი, რომელიც მეზობელი და ევროპის ქვეყნებიდან შემოზიდული ფალსიფიცირებული ნაწარმით ივსება. მაგრამ ამ საკითხს მარტო ვერ გავწვდებით, დაგვჭირდება უშიშროების საბჭოს დახმარება, ძალოვან სტრუქტურებთან შეთანხმებული მოქმედება.

ჩვენ გვაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საავიაციო ქარხნის უწყებრივი თვითმფრინავით გადის კონტრაბანდული საქონელი, მათ შორის მცირე რაოდენობის სიგარეტიც. მინდა ვთხოვო ქარხნის ხელმძღვანელობას, საკუთარი ძალებით მოაგვაროს პრობლემა, რათა არ დაგვჭირდეს ჩარევა. ცოტა ხანში ბაზრობებსაც მივწვდებით. მათმა ორგანიზატორებმა უნდა იცოდნენ, რომ საბაჟო კონტროლის გარეშე ბაზრობებზე პროდუქციის შესვლა ქვეყნისა და ხალხის საზიანოა და უნდა გამოგვყვნენ ბიუჯეტის სასარგებლო თანამშრომლობაზე. სხვა შემთხვევაში მოგვიწევს საგანგებო ღონისძიებების განხორციელება.

ღონისძიებები დაგვჭირდება საბაჟო სისტემის შიგნითაც. ალბათ, მოგვიწევს წლის ბოლომდე ოპერატიული სამსახურის თითქმის 50 პროცენტით გადახალისება. ასევე განზრახული გვაქვს საბაჟო ორგანოების პარალელურად დეპარტამენტის სამსახურების კონკურსის წესით დაკომპლექტება, რაც აბსოლუტური საჯაროობისა და გამჭვირვალობის ატმოსფეროში მოხდება. უახლოეს პერიოდში გამოვაქვეყნებთ პრესაში კონკურსის მოთხოვნებსა და პირობებს, ხოლო თვით კონკურსს სხვადასხვა უწყებიდან წარმოდგენილი ყველაზე ცნობილი, აღიარებული პიროვნებებითა და პროფესიონალებით შექმნილ კომისიას ვანდობთ.

ვერც ერთი სქემა, პროგრამა, რომლებიც გათვლილია საბაჟო საქმის სრულყოფასა და სახელმწიფოებრივ წესრიგზე, მით უფრო ანტიკორუფციულ ღონისძიებებზე, ვერ იმუშავებს კადრების, პირადი შემადგენლობის მობილიზების, გადამზადება-გადახალისების გარეშე. ამ მხრივ ყველაფერი კეთდება, ყოველდღიური მუშაობა მიმდინარეობს.

საბაჟო ორგანოების გადახალისება-დაკომპლექტების პიონერად ქუთაისი გამოვიდა (ხელშემწყობი თ. შამიაშვილი გახლდათ). შემდეგ პრეზიდენტის რწმუნებულების და სამხარეო ადმინისტრაციების ხელშეწყობით ატესტაცია-კონკურსები გაიმართა ყაზბეგში (მოძრავ საბაჟოში), თბილისის საბაჟოს გარდაბნის საგუშაგოზე, ფოთის რეგიონულ საბაჟოში, სადაც პირველადი ინფორმაციით კადრების 30-პროცენტიანი გადახალისება მოხდა. რა თქმა უნდა, ასეთ პროცესებს თან სდევს უკმაყოფილება, უსიამოვნებანი, ქვედა და ზედა დონეები, მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, კონკურსები გაგრძელდება უკვე საბაჟო დეპარტამენტის სამსახურების მოცვით. საბაჟო მოხელე უნდა უფრთხილდებოდეს თავის სამსახურს, უნდა იცოდეს, რომ ქვეყანას ამ მხრივ დიდი არჩევანი აქვს.

რეგლამენტი არ იძლევა საშუალებას, წარმოვადგინოთ საქმიანობის ყველა მიმართულების ანალიზი უკეთესობის ტენდენციებით. ეს არ ნიშნავს, რომ საქმე კარგად გვაქვს. დღესდღეობით, უკეთესობა გამოიხატება იმაში, რომ ყველა მიმართულების სუსტ წერტილზე მოქმედებს „საქაჩი". ამან მეტნაკლები შედეგები უკვე მოგვცა. არსებობს საკმაო რეზერვები და ქანჩების მოჭერა (ვისთვისაც და რამდენადაც უსიამოვნო არ უნდა იყოს) კიდევ შეიძლება, მაგრამ გარკვეულ დონემდე. ჩვენ ამ მხრივ მალე ამოვწურავთ რეზერვებს და წამოიჭრება პრობლემა, რომლის მოუგვარებლად და გადაუჭრელად შემდგომ წინსვლასა და შედეგების ზრდაზე ლაპარაკი უსაგნო იქნება. ეს გახლავთ საბაჟო ადმინისტრაციის გაძლიერება. ეს მთლიანობაში ძალიან მნიშვნელოვანი და პრობლემური თემაა. მიმდინარეობს სამუშაოები. სისტემას ბევრი შესძინა საქართველოს პრეზიდენტის შემწეობით, საბაჟო მოსაკრებლის შემწეობით ამოქმედებულმა მატერიალური სტიმულირების სისტემამ. არის დახმარებები საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, მაგრამ ქვეყანაში ისე ფორსირებულად ვითარდება პროცესები, რომ ეს დახმარება ვერც დროში ეტევა და ვერც ტემპებში. დრო არ იძლევა ამომწურავად ამაზე საუბრის საშუალებას, ამიტომ დავკონკრეტდებით:

საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოწესრიგების გარეშე (დღეისათვის არსებული მდგომარეობა აბსოლუტურ კონტრასტშია ქვეყნის საერთო სიტუაციასთან) ზემოთ ხსენებული რეზერვების ამოწურვის შემდგომ შეუძლებელი იქნება სრულფასოვანი საბაჟო კონტროლის განხორციელება. აქ ასეთი ფრაზა გაისმა: გამკაცრდეს კონტროლი საზღვრებზე. რა თქმა უნდა, რაღაც დონემდე, მაგრამ არა გვაქვს, ბატონებო, მოწესრიგებული სახელმწიფო საზღვარი. ვაგონებსა და ჯიხურებში განთავსებული მებაჟე და მესაზღვრე ვერ შეკრავს სრულფასოვნად ეკონომიკურ სივრცეს, მით უფრო შემოვლითი გზების პირობებში. ერთბაშად ყველაფრის მოწესრიგება გაჭირდება, მაგრამ პრიორიტეტების განსაზღვრა შემდეგი მიმდევრობით: „წითელი ხიდი", „სადახლო", „ყაზბეგი" და ა. შ. ძნელი არ უნდა იყოს. მე ვიცი, როგორ უჭირს ბიუჯეტს, მაგრამ, როცა ახალციხის (ვალე) გამშვები პუნქტი აშენდა, მაშინ ქვეყნის ბიუჯეტი თითქმის არ არსებობდა. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით გაჩნდა ქვეყნის ხელმძღვანელის განკარგულება, კვლავ არაორდინალური, გაიხსნა და აშენდა საკონტროლო-გამშვები პუნქტი. მერწმუნეთ, დღეს ქვეყნისათვის, მისი სახელმწიფოებრიობისათვის დიდად მნიშვნელოვანია, ვთქვათ, იგივე წითელი ხიდის, მთელი რიგი არსებული საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოწესრიგება. იქნებ მოხერხდეს საბაჟოს, მთლიანად საფინანსო სისტემის ინსტიტუციალურ-ადმინისტრაციული მშენებლობისათვის კრედიტის გამონახვა.

მე არ მინდა პრობლემებსა და მუქ ფერებში დაიხატოს სურათი, მხოლოდ გადაუდებელ აუცილებლობაზეა ლაპარაკი. პირიქით, ქვეყანა ძალზე სწრაფად მიდის წინ და ამ ტემპის მაჯისცემა, უპირველესად, საბაჟოზე შეიგრძნობა. რა თქმა უნდა, საბაჟო სისტემიდან საბიუჯეტო დავალებათა შესრულებას უზრუნველვყოფთ, ხოლო ზემოხსენებულ საკითხთა მოგვარების შემთხვევაში, გამართულად შეიძლება ლაპარაკი საპრეზიდენტო პროგრამის შესრულებაზეც.

დასასრული. დასაწყისი
იხ. „სრ" № 269.

პარლამენტი

არის პირველი ომბუცმენი, არ არის ქვორუმი

სხდომის თავმჯდომარემ დეპუტატებს რატიფიცირებისათვის შესთავაზა საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის 1997 წლის 15 სექტემბერს დადებული განვითარების საკრედიტო ხელშეკრულების (მეორე სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტი) რატიფიცირება. აგრეთვე, რატიფიცირება საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შეთანხმებისა — „საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ"; საქართველოს მთავრობასა და ყირგიზეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შეთანხმებებისა — „საჰაერო მიმოსვლის შესახებ" და „საავტომობილო მიმოსვლის შესახებ"; საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შეთანხმებებისა — „საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ", „საჰაერო ტრანსპორტის დარგში" და „სავაჭრო ნაოსნობის შესახებ".

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შემოიტანა საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე ხუთი წლის ვადით ასარჩევად წარმოდგენილი დავით სალარიძის კანდიდატურა. მანვე აღნიშნა, რომ ამ საკითხის განხილვა ფრაქციებსა და კომიტეტებში აქტიურად მიმდინარეობდა და პარლამენტის ბიურომ შემოთავაზებულ წინადადებას მხარი დაუჭირა. კენჭისყრის შემდეგ, ხუთი წინააღმდეგი ხმით, დეპუტატებმა წარმოდგენილი კანდიდატურა მიიღეს. დავით სალარიძემ მოკლედ აღნიშნა, რომ იგი მზადაა საქართველოს პარლამენტსა და ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობისათვის.

ცხარე კამათი გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნების „ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" კანონის გამო. ზურაბ ჟვანიამ დეპუტატებს განუმარტა, რომ პრეზიდენტის მიერ შენიშვნების შემოტანის პროცედურას იურიდიულად გაუმართლებელი ფორმა აქვს და ამის გამო, დააყენა წინადადება საკითხის გადადების თაობაზე დამატებითი განხილვისა და კონსულტაციებისათვის. ეს გადაწყვეტილება დეპუტატებმა კენჭისყრის შემდეგ არ მიიღეს. შემდეგ, კენჭში უარეს პრეზიდენტის შენიშვნებს, რაც, აგრეთვე, არ იქნა მიღებული. ამიტომ, პროცედურის მიხედვით, გადაწყდა, კენჭისყრა აღრინდელ ფორმულირებაზე, ანუ პარლამენტის მიერ პრეზიდენტისათვის გადაგზავნილ პირვანდელ ვარიანტზე, პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის მიზნით. ამ საკითხზე კენჭისყრის შემდეგ, ერთი თვის ვადით კვლავ ძალაში დარჩა პირვანდელი ვარიანტი.

სესიის ბოლოს, ქვორუმის უქონლობის გამო, სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, განხილულ კანონპროექტებსა და შეთანხმებებზე კენჭისყრები არ შედგა.

სხდომა ხვალ განაახლებს მუშაობას.

პარლამენტის
პრესსამსახური —
საქინფორმი.

დასასრული. დასაწყისი
იხ. პირველ გვერდზე.

მრეწველობა

კილკილნაჭამი კორუფცია

ანუ შევუქმნათ პირობები მეწარმეებს

ჩვენ ყველამ უმტკივნეულოდ გადავიტანეთ, როცა დედაქალაქის ერთ-ერთ უმსხვილეს და უღონიერეს რაიონს ლენინის სახელი გადავარქვით, მაგრამ ასევე უმტკივნეულოდ ვერ დავემშვიდობეთ ამავე რაიონის უძველეს და უტრადიციულეს სამრეწველო პოტენციალს.

ამას რომ ვამბობ, უწინარესად მხედველობაში მაქვს დადუმებული საწარმოები, უსაქმოდ და ულუკმაპუროდ დარჩენილი ათეულ-ათასობით ადამიანი და არა ჩვენი სამინისტროების, სახელმწიფო სტრუქტურათა ცალკეული ხელმძღვანელები, კორუფციაში ჩაყურყუმალავებული არცთუ მცირე რაოდენობის მოხელენი, რომლებიც უამსაწარმოებოდაც თავს მშვენივრად გრძნობენ.

ისინი კი, მაგრამ თვით ამ საწარმოების მესვეურები რას ფიქრობენ, ამ საყოველთაო გაჭირვების ჟამს თავს რით ირჩენენ?

წარმოიდგინეთ, ზოგმა თურმე ასეთ სიტუაციაშიც მოძებნა გამოსავალი — საამქროები გააქირავა (იჯარით გასცა), კუსტარული პროდუქცია გამოუშვა, ბაზარზე გაიტანა და საკუთარი ოჯახისა და საწარმოს ადმინისტრაციის გარშემო მყოფი ვიწრო წრისათვის არსებობის არცთუ ხელწამოსაკრავი გარანტია შექმნა.

ამან, რა თქმა უნდა, ჩვენს მწირ, გაჭირვებულ ყოფას ნირიც ვერ უცვალა, ოდესღაც მდიდარი, ქვეყნის მრეწველობის ფლაგმანი რაიონი, საწარმოთა უმოქმედობის გამო, დღესაც ლატაკად გამოიყურება.

მერე და, რას აკეთებენ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად? ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ თუ რა სურათი დახატეს აქაურმა მრეწველებმა ამ დღეებში გამართულ შეკრებაზე, რომელიც მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის (თავმჯდომარე დემურ კალანდაძე) თაოსნობით მოეწყო, ამას კი ვერ დაგიმალავთ.

დღეს ნაძალადევის რაიონის საწარმოები, თქვეს შეკრების მონაწილეებმა, თითქმის არ მუშაობენ. რაიონში არსებული უზარმაზარი ძირითადი ფონდებიდან მხოლოდ 10-15 პროცენტია დატვირთული. 18 მსხვილი საწარმოდან 5 სრულიად გაჩერებულია (ან თითქმის გაჩერებულია), 6 ქარხანა დატვირთულია 10-15 პროცენტით, ორი ქარხანა — 40 პროცენტით, და მხოლოდ ერთი — 92 პროცენტით (სს „კოლხეთი").

საწარმოთა ერთ ნაწილში შეიცვალა ხელმძღვანელობა, რაც საქმეს ცოტა წაეხმარა, მაგრამ სიტუაცია აქ წლების მანძილზე არსებითად უცვლელია. თითქმის ყველა მათგანი დიდ ფინანსურ სიძნელეებს განიცდის, უმრავლესობას მართებს ბიუჯეტის ვალები, მუშაკებს თვეობით ვერ აძლევენ ხელფასებს. ყოველივე ეს სულ უფრო აუარესებს როგორც საწარმოთა ეკონომიკურ მდგომარეობას, ისე მშრომელთა სოციალურ ყოფას. ამასთან ფინანსურად და მორალურად ცვდება გამოუყენებელი და უმოქმედო ძირითადი ფონდები, რაც კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას.

ამან ის გამოიწვია, რომ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 10-ჯერ, ზოგან კი 50-ჯერ შემცირდა. ფაბრიკა-ქარხნებიდან მასობრივად წავიდნენ კვალიფიციური მუშათა კადრები, ისინი, ვინც ამინდს ქმნიდნენ ეროვნულ წარმოებაში. ახლა თითქმის ველარ შეხვდებით სპეციალისტებს, რომელთაც შეუძლიათ მაღალკვალიფიციურად შეასრულონ შიგჩარხვის, შიგხეხვის და სხვა სუპეროპერაციები. მათ უკვე იპოვეს თავიანთი ადგილები სოფლებში, ბაზრებსა და ჯიხურებში, სადაც დღიურად პურის ფულს თუ მოულობენ.

— ასეთ სიტუაციაში, — თქვა ქარხანა „აქატის" გენერალურმა დირექტორმა **გურამ ჯიქიძემ**, — იქმნება საშიშროება მრეწველობაში დავკარგოთ ისეთი მონაპოვარი, რომლის აღორძინებას შემდგომში წლები დასჭირდება: განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მანქანათმშენებლობის დარგის დონის დაქვეითება, დარგისა, რომელიც საფუძველია მთელი მრეწველობისა. დღეს თითქმის აღარსად ხორციელდება სამანქანათმშენებლო ტექნოლოგიური პროცესები მეცნიერულ დონეზე, თითქმის აღარსად მუშაობენ მზომელობითი ლაბორატორიები, იკარგება სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ „მიკრონების" აღქმა და რეგულირება.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ უცხოეთიდან მოზიდულ ინვესტიციებს შეუძლია ამ პრობლემის გადაჭრა, ძალიან ცდება. არც ერთი საზღვარგარეთელი ინვესტორი არ დააბანდებს კაპიტალს ისეთი ტიპის წარმოებაში, სადაც სამანქანათმშენებლო პროდუქცია წვრილსერიულად გამოდის. მათთვის ყოველთვის ხელსაყრელია ავტომატური ხაზების მეშვეობით ისეთი პროდუქციის მასობრივი გამოშვება, რომელიც შედარებით დაბალი ხელფასებით მოგვცემს მოგებას. ამიტომაც გვეუბნებიან: შექმენით ისეთი წარმოება, რომელიც დაბალი ანაზღაურებით უზრუნველყოფს მაღალ მოგებას.

კატეგორიულად ვაცხადებ, ასეთი დევიზით მუშაობა არ გამოგვადგება. სამანქანათმშენებლო პროდუქცია ყოველთვის დიდხელფასიანია და ძვირადღირებული. ამიტომაც საშიშროება იმისა, რომ მომავალში ტექნოლოგიური მოწყობილობები უცხოეთიდან შემოვა, ხოლო ჩვენ უბრალოდ ღილაკების დამჭერნი გავხდებით, რა თქმა უნდა, არსებობს.

— ჩვენ დავემსგავსეთ ძროხებს, რომლებსაც წველიან, მაგრამ ბალახს არ აძლევენ, — ჩაერთო საუბარში სს „ჩარხმშენებლის" გენერალური დირექტორი **ნოდარ ჩხოლარია**. როდემდე გაგრძელდება ასე, არ ვიცით. ჩვენზე ამბობენ, რომ ავმუშავდით. ჯერ ნამდვილ ამუშავებამდე შორსა ვართ, მაგრამ უპირველესი მაინც გავაკეთეთ — საწარმო სიკვდილს გადავარჩინეთ. იმდენი შევძელით, რომ თვეში საშუალოდ 6 საექსპორტო ჩარხს ვუშვებთ, ადრე ქარხანა დღეში 15 ჩარხს ამზადებდა. ამასაც ვერ მოვახერხებდით, „იბერთბანკი" რომ არ გვიმართავდეს ხელს კრედიტებით. იგი სესხზე არასოდეს გვეუბნება უარს, რადგან იცის, რომ ჩვენ უეჭველად ავმუშავდებით. სამწუხაროდ, ბევრი ბანკი ამას არ აკეთებს. კარგი, ურთიერთხელსაყრელი სამეურნეო კავშირები გვაქვს ქარხანა „ცენტროლიტთან", რომელიც საქმეში არასოდეს გვღალატობს.

მაგრამ ხელის შეშლაც არ გვაკლია. უპირველესად ეს საგადასახადო პოლიტიკის მხრიდან იგრძნობა, რომელიც ვერა და ვერ მოერგო მეწარმის ინტერესებს. პირიქით, იგი თითქოს დაინტერესებულიაო ჩვენი დამუხრუჭებით. აი, ვიღაც ფულს გადმოგვეირიცხავს, ვფიქრობთ, რომ გვეშველა, ამ თანხას წარმოებაში დავაბანდებთ, რაღაცას შევქმნით, მაგრამ ვინ გაცლის... საგადასახადო უცებ ჩასაფრებულივით გვეცემა და ფულს ყადაღას დაადებს.

სახელმწიფოც არ გვიდგას მხარში. მან ისეთი პოლიტიკა უნდა გაატაროს, რომ საწარმოებს მუშაობის შანსი მისცეს. აქ, უპირველესად, მხედველობაში მაქვს ვალების გაყინვა. მის ეგრეთწოდებულ ნულზე დაყვანა და ბაზარზე პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება. ასეთი ღონისძიება სახელმწიფომ თითქოს განახორციელა, ვალები გაყინა, მაგრამ მისი მხოლოდ გარკვეული ნაწილი, რამაც, ბუნებრივია, შედეგი ვერ გამოიღო. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, გადახდისუუნარო საწარმო კვლავ გადახდისუუნაროდ რჩება.

— ჩვენ ფაქტობრივად გაჩერებული ვართ, — განაცხადა სს „იზოლიტის" დირექტორმა **თენგიზ ტყავაძემ**, — იმის გამო, რომ არ გვყავს მომხმარებელი. „ელმავალმშენებელი", რომელსაც ძირითადად მიჰქონდა ჩვენი პროდუქცია, თავადაც გაჩერებულია და ჩვენგან რაღას წაიღებს? ასეა სხვა საწარმოებიც. ამას ემატება ადრე გასაღებული პროდუქციის ღირებულების აუნაზღაურებლობა. მოვალეები ვალებს ისტუმრებენ დაგვიანებით, ნაწილ-ნაწილ, რაც საგადასახადო ბეგარის დასაფარავადაც არ გვყოფნის. სამწუხაროდ, ეს ეხება სახელმწიფოსაც, რომელსაც ჩვენი 120 ათასი ლარი ემართა (აქედან 20 ათასი დღესაც მართებს). მას რომ თანხა ერთიანად მოეცა, ჩვენ მას წარმოების განსავითარებლად გამოვიყენებდით.

ისიც საკითხავია: საგადასახადო ინსპექცია თანხის დაგვიანებისათვის რომ ჯარიმას გვახდევინებს, რატომ სახელმწიფო იმავე ქმედებისთვის ჩვენ არ გვიხდის საურავს?

მტკივნეული პრობლემები წამოაყენა ელმავალმშენებელი ქარხნის გენერალური დირექტორის მოადგილემ **ბიძინა მიხელიძემ**. როგორც მან თქვა, საწარმოში კარგა ხანია მოიშალა ცენტრალური დაფინანსება, მომარაგება, რეალიზაცია, მაგრამ მის შიგნით პრაქტიკულად არავითარი ცვლილებები არ მომხდარა. როგორც მან თქვა, საწარმოში კვლავ „სოციალიზმის პირობებში" უხდებათ ცხოვრება. ბოლო სამი წლის განმავლობაში მათ ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ აქციონერთა კრება მოეწვიათ. ამიტომაც საწარმოს აქციების (თუ მას აქციებს დავარქმევთ) 100 პროცენტი სახელმწიფოს ხელშია. ასეთ ვითარებაში კოლექტივი გაურკვეველ მდგომარეობაშია, არ იცის, რას უქადის მას აქციონირება. ზოგი იმასაც კი ფიქრობს (და არც თუ უსაფუძვლოდ), რომ სახელმწიფოს უნდა საწარმო კერძო პირებმა დაისაკუთრონ.

მძიმეა ქარხნის ფინანსური მდგომარეობა, წლეულს საწარმომ ბიუჯეტში მხოლოდ 650 ათასი ლარი შეიტანა, აქედან 350 ათასი ჯარიმამ შეადგინა. ამჟამად საწარმოს სასაქონლო პროდუქციის მოცულობაში ხელფასის წილი მხოლოდ 15-18 პროცენტია. ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ არ შეუძლიათ გაზარდონ პროდუქციის ფასი, რადგან ვერ გაყიდიან. ამიტომ საწარმოში ყავთ ისეთი მუშაკებიც, რომლებიც თვიურად 9 ლარს სჯერდებიან.

ასეთ პირობებში, ალბათ, აღმოჩენად არ ჩაითვლება, რომ წლეულს „ელმავალმშენებელში" ელმავალი არ გამოუშვიათ (რომც გამოუშვან, არ გაიყიდება). საწარმოს რკინიგზის დეპარტამენტზე გადაცემა არაფერს იძლევა, გარდა იმისა, რომ მათგან შესაკეთებელი ვაგონებისა და ელმავლების შეკვეთებს იღებენ. აი, თუ ყარსის გზა გაიხსნება, მაშინ ელმავლების შეკეთის პერსპექტივაც გაჩნდება, მაგრამ მანამდე რა იღონონ?

სს „ავტოშემკეთებლის" მთავარმა ინჟინერმა **ლერი ლაბაძემ** ქვეყანაში გახშირებული ავტოკატასტროფები და ავარიები იმით ახსნა, რომ მათი საწარმო, რომელიც ადრე ტრანსპორტის სამინისტროს დაკვეთით მუშაობდა, დღეს ფაქტობრივად უფუნქციოდ დარჩა. ახლა ავტომობილების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება ცის ანაბრად არის მიტოვებული და შედეგიც სახეზეა. ქარხანამ ეს საკითხი დააყენა კიდეც ზემდგომ ინსტანციაში, მაგრამ რატომღაც ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება დაევალა არა ამ საწარმოს, არამედ დამპალოში გახსნილ რაღაც შემთხვევით ფირმას, სადაც ყოველთვიურად მიყავთ მანქანები, ურტყამენ შტამპს, ახდევინებენ ფულს, მაგრამ... როგორც გამომსვლელმა დასძინა, ამ შემთხვევაში მანქანაც შეუკეთებელი რჩება (იქ არ ყავთ სპეციალისტები) და სახელმწიფო ხაზინაც ზარალდება.

— ჩვენ მუშაობა არ გვიჭირს, — თქვა მე-4 ქარხნის დირექტორმა **მალხაზ დოლიძემ**, — პროდუქციას შეუფერხებლად ვუშვებთ და ვყიდით კიდეც, მაგრამ ანაზღაურებას ვერ ვიღებთ. მოვალეებმა (უმთავრესად საბიუჯეტო ორგანიზაციებმა) გაგვაწამეს, რომელთაც დაფინანსება აქვთ (ქაღალდზე), ფული კი არა, რომ გადაგვიხადონ. ამას ემატება ბაზარზე არაჯანსაღი კონკურენცია. მხედველობაში მაქვს წვრილ-წვრილი, კერძო საცხობები, რომლებიც არც ელექტროენერგიაში იხდიან ფულს, არც წყალში, შემოსავლებსაც მალავენ და ამ გზით აიაფებენ პროდუქციას. როგორ ფიქრობთ, ამას ვერ ხედავენ შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები? ძალიანაც კარგად ხედავენ, მაგრამ ერთმანეთს ხელს უმართავენ, ბიუჯეტს კი აზარალებენ. აი, საიდან იღებს სათავეს კორუფცია...

კიდევ რა თქვეს მეწარმეებმა? ძალიან ბევრი რამ (მათი გაზეთის ფურცლებზე დატევა შეუძლებელია), რაც ხელს უშლის მათ ჩვენი საბაზრო ეკონომიკის ჯერ კიდევ გაუკვალავ ოღრო-ჩოღრო გზაზე გამართულ სიარულში. მათ მოითხოვეს შეიქმნას მარტივი, უფრო ლიბერალური საგადასახადო სისტემა, დროებით დაკონსერვდეს საწარმოების გამოუყენებელი ძირითადი ფონდები და მოიხსნას მათზე ქონების გადასახადი; მოხდეს სახელმწიფო ვალების რესტრუქტურიზაცია შედარებით გამარტივებული მექანიზმით; ნება დაერთოთ საწარმოებს გაყიდონ ზოგიერთი გამოუყენებელი ძირითადი საშუალება, რათა დაფარონ სახელმწიფო ვალები; განხორციელდეს საბაჟო სისტემის სრულყოფა, საბაჟო გახდეს არა მარტო თანხების ამკრეფი, არამედ შიდა ბაზრის და ეკონომიკის მარეგულირებელი ორგანო.

— მეწარმეთა მხრიდან ასეთი საყვედურები და მოთხოვნები პირველად როდი გვესმის, — მითხრა შეხვედრის დამთავრების შემდეგ მოქალაქეთა კავშირის ნაძალადევის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ **დემურ კალანდაძემ**. ჩვენ, როგორც მმართველი პარტიის წარმომადგენლებს, ყოველთვის გულთან ახლოს მიგვაქვს მათი გასაჭირი, და აქედან გამომდინარე მთელი მოსახლეობის გასაჭირიც, რადგან ამ უკანასკნელთა კეთილდღეობის დედაბოძია მრეწველობის გამართული მუშაობა. ამიტომაც სისტემატურად ვხვდებით მეწარმეებს, ვისმენთ და ვაანალიზებთ მათ პრობლემებს, რომლებსაც შემდგომ ვაყენებთ პარლამენტის დარგობრივი კომიტეტების თავმჯდომარეებთან, საგადასახადო სამსახურისა და მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელებთან. ჩვენს მიერ შესწავლილი არა ერთი და ორი მტკივნეული საკითხი გადაეცა რეაგირებისათვის პარლამენტს, მთავრობას და პრეზიდენტის აპარატს.

შედეგი?

მართალია, ჩვენმა ძალისხმევამ ჯერჯერობით შესამჩნევი შედეგები ვერ გამოიღო, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას გავჩერდეთ, გულზე ხელი დავიკრიფოთ. პირიქით, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ უფრო ინტენსიურად, გამუდმებით, შემართებით და პრინციპულად გვჯერა, რომ ეს უკვალოდ არ ჩაივლის.

სიმართლე გითხრათ, სიამოვნებით მოვისმინე პარტიის რაიონული ორგანიზაციის ლიდერის ეს სიტყვები. რა სჯობია შემართებასა და ენთუზიაზმს, მაგრამ ვერ გავექცევით რეალობასაც. დღევანდელ ეტაპზე, როცა საწარმოთა უდიდესი ნაწილი სანახევროდაც ვერ მუშაობს, ძნელია, ერთობ ძნელია მეწარმე, საქმის კაცი ანუგეშო. მართალია, უცხოელი ექსპერტები რეფორმების მიმდინარეობას გვიქებენ, სტატისტიკოსებიც ქვეყანაში სამრეწველო წარმოების ზრდას აღნიშნავენ, მაგრამ საწარმოებში ეს ნაკლებად ან საერთოდ არ იგრძნობა. ამიტომაც, არცთუ უსაფუძვლოდ, მეწარმეს მიაჩნია, რომ ქვეყანაში ხორციელდება არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა, ისეთი პოლიტიკა, რომელიც სამრეწველო პოტენციალის განვითარებას ამუხრუჭებს. მრეწველობის სამინისტრომ დღემდე ვერ შეიმუშავა დარგის აღმავლობის ერთიანი კონცეფცია, ვერ გამოიკვეთა, რომელი საწარმო სჭირდება ქვეყანას და რომელი არა. პრივატიზებულ საწარმოებში ჯერ კიდევ დიდია სახელმწიფო აქციების წილი, რომელზეც აღარც სახელმწიფო ზრუნავს და აღარც მეწარმე. სახელმწიფომ ან უნდა მართოს ისინი, ან განაკერძოვოს.

ურთულესი, გადაუჭრელი პრობლემა გახდა ბაზარი. უბედურება ის არის, რომ ჩვენმა მეწარმემ მარტო უცხოური კი არა, საკუთარი ბაზარიც დაკარგა. ამას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, კაბალურმა საგადასახადო სისტემამ და, მეორე მხრივ, მომხმარებლის დაბალმა მყიდველუნარიანობამ. ამას დაემატა სახელმწიფოს მხრივ შიდაბაზრის დაუცველობაც, რამაც საშუალება მისცა უცხოურ კაპიტალს მთლიანად დაპატრონებოდა ჩვენს ბაზარს. საქმე ისე აეწყო, ისეთი პირობები შეიქმნა, რომ დღეს ნებისმიერ შემმოწმებელს (ისინი კი მრავლად არიან) შეუძლია მეწარმეს თანხა წაგლიჯოს.

შეუძლია კი არა, პრაქტიკულად ასეც არის, რაც მეწარმეს, ბუნებრივია, საქმიანობის ყოველგვარ სტიმულს უკარგავს. სამაგიეროდ, იგივე ფაქტორი სტიმულს აძლევს კომუნისტური რეჟიმიდან მზითვად გადმოყოლილ „ჩრდილოვან ეკონომიკას" და ახალ ცხოვრებაში „დუყებად" წამოზრდილ კორუფციას, რომლის სტომაქში ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ მიმართული თანხები ილექება.

ვეჭვობ, ასეთმა შეფასებამ პირი დაწვას იმათ, ვისაც ჩვენი მრეწველობის დადამბლავებასა და ეკონომიკის გალატაკებაში „წვლილი" მიუძღვის. თუმცა, ეს სულაც არ იძლევა იმის საბაბს, რომ მათ წინაკა არ უჭამიათ.

ოთარ ხუციშვილი.

30 ოქტომბერი, 1997 წელი.
№10
საქართველოს რესპუბლიკა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაზეთი
ყოველთვიური დამატება

ინფორმაცია

იმსჯელეს

13 ოქტომბერს გაიმართა ტექნიკური უნივერსიტეტის 75 წლისთავის საიუბილეო კომისიის სხდომა. სხდომაზე მიწვეული იყვნენ უნივერსიტეტის ის კურსდამთავრებულნი, რომელთა სახელები ქართული მუსიკალური კულტურის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი. სხდომას უძღვებოდა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი რამაზ ხუროძე. მან ვრცლად ისაუბრა საიუბილეო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებაზე. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა საიუბილეო საღამოსა და საზეიმო კონცერტის მოწყობაზე.



საიუბილეო ღონისძიებები



1997 წელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საიუბილეო წელია. საიუბილეო კომისიის მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად წლის განმავლობაში უკვე მოეწყო არაერთი ღონისძიება. ჩატარდა ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციები: იუბილეს მიეძღვნა სტუდენტთა ტრადიციული საგაზაფხულო ზეიმი — „სტუდენტური დღეები“, შედგა თეატრ-სტუდია „მოდი ნახეს“ სპექტაკლის პრემიერა; დაწესდა გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედალი, რომელიც მიენიჭება ტექნიკის მეცნიერებათა დარგში განსაკუთრებული მიღწევების მქონე მეცნიერებს.

იუბილეს აღნიშვნაში აქტიურად მონაწილეობენ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებიც. ალპიური კლუბის წევრები ახლახანს ჩაერთვნენ ექსპედიციაში „ალპინიადა-სტუ 75“. დალამქრულ მწვერვალს „ტექნიკური უნივერსიტეტის 75 წლისთავის“ სახელი დაერქმევა.

გამოდის საიუბილეო კრებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 75 წლისაა“, რომელშიც ასახულია ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ განვლილი გზა.

დასასრულს მიუახლოვდა მუშაობა დოკუმენტურ ფილმზე, რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტის წარსულისა და აწმყოს უმთავრეს მომენტებს ასახავს. ტექნიკური უნივერსიტეტის იუბილეს მიეძღვნა ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკას“ მორიგი ნომერი, რომელსაც მკითხველი ამ რამდენიმე დღეში მიიღებს. გამოიცა ინგლისურენოვანი ბუკლეტი, რომელიც მკითხველს უნივერსიტეტის აწმყოზე მოუთხრობს.



გამოვიდა უნივერსიტეტის შრომათა საიუბილეო კრებული. ეწყობა სპეციალური გამოფენა, რომელიც ეძღვნება უნივერსიტეტის ფუძემდებელთა და ყოფილ რექტორთა სახელების უკვდავყოფას, აგრეთვე სტუდენტ-არქიტექტორთა ნამუშევრების გამოფენა.

მთავარი საიუბილეო ღონისძიებანი 30-31 ოქტომბერს გაიმართება. 30 ოქტომბერს შედგება უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული საიუბილეო-საზეიმო სესია, ხოლო 31 ოქტომბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება საიუბილეო საღამო და გალა კონცერტი.

თანამშრომლობა

21 ოქტომბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელი მოეწერა შეთანხმებას, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის შესახებ. საგარეო საქმეთა სამინისტრო დაეხმარება ტექნიკურ უნივერსიტეტს, რათა ნიჭიერმა სტუდენტებმა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის, მთარგმნელი რეფერენტის, **PUBLIC ADMINISTRATIONS** და **PUBLIC RELATIONS**-ის სპეციალობებით პრაქტიკა და სტაჟირება გაიაროს სამინისტროში, საუკეთესოებს კი უზრუნველყოფს სამინისტროში სამუშაო ადგილით.





ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა რამაზ ხუროძემ დადებითად შეაფასა ეს თანამშრომლობა და აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საგარეო საქმეთა სამინისტროს მოუმზადებს აღნიშნული სპეციალობების მაღალკვალიფიციურ კადრებს.

გილოცავთ, გილოცავთ, გილოცავთ!



ტექნიკურ უნივერსიტეტს
გულითადად ვულოცავთ საიუბილეო
თარიღს – 75 წლისთავს
გისურვებთ, რომ თქვენი ღვაწლი
სათნო იყოს ღვთისა და ერის წინაშე.
სიყვარულით
ილია II.
23/X·1997.

გულითადად ვულოცავ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელოვან კოლექტივს საიუბილეო თარიღს – დაარსების 75 წლისთავს.

ტექნიკურ უნივერსიტეტში აღიზარდა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მთელი თაობა, რომლის მეშვეობითაც საქართველოს მსოფლიოში, ტექნიკურად განვითარებულ ქვეყნებს შორის, ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია.

ვუსურვებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კოლექტივს შემდგომ მიღწევებს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

ალბერტ თავხელიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,
აკადემიკოსი.

* * *

სამოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს. მის სახელთან უშუალოდაა დაკავშირებული ქვეყანაში საინჟინრო კადრებისა და საერთოდ, ტექნიკური ინტელიგენციის შექმნა. ეს თავის მხრივ, უდიდესი ისტორიული მისიაა. დიახ, ტექნიკურ უნივერსიტეტს თამამად შეუძლია იამაყოს თავისი ისტორიული როლით. მისი უდიდესი სამეცნიერო და სასწავლო პოტენციალი უმაღლესი განათლების ამ კერას მსოფლიო სტანდარტების დონეზე წარმოაჩენს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდ პატივს მიაგებს თავის ღვიძლ პირმშოს — სამოცდათხუთმეტი წლის ტექნიკურ უნივერსიტეტს, მის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტობას და უსურვებს ახალ წარმატებებს საქართველოს — ჩვენი სანუკვარი სამშობლოს — საკეთილდღეოდ.

როინ მეტრეველი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,
აკადემიკოსი.

* * *

მთელ კოლექტივს და რექტორატს ვულოცავ უნივერსიტეტის დაარსების 75 წლისთავს.

უნივერსიტეტმა ჩაგვინერგა როგორც ღრმა პროფესიული ცოდნა, ასევე სამშობლოსა და ჩვენი ხალხის სიყვარული. უნივერსიტეტში გატარებული წლები (1949-1952) ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წლებია. უსაზღვროდ მადლიერი ვარ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ინჟინერ-მკვლევარად ჩემს ჩამოყალიბებაში. დიდად ვამაყობ ჩემი უნივერსიტეტით, მისი მაღალი საგანმანათლებლო-კვლევაძიებითი დონით და ვუსურვებ შემდგომ განვითარებას და აყვავებას ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

დიდად ვწუხვარ, რომ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ ვესწრები უნივერსიტეტის საიუბილეო ზეიმს.

ივერი ფრანგიშვილი,
აკადემიკოსი.

* * *

მივულოცავ დიდი სიყვარულით! თუმცა ჩემი სიყვარული რა მოსატანია იმ დიდ გრძნობასთან, ამ უნივერსიტეტის მიმართ სრულიად საქართველოს რომ აქვს!

ქართული საინჟინრო აზროვნება, დღესდღეობით რომ დიდ-დიდ ქვეყანათა დონეზეა, მხოლოდ და მხოლოდ აქ მოღვაწე ტექნიკურ ინტელექტუალთა დამსახურებაა!

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ღირსსახსოვარ თარიღს, ქვეყნის აღმშენებლებო, და აქვე გამოვთქვამ იმედს, რომ თქვენი მარადმწვანე უნივერსიტეტი და ქართული მწერლობა მუდამ ერთად იქნებიან ჩვენი ქვეყნის სამსახურში აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე!..

თამაზ წივწივაძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.

* * *

უზომო სიხარულს მგვრის ჩემი მშობლიური უმაღლესი სასწავლებლის სახელოვანი იუბილეს – დაარსების 75 წლისთავის საყოველთაო აღნიშვნა.

დიდი მადლიერებით ვიგონებ „გეპეიში“ გატარებულ წლებს, სტუდენტობას: აქ ჩაეყარა საფუძველი არა მარტო ჩემს და ჩემი თაობის საინჟინრო კვალიფიკაციას, არამედ მოქალაქეობრივ ცნობიერებას. სწორედ ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები იყვნენ ჩვენთვის მოქალაქეობის, მამულიშვილობის, კაცურკაცობის ეტალონები. მათ ვუმადლი არა მარტო პროფესიონალობას, არამედ ყველაფერს საუკეთესოს, რაც აქვს და რითაც შეუძლია იამაყოს ჩემმა თაობამ.

გულითადად მივესალმები ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს, ვულოცავ სახელოვან იუბილეს და ვუსურვებ აღმავლობას, კვლავაც დიდი წვლილის შეტანას ჩვენი ქვეყნის წინსვლაში.

ბიძინა სონღულაშვილი,
„თბილმეტრომშენის“ გენერალური დირექტორი.



დიდი პატივისცემით და სიყვარულით
ვულოცავთ ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორ-მასწავლებლებს და მთელს კოლექტივს
სახელოვან იუბილეს.
გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას
და [illegible] ქართველი ერის
ტექნიკური ინტელიგენციის აღორძინებისათვის.
მუდამ თქვენთან ვარ და ვიქნები.

დიდი პატივისცემით
/ედ. შევარდნაძე/
ბათუმი
28.10·97

ისტორია

ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს პირველი შემადგენლობა



საიუბილეოდ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დღეს

სტუ პირველი პრორექტორი, პროფესორი რევაზ სტურუა

საყოველთაოდ არის ცნობილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მნიშვნელობა და როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს გადაქცევა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ, ე.წ. საბჭოურ სივრცეში ერთ-ერთი მოწინავე მოკავშირე რესპუბლიკა იყო. სტატისტიკა, მართალია, მოსაწყენ საქმედ არის მიჩნეული, მაგრამ მაინც სწორედ იგი ათვალსაჩინოებს ხოლმე საქმის არსს. სტატისტიკას თუ მივმართავთ, თვით თანამედროვე მასშტაბებითაც კი გასაოცარი სურათი დაიხატება. არსებობის მანძილზე ტექნიკურმა უნივერსიტეტმა 80 ათასზე მეტი დიპლომირებული ინჟინერი გამოუშვა. ეს მსოფლიოს ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყნისათვისაც კი შთამბეჭდავი ციფრია. მართალია, ადრე ბევრი კურსდამთავრებული საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში იგზავნებოდა სამუშაოდ, ბევრი იქ მკვიდრდებოდა სამუდამოდ (და ეს ჩვენი ტრაგედია იყო), მაგრამ მეტი წილი საქართველოში რჩებოდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ამჟამად ყოველწლიურად 15 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს, და ამ ციფრს საქართველოში კომლობრივ (ოჯახების) რაოდენობას შევუფარდებთ, ყოველი ოჯახის ერთი წევრი ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ან მისი კურსდამთავრებული აღმოჩნდება.

დღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ტექნიკური საინჟინრო განათლების ერთ-ერთი მძლავრი კერაა. სასწავლო-სამეცნიერო ბაზითა და სწავლების სტრუქტურით იგი სავსებით შეესაბამება სპეციალისტთა მომზადების თანამედროვე საერთაშორისო მოდელს.

უნივერსიტეტში დამკვიდრებულია ორსაფეხურიანი სწავლების სისტემა. პირველი საფეხური – ბაკალავრიატი მოიცავს 4-4,5 წელს და საუნივერსიტეტო და ზოგად-სპეციალურ საბაზო განათლებას იძლევა. მეორე საფეხური – მაგისტრატურა 1,5-2 წლის განმავლობაში გაღრმავებულ სპეციალურ ცოდნას და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის საჭირო თეორიულ მომზადებას იძლევა. უწყვეტი განათლების შემდგომი საფეხურებია ასპირანტურა და დოქტორანტურა. ერთი სიტყვით, ტექნიკური უნივერსიტეტი ამზადებს ისეთ სპეციალისტებს, რომლებშიც ჰარმონიულად იქნება შერწყმული ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები და იდეალები. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეულია საინჟინრო განათლების ჰუმანიზაცია. ამ პროცესის ხელშეწყობის მიზნით ტექნიკურ უნივერსიტეტში უკვე მეექვსე წელია შექმნილია ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტიც.

დღეს ტექნიკურ უნივერსიტეტში ყველაფერი იქითკენაა მიმართული, რომ ქართველი ინჟინრების განათლების მინაარსი და მოცულობაც საერთაშორისო სტანდარტებთან იყოს დაახლოებული. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ისინი კარგად ფლობდნენ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ღრმად წვდებოდნენ ეკოლოგიურ პრობლემებს. აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში. ამ მიზნის განხორციელებას 2000-მდე პროფესორ-მასწავლებელი, მათ შორის 224 პროფესორი, 870 დოცენტი, 920 უფროსი მასწავლებელი, ასისტენტი და მასწავლებელი ემსახურება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სპეციალისტებს ამზადებს რესპუბლიკის პრიორიტეტული სამრეწველო-ეკონომიკური მიმართულებებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამოცანათა შესაბამისად, ახალგაზრდა სპეციალისტებზე ჩვენი სამინისტროებისა და უწყებების დაკვეთების, კერძო საწარმოების მოთხოვნათა გათვალისწინებით. სულ უნივერსიტეტში 110-ზე მეტი სპეციალობის მიხედვით სპეციალისტები მზადდება სამშენებლო, ენერგეტიკის, სამთო-გეოლოგიურ, ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის, მექანიკა-მანქანათმშენებლობის, ფიზიკა-ტექნიკისა და ელექტრონიკის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, ჰუმანიტარულ-ტექნიკური, მეტალურგიის, ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტებზე, არქიტექტურისა და ავიაციის ინსტიტუტებში, მენეჯერთა უმაღლეს სკოლაში, ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თბილისის, სოხუმის, ცხინვალის, რუსთავის, ჭიათურის, კაზრეთის, სამცხე-ჯავახეთის, თელავის, სენაკისა და მარნეულის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე.

ტრადიციულ საინჟინრო სპეციალობებთან ერთად უნივერსიტეტში მყარად დამკვიდრდა თანამედროვეობით ნაკარნახევი ახალი სპეციალობები: დარგობრივი მენეჯმენტები, სახელმწიფო მართვა, საზოგადოებრივი ურთიერთობები (მათი მომზადება ჩვენს უნივერსიტეტსა და საქართველოს საგარეო სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოებს), სამართალმცოდნეობა, საბანკო საქმე, აუდიტი, ტურიზმი და სოციალურ-კულტურული სერვისი, ჟურნალისტიკა, სიძველეთა ექსპერტიზა, ტელერეჟისურა და სხვა. სულ ახლახან გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით შეიქმნა საერთაშორისო გერმანულენოვანი ფაკულტეტი ეკონომიკური სამართლის განხრით.

ჩვენს უნივერსიტეტში სწავლების ყველა ფორმა უფასოა. მაგრამ ამასთან ერთად, 1994 წლიდან ფასიანი სწავლებაც დამკვიდრდა. ფასიან სექტორზე ამჟამად 2300 სტუდენტი სწავლობს. დასწრებული სწავლების ფრიადოსან და კარგოსან სტუდენტებს კი სტიპენდიებიც ენიშნებათ, როგორც ჩვეულებრივი, ისე სახელობითი. უნივერსიტეტში 40 სახელობითი სტიპენდიაა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დიდი ადგილი უკავია ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს. დღეს სტუდენტების განკარგულებაშია უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორიები და კაბინეტები, ფუნდამენტური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა, 3 მუზეუმი, სასწავლო სახელოსნოები და საკონსტრუქტორო ბიუროები. დიდად იზრდება სასწავლო პროცესში კომპიუტერული ცოდნის ხვედრითი წილი. ამ მიზანს 220-ზე მეტი უახლესი ტიპის პერსონალური კომპიუტერი ემსახურება. აქ უახლესი ტექნოლოგიების დანერგვასა და ინფორმაციის ცვლას დიდად უწყობს ხელს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩართვა მსოფლიო საინფორმაციო ქსელში – ინტერნეტში. რეალობად იქცევა დისტანციური სწავლებაც, რაც თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლების ერთი ეფექტიანი ფორმაა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაბამისობაში წარმართვას 1994 წლიდან ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის ცენტრი, ხოლო ამ პროცესის ოპტიმალური მართვის მიზნით, განხორციელებულია ფაკულტეტებისა და ინსტიტუტების ტერიტორიული ავტონომიზების პრინციპი. მაპროფილებელი კათედრები კი ფაკულტეტების ტერიტორიებზეა განთავსებული. ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კომპლექსი ერთ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენს და სრულიად აკმაყოფილებს არა მარტო დღევანდელ, არამედ პერსპექტიული განვითარების პირობებს.

დიდია, აგრეთვე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო ავტორიტეტი. აქ სამეცნიერო კვლევები მიმდინარეობს როგორც ფუნდამენტურ, ისე გამოყენებით მეცნიერებათა უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა სფეროებში. ტრადიციულად, კვლევა-ძიებათა უმთავრეს არეალს შეადგენს ახალი ტექნოლოგიების შემუშავება და სახალხო მეურნეობაში დანერგვა. თანამედროვე საინჟინრო მეცნიერებათა ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, როგორიცაა ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკა, ქიმიური ტექნოლოგია, კავშირგაბმულობა, მეტალურგია... კვლავ სტატისტიკა რომ მოვიშველიოთ, ციფრებში მეცნიერული უკუგება ასე გამოიყურება: 80-იანი წლების დასასრულისათვის ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მოცულობამ 15 მილიონი მანეთი შეადგინა, აქედან მიღებულმა რეალურმა წლიურმა ეკონომიკურმა ეფექტმა კი – 20 მილიონ მანეთს მიაღწია. განსაკუთრებული მეცნიერული ღირებულება შეიძინა კოსმოსისა და მისი ათვისების პრობლემათა კვლევა-დამუშავებამ. ტექნიკური უნივერსიტეტის კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში შესრულებულია არა ერთი მნიშვნელოვანი კოსმოსური საინჟინრო კონსტრუქცია, რომელთა ღირებულებაზე ნათლად მეტყველებს 1996 წელს ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფისათვის საქართველოს სახელმწიფო პრემიის მინიჭება.

დიდმნიშვნელოვანია მანქანათმშენებლობის კათედრაზე დამუშავებული და შექმნილი მცირევოლფრამიანი და უვოლფრამო სალი შენადნობების მარკები. მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული პრეციზიული მიკროიარაღების კონსტრუქციულ-გეომეტრული პარამეტრებისა და მათი დამზადების ტექნოლოგიაში. მოპოვებულია სხვა მრავალი შედეგიც, რომელთა უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგების გამოცემა-დასტამბვას ემსახურება გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“ და თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სტამბა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აღიარების მაჩვენებელია მისი საერთაშორისო კავშირურთიერთობები, რომლებიც ამ ბოლო დროს განსაკუთრებით ფართოვდება. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურია 1971 წლიდან. აქედან მოყოლებული, დღემდე, 41 ქვეყნის 1200 მოქალაქემ მიიღო უმაღლესი განათლება. ამჟამად უცხოეთის 32 ქვეყნის სასწავლო, სამეცნიერო და საერთაშორისო ორგანიზაციასთან მიღწეულია შეთანხმება, გაფორმებულია ხელშეკრულება, ამოქმედებულია არაერთი პროექტი. მათ შორისაა აშშ-ს პარკსაიტის უნივერსიტეტი, ატლანტის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, პარიზის, ნანტის (საფრანგეთი), რომისა და პალერმოს (იტალია) უნივერსიტეტები, გერმანიის რამდენიმე უმაღლესი სკოლა, ინგლისის, ჩინეთის ინსტიტუტები და სხვა.

1995 წლიდან ფართოდ ინერგება კავშირურთიერთობების ახალი ფორმები. ასე, მაგალითად აშშ-ს ეროვნულ აკადემიასთან შეთანხმების საფუძველზე ჩვენს უნივერსიტეტში შეიქმნა ქართულ-ამერიკული ინსტიტუტი.

უნივერსიტეტში **TACIS**-ის პროგრამით მოქმედებს სახელმწიფო მოხელეების გადამზადების კოლეჯი. დღეისათვის კოლეჯმა ათასამდე მსმენელი მოამზადა მენეჯმენტის, ეკონომიკის, დაბეგვრის ადმინისტრირებისა და სხვა სპეციალობებში. 1997 წელს უნივერსიტეტმა გაიმარჯვა **TACIS Tempysi**-ის ტენდერში, გრანტი მიიღო და მრავალი სხვა.

ტექნიკური უნივერსიტეტის არაერთი პროფესორი არჩეულია უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების საპატიო დოქტორად თუ სამეცნიერო აკადემიების წევრებად. ხოლო ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორებად არჩეული არიან: უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თანსუ ჩილერი, ფირმა „შევრონის“ პრეზიდენტი რიჩარდ პერმან მაცკე და სხვა გამოჩენილი პიროვნებები.

ასე ეგებება თავის სახელოვან იუბილეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

იცნობდეთ

სტუდენტური კავშირი - დემოკრატიული კავშირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ იუბილეს თავის ხმას უერთებს მისი ერთი ახალი ორგანიზაცია, ჭეშმარიტად ახალი დემოკრატიის პირმშო, სტუდენტური კავშირი. იგი 1990 წლის 18 დეკემბერს შეიქმნა ტექნიკური უნივერსიტეტის პროფკავშირული ორგანიზაციის სტუდენტური ნაწილის ბაზაზე. 1995 წელს კი, არსებული კანონის მიხედვით, რეგისტრაცია გაიარა იუსტიციის სამინისტროში.

„სტუდენტების ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო – გააუქმა ტექნიკური უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია. მათი ძალისხმევით ჩატარდა სტუდენტთა პროფკავშირის დემოკრატიული არჩევნები. მის საფუძველზე კი ახალგაზრდული მაკოორდინირებელი სტრუქტურა შეიქმნა. ახლა ეს ყველაფერი მოსაყოლად ადვილია, მაგრამ ამის მიღწევა იოლი სულაც არ ყოფილა. გამოცდილებამ დაგვანახა, რომ სტუდენტთა ერთიანობას მოაქვს ძალა და ქმედითობა, – ამბობს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდკავშირის პრეზიდენტი ნოდარ მუსერიძე და იქვე ხაზს უსვამს:

– „სტუდენტური მოძრაობა განუყოფელი უნდა იყოს საერთო-სახალხო მოძრაობისაგან. სავსე, თუნდაც შეცდომებით, სიურპრიზებით, არასტანდარტული ქმედებით, ოღონდაც თავისთავადი, ანუ ისეთი, როგორიც თავად სტუდენტობაა. ყველამ, ვისაც სურს, რომ ხვალინდელი დღე ნათელი იყოს, ამ პროცესს ხელი უნდა შეუწყოს. თავად სტუდენტობა უნდა მიხვდეს, რომ ყველაზე მძიმე ტვირთის ზიდვაც კი შეუძლია. ამ შეგნებით მუშაობს დღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირი. ასეთია ამ ორგანიზაციის მუშაობის ქვაკუთხედი.

და მაინც, როგორია იგი? რა ამოცანების გადაჭრა უხდება და რა მიზნები აქვს დასახული? რა ადგილი უკავია მას ტექნიკური უნივერსიტეტის ცხოვრებაში? ანუ როგორია მისი სტრატეგია და ორგანიზაციული სახე?

სტუდკავშირის მუშაობის მმართველი ორგანო მისი პარლამენტია. იგი ტექნიკური უნივერსიტეტის 14 ფაკულტეტის საფაკულტეტო სტუდკავშირთა საბჭოს თავმჯდომარეებისაგან შედგება. ამასთან მოქმედებს აღმასრულებელი კაბინეტი, რომელიც მოიცავს სასწავლო-სამეცნიერო, სოციალურ-ეკონომიკურ და სპორტულ-კულტურულ განყოფილებებს. კაბინეტს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს, სტუდკავშირის პარლამენტს კი სპიკერი ჰყავს. სტუდენტური კავშირის პრეზიდენტი საერთო ხელმძღვანელი და მისი წარმომადგენელია უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და საგარეო ურთიერთობებში.

არსებობის მანძილზე სტუდკავშირს სამი პრეზიდენტი ჰყავდა. დღეს, რიგით მეოთხე პრეზიდენტი, ნოდარ მუსერიძე მეორე ვადით მეთაურობს ამ ორგანიზაციას, იგი კარგი პრეზიდენტობის სიმძიმეს ჩინებულად გრძნობს, რადგან სტუდკავშირი დემოკრატიული კავშირია და პიროვნული ღირსება პრეზიდენტისა არცთუ უმნიშვნელო როლს თამაშობს.

სტუდენტური კავშირი ტექნიკური უნივერსიტეტის ერთი ორგანული რგოლია და აქტიურად მონაწილეობს მის ცხოვრებაში. იგი საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ეროვნული საბჭოსა და სტუდენტურ ორგანიზაციათა ლიგის წევრია.

სტუდკავშირის უშუალო მონაწილეობით მარტო წლეულს არაერთი სპორტული თუ კულტურული ღონისძიება მოეწყო, თავისი წვლილი შეიტანა უნივერსიტეტის სტრუქტურის დახვეწისა თუ სასწავლო-მეთოდური მუშაობის სრულქმნის ურთულეს პროცესებში. და მაინც, მისი მთავარი მიზანი, სტუდენტთა სოციალური დაცვაა. ამის ერთ გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მისი მოთხოვნით სტუდენტთა მიერ ლექცია-სემინარების გაცდენებისათვის დადგენილი ჯარიმის თანხა 50 პროცენტით შემცირდა.

„ლექციაზე დასწრება სტუდენტის უფლებაა და არა იძულება, –, მიაჩნია ნოდარ მუსერიძეს. უნივერსიტეტმა სტუდენტს ისეთი ცოდნა უნდა მისცეს, რომელიც მას თანამედროვე საზოგადოების სრულფასოვან წევრად აქცევს,“ – ასეთია მისი სამართლიანი მოსაზრება.

დღეს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდკავშირის ერთი აქტუალური ამოცანა გაჭირვებულ სტუდენტთა ეკონომიკური დახმარების გზების ძიებაა. იგი ამაში სახელმწიფო დახმარების მოთხოვნასაც აყენებს.

და მაინც, საერთო შეჭირვების ფონზეც კი, რაც ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, „სტუდკავშირის“ ყველა წევრი ლამაზი სტუდენტური ცხოვრებით ცხოვრებას ახერხებს. როგორ? – კითხვაზე კითხვით გვიპასუხებს პრეზიდენტი – სრულიად უბრალოდ! სტუდენტმა იცის, რომ სტუდენტია, ჩვენი ორგანიზაციის თანასწორი წევრი. მეც ამ თანასწორობის უფლებით ვისარგებლებ და სტუდკავშირის წევრთა, მთელი სტუდენტობის სახელით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს 75-წლის იუბილეს მივულოცავ“.

ჩვენი რექტორები



რამაზ ხუროძე
პროფესორი



დავით კანდელაკი



გიორგი გვარჯალაძე



პარმენ ბოჯგუა



პეტრე ქომეთიანი
აკადემიკოსი



გიორგი ზარიძე
აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი



რაფიელ დვალი
აკადემიკოსი



იოსებ ბუაჩიძე
პროფესორი



არჩილ ძიძიგური
აკადემიკოსი



თეიმურაზ ლოლაძე
აკადემიკოსი



გოჩა ჩოგოვაძე
აკადემიკოსი

ორი მეგობარი

საქართველოში უმაღლესი სამთო-ტექნიკური განათლების სათავეებთან ორი დიდებული ადამიანი იდგა – გრიგოლ წულუკიძე და იოსებ კომპანიონი. მათ დიდი ამაგი დასდეს საქართველოში სამთო მრეწველობის განვითარებას.

ამ ორ მეგობარს ბევრი რამ ჰქონდა საერთო. ორივემ საზღვარგარეთ მიიღო უმაღლესი სამთო განათლება, შემდეგ რუსეთში დაამთავრა სამთო პროფილის უმაღლესი სასწავლებელი (ძველ რუსეთში საზღვარგარეთულ დიპლომს არა სცნობდნენ), ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ორივე საქართველოში დაბრუნდა და სიცოცხლის ბოლომდე თავდადებით ემსახურა თავის ქვეყანას. რაც მთავარია, ორივე გამოირჩეოდა მაღალი ადამიანური თვისებებით, ორივე სავსე იყო სიკეთით, შინაგანი კულტურითა და კეთილშობილებით.

გარეგნულად კი ისინი სრულიად განსხვავებულნი იყვნენ. გრიგოლ წულუკიძე მეფური შესახედაობის, წარმოსადეგი კაცი გახლდათ, ბუნებრივი სიამაყითა და დახვეწილი მანერებით დამშვენებული. იოსებ კომპანიონს ძველი ყაიდის პროფესორის სიმპათიური იერი ჰქონდა, ორიგინალური ქცევით, ტემპერამენტითა და იუმორით გამოირჩეოდა, მოუსვენარი და მუდამ თამბაქოს კვამლში იყო გახვეული. სახით იგი საოცრად წააგავდა გამოჩენილ მოჭადრაკეს ემანუილ ლასკერს.

გრიგოლ წულუკიძე ჯერ კიდევ თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციებს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების დღიდან იგი სამთო ფაკულტეტის დეკანია, 1930-50 წლებში განაგებდა სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების კათედრას. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის დიდი აღიარება იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევა (1944).

მის მოწაფეთა მეხსიერებაში გრიგოლ წულუკიძე, უპირველეს ყოვლისა, შემორჩა როგორც განსაკუთრებულად მაღალი ზნეობის ადამიანი.

შეიძლება ითქვას, რომ სამთო ფაკულტეტი დღესაც წულუკიძის ზნეობრივი პრინციპებით ცხოვრობს. სამთოელთა დიდ კოლექტივს არასოდეს უღალატია თავისი დიდი მასწავლებლის მორალური პრინციპებისათვის.

გრიგოლ წულუკიძე ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, 61 წლის ასაკში, შემოქმედებითი მოღვაწეობის ზეობისას (1950 წ). მადლიერმა მოწაფეებმა ღირსეული პატივი მიაგეს მის ხსოვნას, სამთო მექანიკის ინსტიტუტი მის სახელს ატარებს, სამთო კორპუსის ეზოს ბატონი გრიგოლის ბიუსტი ამშვენებს. მრავალჯერ მოეწყო (მრგვალ თარიღებში) მისი ხსოვნის საღამოები. ერთი ვაჟი დარჩა, ცნობილი ხელოვნებათმცოდნე ანტონ წულუკიძე, იმანაც ღირსეული მამულიშვილის გზა განვლო და 75 წლისამ დაასრულა ცხოვრება, რომელიც ია და ვარდით არ ყოფილა მოფენილი.

იოსებ კომპანიონის ლექციები, გარდა მაღალი პროფესიონალიზმისა, გამოირჩეოდა დინამიზმით და ყოველთვის საინტერესო და ხალისიანი იყო. მას აუდიტორიის სრული დამორჩილების უნარი ჰქონდა.

ბატონი იოსები გვიკითხავდა ჯერ მანქანათა ნაწილების, ხოლო შემდეგ სამთო მექანიკის კურსს. იგი იყო სამთო მექანიკის კათედრის დამაარსებელი. მის სახელთანაა დაკავშირებული ამ დარგის პირველი მეცნიერული კვლევები საქართველოში, განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება საჰაერო-საბაგირო გზების განვითარებაში. იგი ნამდვილად იყო ამ საქმის პიონერი საქართველოში.

იოსებ კომპანიონი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა სტუდენტ ახალგაზრდობაში. იგი გახლდათ მისი ნამდვილი მეგობარი, მისი ჭირისა და სიხარულის პირველი გამზიარებელი, პირუთვნელი გამკიცხავი და გულწრფელი დამფასებელი.

პირადად ჩემთვის დაუვიწყარია მისი მზრუნველობა ჩემი სტუდენტური ცხოვრების ყველაზე მძიმე დროს. მძიმე დასნეულებულს მეწვია იგი შინ, ნახევარსარდაფში მცხოვრებს, მთელი საღამო ჩემთან გაატარა, თავისი იუმორით გამახალისა, გამოჯანმრთელების იმედი ჩამინერგა და მატერიალურადაც გამიმართა ხელი. ჩემისთანები სხვებიც იყვნენ.

პროფესორი იოსებ კომპანიონი მოულოდნელად წავიდა ჩვენგან 62 წლის ასაკში (1947 წ.). ომი ახალი დამთავრებული იყო და ჯერ კიდევ ძალიან უჭირდა ჩვენს ხალხს. სტუდენტობამ თავის დიდბუნებოვან მასწავლებელს ისდა გაუკეთა, რომ გულწრფელი სიყვარულისა და ღრმა პატივისცემის ნიშნად, ხელით ატარა მისი კუბო მთელ გზაზე, რუსთაველის პროსპექტიდან ვაკის სასაფლაომდე. დაკრძალვისას გრიგოლ წულუკიძემ გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა თავის ერთგულ მეგობარს.

იოსებ კომპანიონს ერთი ქალიშვილი დარჩა – ჟანა კომპანიონი, რომელიც სამშენებლო ფაკულტეტის დოცენტი იყო ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე და წელს გარდაიცვალა. იგი საოცრად კეთილი ბუნების მანდილოსანი გახლდათ და სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ბავშვთა სახლების სამეურნეო კომისიას (ტექნიკური უნივერსიტეტის ქალთა დარბაზში).

საქართველოში უმაღლესი ტექნიკური განათლების 75 წლის საიუბილეო დღეებში საჭიროდ ჩავთვალე გამეხსენებინა დიდად ღვაწლმოსილი ეს ორი მეგობარი.

ელიზბარ ცისკარიშვილი.

„გეპეელები“ – „გეპეიზე“

ჯულიეტა ვაშაყმაძე, „მიმაჩნია, რომ გეპეიმ ანუ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ლომის წილი უნდა შეიტანოს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში, რადგან იქ იბადებიან მეტალურგები, ქიმიკოსები, მშენებლები, ავიაციის სპეციალისტები, არქიტექტორები. ამიტომ „გეპეიშნიკობა“ მომავლის მშენებელს ნიშნავს“.

* * *

ბორის სარალიძე, „ტექნიკურ უნივერსიტეტს, რომელიც ყოველთვის იყო საზოგადოებრივი წინსვლის ფლაგმანი, მადლობას ვუხდი იმისათვის, რომ მან ცხოვრების სწორი გეზი შეიმუშავა. წლეულს მას 75 წლისთავი უსრულდება. ვულოცავ ტექნიკურ უნივერსიტეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და იმედს გამოვთქვამ, რომ იგი კვლავაც გააგრძელებს თავის ღირსეულ ტრადიციებს და მომავალშიც მრავალ სასახელო, სანიმუშო მამულიშვილს აღზრდის“.

* * *

ალეკო თეთრაშვილი, „მეც ვუერთდები დიდ ზეიმს, „გეპეის“ ანუ „პა-სეანსის“ ენით გარდაქმნილ ინდუსტრიულ-პოლიტიზირებულ შემოქმედებით ინსტიტუტის 75 წლისთავის იუბილეს. ჩვენ, მისი შვილები, ყოველთვის მის გვერდით ვიდგებით“.

* * *

აბესალომ ლორია, „მე რომ დღეს დამსახურებული ხელოვანის, დამსახურებული ინჟინრისა და დამსახურებული კაცის (ჩემი გამონაგონია), ტიტულები მაქვს, სწორედ ტექნიკური უნივერსიტეტის დამსახურებაა. ჯაზის კონფერანსიედ მე მის სცენაზე ჩამოვყალიბდი. მადლობა ყველაფრისათვის“...

* * *

ანზორ შავგულიძე – „ტექნიკური უნივერსიტეტი იყო, არის და იქნება მისაბაძი უმაღლესი სკოლა. დაუშვებელია ინჟინრის ჩამოყალიბება ხელოვნების გარეშე. ეს დაამტკიცა „გეპეიმ“.

* * *

თამაზ ცინცაძე, „დიდი სიყვარულით, მოკრძალებით, მუხლმოდრეკით თაყვანსა ვცემ და ვეფერები ჩემს უტკბილეს ტექნიკურ უნივერსიტეტს, ვუსურვებ არ დაეკარგოს ჩვეული ღირსეული ტრადიციები“.

* * *

გურამ ბზვანელი – „მე თეატრალურ უნივერსიტეტში ვაბარებდი და „გეპეიში“ მოვხვდი. მისი საესტრადო კოლექტივი, კაპელა მაშინ სახელგანთქმული იყო. „გეპეი“ შემოქმედებითად დუღდა. მეც ჩამითრია ამ დუღილში. ტექნიკური უნივერსიტეტი დიდი სამჭედლოა, რომელმაც იმდენი დამსახურებული შემოქმედი მისცა კლასიკურ მუსიკასა თუ საესტრადო ჟანრს, კონსერვატორიასაც კი გაუჭირდებოდა.

„გეპეიში“ დეკანი რომ მომესალმებოდა, იცით ეს რას ნიშნავდა? მახსოვს, მექანიკურ ფაკულტეტზე ერთი ასეთი მკაცრი დეკანი ჩიხლაძე იყო, მეტსახელად „ჯაგა“ (ინდური მხატვრული ფილმის მთავარი გმირის მიხედვით). ერთხელ კონცერტზე გამოვდივარ და ვხედავ, კულისებში რაღაც ბრჭყვიალებს. დავაკვირდი, დეკანი – ჩიხლაძე ისე იღიმებოდა, რომ მისი ოქროს კბილი ჩაბნელებულ დარბაზში ანათებდა. ასეთი დარჩა ჩემთვის ტექნიკური უნივერსიტეტი, მკაცრი, მაგრამ კეთილი, შრომისმოყვარე და ხელოვანი – დღეგრძელობა ვუსურვოთ მას!“

საქართველოს რესპუბლიკა

№ 270, ხუთშაბათი, 30 ოქტომბერი, 1997 წელი.

საიუბილეოდ

გილოცავთ!

ჩვენო ძვირფასო პედაგოგებო, გილოცავთ ტექნიკური უნივერსიტეტის სახელოვან იუბილეს. ამ საიუბილეო დღეებში კიდევ ერთხელ მადლიერებით ვიხსენებთ თქვენს გვერდით გატარებულ სტუდენტობის დაუვიწყარ წლებს. თქვენი ძალისხმევით ჩამოვყალიბდით პიროვნებებად და სპეციალისტებად.

დღეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ვიღვწით. ზოგი არჩეული პროფესიის ერთგულები დავრჩით, ზოგმა ნებსით თუ უნებლიეთ სამოღვაწეოდ სხვა სფერო აირჩიეთ, მაგრამ თქვენით შთანერგილი კაიკაცობა, სითბო, სიყვარული და რწმენა დღესაც გვინათებს ცხოვრებას. ულრმესი მადლობა თქვენი უდიდესი ღვაწლისათვის.

გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და გისურვებთ, ჩვენს მშობლიურ უნივერსიტეტს შეენარჩუნებინოს თავისი საუკეთესო ტრადიციები.

სტუ ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის 1985 წლის კურსდამთავრებულები.

უნივერსიტეტის თეატრალური დასის ყველა თაობა ულოცავს ტექნიკურ უნივერსიტეტს 75 წლისთავის იუბილეს

ოცდაათი წელიწადი გავიდა, რაც უნივერსიტეტის სახალხო თეატრში მივედი. თეატრის სამყარო დღესაც ზღაპარივით ლამაზია ჩემთვის. ჩემს თეატრსაც იუბილე აქვს — 50 წელი შესრულდა. რა დიდი გზაა გავლილი, რამდენი შთამბეჭდავი გამარჯვების სიხარული შემოუნახავს მეხსიერებას.

განსაკუთრებით 1987 წელს პოლანდიაში ჩატარებული სახალხო თეატრების მსოფლიო ფესტივალი აღიბეჭდა გონებაში. ფესტივალში მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მონაწილეობდა. ჩვენ, გასაგები მიზეზების გამო, საკმაოდ შეგვიზღუდეს დასის შემადგენლობა (თითო მსახიობს ამის გამო ორი-სამი როლის შესრულება გვიწევდა), თანაც რუსულ თეატრად მოგვნათლეს. მასპინძელთაგანაც ბევრმა არც იცოდა საქართველოს არსებობა.

ჩვენ მაყურებელთა წინაშე მაინც ქართულ თეატრად წარვდექით და რ. გაბრიაძის „უცხო ჩიტი, ანუ პირველი სიყვარული“ ვითამაშეთ. ეტყობა, კარგად გამოგვივიდა, რადგან საყოველთაო ყურადღება მივიქციეთ. კორესპონდენტები დაგვესივნენ, ქუჩაში გამვლელები გვცნობდნენ. ყურებს არ დავუჯერე, როცა თარჯიმანმა რენემ ჩვენთან ორი კვირის მანძილზე ყოფნის შემდეგ, საქართველოში გამომგზავრების წინ მითხრა — სამშობლოს სიყვარული თქვენგან ვისწავლეო.

ფესტივალზე პირველი ადგილი მოგვაკუთვნეს. ეს ჩვენი უნივერსიტეტის თეატრის დიდი გამარჯვება იყო და რამდენი ასეთი გამარჯვებით იარა მან დღევანდლამდე. ვულოცავ მას 50 წლისთავს, ხოლო თეატრალური დასის ყველა თაობა თავის ხმას უერთებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ დიდ ზეიმს.

ლია ბახტურიძე,

თეატრ „მოდი-ნახეს“ მსახიობი, ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი.

ფაქტი

გაიხსნა არქიტექტურის მუზეუმი

28 ოქტომბერს ტექნიკური უნივერსიტეტის საიუბილეოდ, მის კედლებში, საქართველოს არქიტექტურის მუზეუმი გაიხსნა.

1922 წლამდე არქიტექტურულ განათლებას ქართველი ახალგაზრდები უცხოეთში იღებდნენ. ამ წელიწადს ჩვენში პირველი არქიტექტურული განათლების კერა გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის სამშენებლო განყოფილება. მალე ცალკე დაარსდა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სამხატვრო აკადემია. 1928 წლიდან კი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე შეიქმნა სამოქალაქო ხუროთმოძღვრების კათედრა. ასე დაიწყო ქვეყნის ამ უდიდეს უმაღლეს სასწავლებელში არქიტექტორთა კადრების მომზადება.

დასაბამიდან დღემდე მართლაც სახელოვანი გზაა განვლილი. ეს გზა შთამბეჭდავად ჩანს არქიტექტურის მუზეუმში, რომელიც ასე რუდუნებით, სიყვარულით შექმნეს დღეს უკვე უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტად წოდებული საგანმანათლებლო კერის ხელმძღვანელებმა პროფესორ გიორგი სალუქვაძის თაოსნობით.

მუზეუმის გახსნის საპატიო მისია წილად ხვდა გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, უხუცეს არქიტექტორს ირაკლი ციციშვილს. უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა რამაზ ხუროძემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ თუ ჩვენთან რაიმე საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მუშაობს, ეს, უპირველეს ყოვლისა, არქიტექტურის ინსტიტუტიაო.

არქიტექტურის ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი სალუქვაძემ გულწრფელი მადლობა გადაუხადა კოლეგებს, სპონსორებს, მეცენატებს, თვით სტუდენტთა კავშირსაც კი, უანგარო თანადგომისა და ფინანსურ-ნივთიერი დახმარებისათვის.

არქიტექტურის მუზეუმის კარი ყველა მსურველისთვის ღიაა.

სპარტაკ ქოჩულია.

სარედაქციო კოლეგია:

რევაზ სტურუა, ანზორ შავგულიძე, ალიკო ცინცაძე, ნოდარ მუსერიძე, შალვა ნაჭყებია, რუსუდან ლორთქიფანიძე, თემურ ჯაგოდნიშვილი (მთავარი რედაქტორი).

სიახლე

საინჟინრო გრაფიკის დეპარტამენტი

საქართველოში სივრცითი ფიგურების სიბრტყეზე ასახვის გრაფიკული მეთოდების მეცნიერული კვლევა და მიღებული შედეგების საინჟინრო-ტექნიკური კადრების მომზადების პროგრამებში შეტანა დაიწყო 1922 წელს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტი). პირველი ქართული ორიგინალური სახელმძღვანელო მხაზველობითი გეომეტრიაში ეკუთვნის ცნობილ ქართველ მეცნიერს, პროფესორ გიორგი ნიკოლაძეს (წიგნი პირველად გამოიცა 1926 წელს).

დარგის ადრე დაქსაქსული სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები 1933 წელს გაერთიანდნენ და თავი მოიყარეს ინდუსტრიულ ინსტიტუტში გახსნილ მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრაზე (გამგე, პროფესორი ა. გულისაშვილი, 1933-1962 წ. წ.). ამით, ფაქტობრივად, დამთავრდა დარგის ქართული სკოლის ჩამოყალიბების პროცესი და დაიწყო მისი შემდგომი განვითარებისა და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ აღიარების პერიოდი, რაშიც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ამ სკოლის ფუძემდებლებმა, შემდგომში სახელგანთქმულმა მეცნიერებმა არჩილ გულისაშვილმა, ეკტატე მჭედლიშვილმა, ირაკლი ჯაფარიძემ, კონსტანტინე ყიფშიძემ, გიორგი ვაჩნაძემ და სხვებმა.

1962 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრა ორად გაიყო — მხაზველობითი გეომეტრიის № 6 და საინჟინრო გრაფიკის № 39 კათედრებად. 1976 წელს განხორციელდა ამ კათედრებს შორის სასწავლო დისციპლინების ახალი განაწილება. სახელდობრ, № 6 კათედრას დაევალა მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის (ანუ მხაზველობითი გეომეტრიის ელემენტებისა და ხაზვის საფუძვლების სინთეზი), ხოლო № 39-ს — მანქანათსაშენი ხაზვის, სამშენებლო ხაზვის, ტექნიკური ხატვის კურსების სწავლება.

საინჟინრო გრაფიკის დეპარტამენტთან შექმნილია კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ლაბორატორია (დაარსდა 1982 წელს; განკუთვნილია როგორც სასწავლო, ისე მეცნიერული საქმიანობისათვის); გრაფიკული დისციპლინების მასწავლებელთა პედაგოგიური კოლეჯი (დაარსდა 1977 წელს; განკუთვნილია პედაგოგიური კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის), ელემენტარული საინჟინრო გრაფიკის კოლეჯი (დაარსდა 1977 წელს; იგი, როგორც სკოლისგარეშე მუშაობის დაწესებულება, განკუთვნილია საშუალო სკოლების მესამე საფეხურის მოსწავლეებისათვის), გამოყენებითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის სამეცნიერო-მეთოდური რესპუბლიკური სემინარი (დაარსდა 1956 წელს; განკუთვნილია სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-მეთოდური ხასიათის სამუშაოებში მიღებული შედეგების გასახილველად), პროფესორ ე. მჭედლიშვილის სახელობის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა (დაარსდა 1981 წელს; განკუთვნილია გრაფიკულ დისციპლინებში მომუშავე პედაგოგებისა და მეცნიერი მუშაკებისათვის).

საინჟინრო გრაფიკის დეპარტამენტში მთელი სასწავლო პროცესი და ყველა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო სრულდება სპეციალიზებულ აუდიტორიებში, სასწავლო კაბინეტებსა და ლაბორატორიულ ბაზებში.

ანზორ შავგულიძე,

პროფესორი.

მუსიკა

ვაჟთა სახალხო კაპელა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო და რესპუბლიკური კონკურსებისა და ფესტივალების ლაურეატი ვაჟთა სახალხო კაპელა დაარსდა 1965 წელს.

მისი პირველი ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ბატონი იუზა კუბლაშვილი გახლდათ. იგი 23 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა გუნდს (1965-1989 წ. წ.).

იუზა კუბლაშვილი ხალხური სიმღერების და კლასიკური მუსიკის სიყვარულს უნერგავდა ახალგაზრდებს და თავადაც ქართული სიმღერით ცხოვრობდა. მან თავისი ხანმოკლე სიცოცხლე სპი-ს ვაჟთა კაპელის შექმნასა და დახვეწას შეალია. სიმღერის უსაზღვრო სიყვარულმა, თავდაუზოგავმა შრომამ, საკუთარი ძალების რწმენამ იუზა კუბლაშვილს გამარჯვება, ხოლო გუნდს აღიარება მოუტანა.

აღსანიშნავია, რომ კარგი მუსიკალური ტრადიციების მქონე პირველი ვაჟთა კაპელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შეიქმნა. ეს კოლექტივი ამ სახის საგუნდო მუსიკის პირველი მესიტყვე საქართველოში.

თავიდან კოლექტივი მხოლოდ 15 მომღერალს ითვლიდა, ხოლო სულ მალე მათმა რიცხვმა 70-ს მიაღწია.

წლები წლებს მისდევდა, წარმატებებს წარმატებები მოჰყვებოდა.

გუნდი 1970 წელს გახდა საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი. კაპელის წინსვლის მოწმე და მონაწილე იყო მისი ქორმაისტერი სოსო ფალავანდიშვილი, რომელიც 1981 წლიდან მისმა ქალიშვილმა ციცინო ფალავანდიშვილმა შეცვალა, ხოლო 1989 წლიდან, იუზა კუბლაშვილის გარდაცვალების შემდეგ, იგი დღემდე სტუ-ს ვაჟთა სახალხო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი გახლავთ.

1989 წელს ვაჟთა კაპელა რიგაში გამართულ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო გუნდების კონკურსზე „რიგას გაილის“ ლაურეატი გახდა, ხალხური სიმღერის საუკეთესო შესრულებისათვის მან სპეციალური პრიზი და მაყურებელთა სიმპათიები დაიმსახურა.

1990 წელს კოლექტივი „თბილისი 90“-ის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა.

1991 წელს კი რიგაში გამართულ საერთაშორისო „რიგას გაილის“ კონკურსზე კვლავ ლაურეატობა ხვდა წილად.

თავისი არსებობის მანძილზე კოლექტივი საგასტროლოდ იმყოფებოდა გერმანიაში, პოლანდიაში, ფინეთში, ტუნისში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, რუსეთში.

სტუ-ს ვაჟთა სახალხო კაპელა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სტუდენტურ კონცერტებსა და კონკურსებში.

1997 წელს „სტუდენტური დღეები-97“ სტუ-ს ვაჟთა გუნდმა ნომინაციაში გაიმარჯვა და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

სულ ახლახანს კი, 1997 წლის აგვისტოში, კოლექტივის ფოლკლორული ჯგუფი მიწვეული იყო პოლონეთში, ქალაქებში პოზნანსა და კოლობჟეგში მსოფლიო ფოლკლორის ფესტივალზე, სადაც მთავარი პრიზი და ლაურეატობა ერგო.

სტუ-ს კაპელაში მღეროდნენ დღეს უკვე სახელგანთქმული საოპერო მომღერლები, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტები, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი თემურ გუგუშვილი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი გია ასათიანი, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი მიხეილ სილაგაძე.

დღეს გუნდი 80 სტუდენტს აერთიანებს.

იუმორი

ვინ არიან შერეკილები? — სცენაზე თუნდაც ძალით შერეკილი ხალხი

1988 წელი იდგა. სულ ახალი დადგმული გახლდათ პოლიტექნიკოსთა სცენაზე კომპოზიტორ გია მაჭარაშვილის მიუზიკლი „წითელქუდა“, ჩემი ლიბრეტოთი. ამდენად, ოჯახს მგლებზე, იხვებსა და ჯუჯებზე ლექსებით თავი მობეზრებული ჰქონდა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ საოჯახო საბჭო, სიდედრის ხელმძღვანელობით სამეცნიერო კარიერისთვის მამზადებდა. წინათ თუ სცენით ჩემს გატაცებას ასე თუ ისე ითმენდნენ, ახლა ამ „წითელქუდამ“ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა.

ბოლოს ყველაფერი ჩემი საზეიმო დაპირებით დამთავრდა. პირობა დავდე, რომ სცენისკენ არ გავიხედავდი და დისერტაციაზე მუშაობისაგან ვერ ამაგლეჯდნენ.

ამ პერიოდს დაემთხვა ქალაქის ახალგაზრდობის მაშინდელ მესვეურთა თაოსნობით უმაღლეს სასწავლებლებს შორის „მხიარულთა და საზრიანთა“ შეჯიბრებისათვის მზადება. თამამად სულ რამდენიმე დღით ადრე, საღამოს, პოლიტექნიკოს კომკავშირელთა სოლიდურ დელეგაციას ჩემი ახალი ნათესავი ლევან ლელაშვილი (ახლა „პასიანსის“ მსახიობი) შემოუძღვა სახლში: — ორ დღეში თამაში გვაქვს და უნდა გვიშველოო. ქვა ავაგდე და თავი სტუმრებს შევაშველე, მაგას ვერ ვიზამ-მეთქი. რომ არაფერი გამოვიდა, სიდედრს ვუხმე საშველად. იგი ჯერ ყურადღებით გაერკვა საქმეში, მერე მომიბრუნდა და მეუბნება:

— უხერხულია, სერიოზულ ხალხს ასეთ ელემენტარულ რამეზე უარით რომ ისტუმრებ, ამას შენგან ნამდვილად არ ველოდიო.

„ვერ შევძლებ-მეთქი“ — მინდოდა მეთქვა, მაგრამ... მეუღლე უკვე სტუმრებს აცილებდა და აიმედებდა: — ნუ დარდობთ, დაწერს, აბა რას იზამს, მე თვითონ დავადგები თავზეო...

რაღას ვიზამდი? შევუდექი საქმეს.

მეორე დღეს სცენარი ჩემს მეგობართან, პოლიტექნიკოსთა რეჟისორ ბ-ნ თ. ბეჟიტაშვილთან იდო.

სწორედ იმ ღამით დაიწერა რეპრიზები:

„ილია ჭავჭავაძე 30 ინჟინერზე ოცნებობდა. — ახლა ყოველწლიურად 30 ათასი ინჟინერი ამთავრებს პოლიტექნიკურს. საქართველო კი 30 ნამდვილ ინჟინერზე ოცნებობს“.

„ხაზვის ლექტორმა „გპის“ სტუდენტის ნამუშევარზე დაკვირვებისას წინხედის, გვერდხედისა და ზედხედის გარდა, აღმოაჩინა მეოთხე ხედი — თავხედი“.

„ჩვენი მოწინააღმდეგე სულ დორე-მი-ფა-სოლ-ლაზეა აღზრდილი“ (იმ დღეს კონსერვატორიას ვეთამაშებოდით).

ასე დაიბადა პოლიტექნიკოსთა მხიარულთა და საზრიანთა გუნდი „შერეკილი“. მან ბევრად განსაზღვრა შემდგომ საქართველოში მთელი ამ შეჯიბრების სტილი.

ისე, შერეკილების გუნდის შექმნას „გპეიში“ არაფერი უნდა, შერეკავ ოციოდე „გპელს“ სცენაზე და მშვენიერი გუნდი „შერეკილიც“ გამოვა!!!

ალიკო ცინცაძე,

ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

● სუდანის სახალხო-გამათავისუფლებელი არმიის მეამბოხე ჯარისკაცები სამხედრო წვრთნას აწყობენ ფრონტის ხაზზე. ამბოხებულებმა გაახალეს შეტევა ქვეყნის სამხრეთის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ცენტრის – ჯუბას მიმართულებით და ბრძოლა აუტეხეს მთავრობის ჯარების რაზმებს. სათმარი მოქმედების მიზანია სამხრეთელ ქრისტიანთა სრულ კონტროლს დაუქვემდებარონ სუდანის ეს ნაწილი. როგორც ცნობილია, აფრიკის ამ სახელმწიფოს მართავს სამხედრო რეჟიმი, რომელიც ისლამის მიმდევარ ჩრდილოელებს ეყრდნობა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო ომის სუდანში გარკვეულწილად რელიგიურ ნიადაგზე მიმდინარეობს.

პენკოვსკი - მოსკოვის აფეთქების გეგმის ავტორი

35 წლის წინათ საბჭოთა კავშირში ჯაშუშობისათვის დააპატიმრეს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელი პოლკოვნიკი ოლეგ პენკოვსკი, – იხსენებს გაზეთი „ტრუდი". ამერიკისა და ბრიტანეთის დაზვერვის სასარგებლოდ ორი წლის უზადო მუშაობის მანძილზე, ჯაშუშმა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას მიაყენა ზარალი, რომლის აღრიცხვა შეუძლებელია. „მან თავისი უფროსებისათვის შეიმუშავა მოსკოვის განადგურების პროექტი, სტრატეგიული წამყვანი ობიექტების ნგრევის, აგრეთვე, მთელი პარტიულ-სამთავრობო ხელმძღვანელობის ლიკვიდაციის გეგმები", – ხაზს უსვამს გაზეთი.

პრესკონფერენცია

უეფას თავკაცები თბილისში

გუშინ „მერაკონ-პალასში" წარმომადგენლობითი დელეგაციის პრესკონფერენციაზე მიგვიწვიეს.

ამჯერად ჩვენი სტუმრები უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი (შვედეთი), ვიცე-პრეზიდენტი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიუროს აღმასრულებელი დირექტორი ერნი უოლკერი (შოტლანდია) და ამავე ბიუროს მენეჯერი ერიხ ეპლე (გერმანია) იყვნენ.

შეხვედრის დასაწყისში ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის თავკაცმა განაცხადა: „მადლობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს და მის კოლეგებს გულუხვი მასპინძლობისათვის.

თბილისში მესამედ ვარ. პირველად, 1986 წელს აქედან კმაყოფილი გავემგზავრე – შვედეთის ნაკრებმა ხომ ამხანაგური მატჩი 3:1 მოუგო საბჭოთა კავშირის გუნდს. მეორე სტუმრობა 1995 წელს ტრაგიკული ფაქტით დამამახსოვრდა – საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან შეხვედრამდე ნახევარი საათით ადრე მასზე ცნობილი ტერორისტული აქტი განხორციელდა.

გუშინ პირველად შევხვდი თქვენი ქვეყნის პრეზიდენტს და მივხვდი, რომ იგი ფეხბურთის დიდი მეგობარია, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოში ფეხბურთის განვითარების ათწლიანი პროგრამა აქვს შემუშავებული. ჩვენ ეროვნული ფედერაციის გადასახადებისაგან გათავისუფლებაზეც ვისაუბრეთ. აღმოჩნდა, რომ ყველაფერი მარტო მასზე არ არის დამოკიდებული და, შესაძლოა, ეს საკითხი პარლამენტის სხდომაზე გაიტანონ განსახილველად. კიდევ ერთხელ ვაცხადებ – სფფ და მისი აღმასკომი კი არ უნდა დაინიშნონ, არამედ უნდა აირჩნენ.

მოვინახულეთ ეროვნული სტადიონი და ვთქვი, რომ პირველი ნაბიჯები მის სარეკონსტრუქციოდ წარმატებით არის გადადგმული.

ბატონმა ახალკაცმა სფფ-ს მენობამიც მიგვიწვია. მოხარული ვარ, რომ იქ მრავალი ყოფილი ფეხბურთელი მუშაობს.

დამატკბო ქართულ ვახშამზე მოსმენილმა სიმღერებმა.

დღეს დილით პატივი მხვდა წილად, გამეხსნა პროგრეს-კურსები ბავშვთა მწვრთნელებისა და პირველი ჯგუფის გუნდების მენეჯერთათვის.

ჩვენს მიზანს თბილისში ორთოპედიული ცენტრის გახსნაში დახმარებაც შეადგენს. ამ დანიშნულებით უკვე ერთი მილიონი დოლარი გამოვყავით. დილმის საწვრთნელ ბაზაზე ინვალიდების მონაწილეობით გამართულ საფეხბურთო შეხვედრას დავესწარი და მათმა სულის სიმხნევემ აღმაფრთოვანა.

ევროპაში 5-6 კლუბს ვგულშემატკივრობ და მერწმუნეთ, ერთი მათგანი თბილისის „დინამოა", რაც ნოდარ ახალკაცის დამსახურებაა. ქების სიტყვებით მსურს მოვიხსენიო საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელიც თანდათან უბრუნდება ევროპულ მწვერვალს. ფრე იტალიისა და მოგება პოლონეთის გუნდებთან მის მაღალ კლასზე მეტყველებს. შთამბეჭდავია თქვენი ახალგაზრდული ნაკრების მიერ ძლიერ შესარჩევ ჯგუფში მოპოვებული მეორე ადგილიც. ასე რომ, ქართულ ფეხბურთს დიდი მომავალი აქვს".

შემდეგ უეფას მეფმა ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხა:

„მე კარგად არ ვარ გათვითცნობიერებული რეგიონულ პრობლემებში. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ეროვნულ ფედერაციებს დახმარების სახით უკვე 25 მილიონი შვეიცარული ფრანკი გადმოვურიცხეთ. რაც შეეხება სოხუმის „ცხუმის" აღსადგენ თანხას, მისი განსაზღვრა და გამოყოფა მხოლოდ და მხოლოდ სფფ-ს პრეროგატივაა.

– სამწუხაროა, რომ სფფ და კლუბები იძულებული არიან ბილეთებს „მყვირალა" ფასი დაადონ. თქვენი მოსახლეობის საშუალო ხელფასიდან გამომდინარე, მეც ვფიქრობ, რომ ეს რაოდენობა მაღალია, მაგრამ არსებობს მიზეზები, რომელთა გამოც იგი ძალაში რჩება.

– სფფ-სა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს მორის დაპირისპირებასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ, ფიფასა და უეფას წესდებების შესაბამისად, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს სფფ-ს საქმიანობაში, რის თაობაზეც წერილობით ვაცნობე საქართველოს სახელმწიფო მინისტრს და გუშინ პრეზიდენტ შევარდნაძესაც განვუცხადე. სახელმწიფოს დახმარების უფლება აქვს, მაგრამ მის საქმეში ჩარევისა – არა.

– ფეხბურთის წესებში ცვლილებების შეტანა ფიფასა და უეფას გადასაწყვეტი არ არის. მას შესაბამისი კომიტეტი განსაზღვრავს ბრიტანელთა შემადგენლობით, რომელიც რეგულარულად იკრიბება. საერთოდ, ფრთხილნი უნდა ვიყოთ ამ დელიკატურ საკითხში, რათა თამაშის არსი არ შეიბღალოს. პირადად მე წინააღმდეგი ვარ იმ წესისა, რომლის ძალითაც მეკარეს უფლება არ აქვს ხელით აიღოს აუტიდან მოწოდებული ბურთი, მაგრამ თუ დემოკრატები ვართ, უმეტესობის აზრი უნდა გავითვალისწინოთ. ასევე არ ვეთანხმები სადავო მომენტების განსასჯელად ვიდეოაპარატურის გამოყენების მომხრეებს. გამოსავალი ცნობილია – მნიშვნელოვან მატჩებზე საუკეთესო არბიტრები დაენიშნოთ, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ მსაჯიც ადამიანია და შეცდომისაგან დაზღვეული არც ის არის.

– არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ფიფას პირველი ვიცე-პრეზიდენტი ხულიო გრონდონა ჩემი მომავალი კონკურენტია ფიფას პრეზიდენტის პოსტზე. იგი მშვენიერი პიროვნებაა, მაგრამ მისი კანდიდატურა სხვამ წამოაყენა. თუ პირადად წამოაყენებს, მივესალმები.

– ევროლიგის შექმნაზე უკვე 10 წელიწადია საუბრობენ, მაგრამ უეფას აღმასკომისთვის კონკრეტული წინადადებებით ჯერ არავის მოუმართავს. თანამედროვე ჩემპიონთა ლიგა, ვფიქრობ, უმაღლეს სტანდარტებს შეეფერება. თუ ახალ, კონკრეტულ სტრუქტურას შემოგვთავაზებენ, ყურადღებით განვიხილავთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ თექვსმეტი მარადიული, ბობოლაკლუბიანი ლიგის არსებობა ფეხბურთისთვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება.

– ბოსმანის საქმით უეფამ კი არა, მსოფლიო ფეხბურთმა წააგო. ეს ნონსენსია. კანონი, მართალია, ხანდახან პატარა ქვეყნებს კრიტიკულ სიტუაციაში აყენებს, მაგრამ მაინც უნდა დავიცვათ. ჩემი სამშობლოდან ყოველწლიურად უცხოეთის კლუბებში სათამაშოდ 15 ფეხბურთელი მიდის, მაგრამ ჩვენი კლუბი ცენტსაც ვერ იღებს. ამ ვითარების შესაცვლელად ფიფა და უეფა ვმუშაობთ. მოხარული ვიქნებით, თუ ვინმე ისეთ პროექტს შემოგვთავაზებს, რომელიც გამოსავალს გვაპოვნინებს. ვინაიდან საქართველო ეროკავშირის წევრი სახელმწიფო ჯერჯერობით არ არის, ყველა სადავო საკითხი საკუთარი წესდების შესაბამისად სფფ-მ უნდა გადაწყვიტოს!"

გია პლატონიშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის („ლელო") ფოტო.

ისრაელი კომანდოსები: ღალატი გამორიცხულია

ისრაელის არმიამ დაასრულა ლიბანის ქალაქ საიდის მახლობლად „ჰესბოლას" დაჯგუფების შტაბში კომანდოსების მარცხიანი რეიდის მიზეზების გამოძიება, იუწყება ფრანს პრესი. შეგახსენებთ, რომ 4 სექტემბერს საზღვაო ქვეითი ჯარის ელიტური ქვედანაყოფის 12 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა და ოთხი დაიჭრა. გამოძიებამ გამორიცხა ინფორმაციის გაჟონვის, აგრეთვე, ისრაელის არმიის უმაღლეს ეშელონებში უცხოელი მზვერავების ყოფნის შესაძლებლობა. სამხედროებმა დაადგინეს, რომ რეიდის დროს კომანდოსები შემთხვევით წამოეგნენ ნაღმებს, რომლებიც ანტიისრაული ექსტრემისტული დაჯგუფების შტაბბინის ირგვლივ იყო დაყენებული. რამდენადაც მრავალი წლის მანძილზე ეს ისრაელის სპეცდანაყოფის პირველი ჩავარდნა იყო, სარდლობამ გამოთქვა ეჭვი ინფორმაციის გაჟონვასთან დაკავშირებით.

ყოვლისშემძლე ჩეკაში ლენინიც ყოფილა გამოძახებული

„როსიისკიე ვესტი" განაგრძობს ლენინის საიდუმლო არქივის მასალების ბეჭდვას. როგორც გამოქვეყნებული დოკუმენტები ცხადყოფენ, საბჭოთა რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელები პირველ რევოლუციის შემდგომ წლებში გარეული აღმოჩნდნენ დიდ მაქინაციებში. „ვესტი" აქვეყნებს ჩეკაში — საგანგებო კომისიაში ლენინის დღემდე უცნობი დაკითხვის ტექსტს, რომელშიც იგი გამოდის მოწმედ საბჭოთა ხელისუფლების დიდი თანამდებობის მოხელეების მიერ სახელმწიფო ფასეულობათა მსხვილი დატაცების შესახებ.

ყურანი ტყუილად კი არ კრძალავს ღორის ჭამას

„მედიცინისათვის უცნობი დაავადების აფეთქება აღირიცხა სვერდლოვსკის ოლქის ქალაქ პერვოურალსკში, — წერს გაზეთი „ურალსკი რაბოჩი". გეოლოგიურ-საზვერი სადგურის ცენტრალური სამმართველოს სასადილოს 9 მუშაკი დაავადდა ღორის დაფეშხოებისას. სასადილოს მუშაკებს ხელებზე წყლულებმა დააყარა. „დაავადებულნი ჰოსპიტალიზებული არიან, ღორის ხორცი გამოსაკვლევად გაიგზავნა ვეტერინარიის ლაბორატორიაში", — ნათქვამია „ურალსკი რაბოჩის" პუბლიკაციაში.

მარტო ბუშ კი არა, კამბოჯელებსაც დიდი თავები ჰქონიათ

უკანასკნელი 18 წლის მანძილზე თავის პირველ ინტერვიუში წითელი ქმერების ლიდერმა 72 წლის პოლ პოტმა განაცხადა, რომ არ ნანობს ორი მილიონი თანამემამულის დაღუპვას თავისი მმართველობის დროს. როგორც პოლ პოტმა ჟურნალ „ფორ ისტერნ ეკონომიკ რევიუს" კორესპონდენტს განუცხადა, მას სინდისი სუფთა აქვს და არ ნანობს, რომ წითელი ქმერები გაახელისუფლა 1975 წელს. პოლ პოტმა აღიარა, რომ მოსდიოდა შეცდომები, მაგრამ, ამასთანავე განაცხადა, რომ წითელი ქმერების მხეცობის ბევრი დამამტკიცებელი საბუთი ხელოვნურად შეთითხნეს კამბოჯელთა ოდინდელმა დაუძინებელმა მტრებმა – ვიეტნამელებმა. პოლ პოტმა აღნიშნა, რომ პატარ-პატარა თავის ქალები, რომლებითაც სავალალოდ ცნობილი „თავისქალის მთები" იყო შექმნილი, არ შეიძლება ეკუთვნოდეთ კამბოჯელებს, რომლებსაც გაცილებით უფრო დიდი თავის ქალა აქვთ. ინტერვიუში პოლ პოტმა სთხოვა ყველას, თანაგრძნობით მოეკიდონ მის შერყეულ ჯანმრთელობას და მძიმე ბედს. როგორც ჟურნალი აღნიშნავს, პოლ პოტს, რომელმაც ორი წლის წინათ დარტყმა გადაიტანა, ნაწილობრივ დადამბლავებული აქვს სხეულის მარცხენა ნაწილი და პრაქტიკულად სარეცელს არის მიჯაჭვული თავის ქოხში კამბოჯის ჩრდილოეთის ჯუნგლში, სადაც პატიმრობაში ჰყავთ მისივე ყოფილ მომხრეებს.

● კრასნოიარსკში (რუსეთი) დაიწყო მანიაკი მკვლელის, 1973 წელს დაბადებული ვადიმ ერშოვის გასამართლება. მას ბრალი ედება 28 დანაშაულის, მათ შორის, 19 მკვლელობის ჩადენაში, რომელთაგან 17 გაუპატიურებით არის დამძიმებული. სპეციალისტთა შეფასებით, კრასნოიარსკელი მანიაკი მსხვერპლთა სიმრავლით ჩამორჩება მხოლოდ ჩიკატილოს (52 მსხვერპლი) და მიხასევიჩს (39).

ჰაკერები პენტაგონის კომპიუტერებში დანავარდობენ

აშშ ეროვნული უშიშროების სააგენტოს მონაცემების თანახმად, გასულ წელს ჰაკერებმა შეაღწიეს თავდაცვის სამინისტროს 250 კომპიუტერულ სისტემაში. წელს აღინიშნა პენტაგონის კომპიუტერულ ქსელებში შეჭრის თითქმის 500 ცდა. ეს ინფორმაცია როიტერის სააგენტომ მიიღო ეროვნული უშიშროების სააგენტოს დირექტორის კენეტ მინიხენისაგან. სუპერსაიდუმლო უწყების მეთაურს არ დაუზუსტებია, მიადგა თუ არა რაიმე ზარალი შეერთებული შტატების თავდაცვისუნარიანობას ქსელში ჰაკერების შეღწევის შედეგად. როგორც მინიხენმა თქვა, ამერიკის შეერთებული შტატები სხვა ქვეყნებზე გაცილებით უფრო მეტადაა დამოკიდებული კომპიუტერული ქსელების საიმედობაზე. მისი თქმით, ქვეყანაში არის თითქმის მილიონნახევარი ლოკალური კომპიუტერული ქსელი და ეს რიცხვი გამუდმებით იზრდება. გარდა ამისა, შტატებში თავმოყრილია ამჟამად მსოფლიოში არსებული კომპიუტერების 42 პროცენტი და „ინტერნეტის" გლობალური ქსელის რესურსების 60 პროცენტი.

რომი: აღდგება გლადიატორთა „ბრძოლები"

სულ მალე იტალიაში ჩასულ ტურისტებს შესთავაზებენ ახალ ატრაქციონს, იუწყება ბრიტანული „ტაიმსი". მილანელ ბიზნესმენთა ჯგუფს განზრახული აქვს აალორძინოს ის, რასაც ჩვენ ძველ რომს ვუწოდებთ. იტალიის დედაქალაქის ჩრდილოეთით 80 კილომეტრზე უკვე იყიდეს 360 ჰექტარი მიწა, სადაც ააშენებენ კოლიზეუმს, ფორუმს, პანთეონის, კარაკალას და დიოკლეტიანეს ფერმებს და ძველი რომის სხვა ცნობილ შენობებს. დამთვალიერებლები ნახავენ საბრძოლო ეტლების რბოლას, გლადიატორთა შერკინებებს და გარეული ცხოველებისათვის ქრისტიანთა „შეჭმევინების" სცენებს. პარკი მზად იქნება 2000 წლისათვის. აქ აიკრძალება ავტომობილები, ხოლო სატრანსპორტო საშუალებებად ნავარაუდევია გამოიყენონ საზიდრები და პალანკინები. პარკის მთელი მომსახურე პერსონალი შემოსილი იქნება ნატურალური ქსოვილებისაგან შეკერილი ტოგებით.

ნუ დადგებით დიზელის ძრავასთან: კიბოს აჩენს!

იაპონელი მეცნიერები ფილტვების კიბოს დაავადებათა ზრდას უკავშირებენ კანცეროგენს, რომელსაც შეიცავს დიზელის ძრავების გამონაბოლქვი აირები, წერს „ჩიკაგო ტრიბუნი". ტრინიტრობენზატრონის სახელით ცნობილი კომპონენტი უძლიერეს კანცეროგენად და ტოქსინად არის მიჩნეული. ლაბორატორიული თაგვების სისხლის უჯრედებზე დაყენებულმა ცდებმა ცხადყო, რომ მას შეუძლია, აგრეთვე, შეცვალოს უჯრედების ქრომოსომული სტრუქტურა. კიოტოს უნივერსიტეტის პროფესორი ჰიტომი სუძუკი დარწმუნებულია, რომ სასუნთქი გზების მეშვეობით ორგანიზმში მოხვედრილ ყველა კანცეროგენთაგან ტრინიტრობენზატრონი ყველაზე სამშიშია.

● რთულ პირობებში უწევთ სამსახური ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვარზე სამხედროებს. მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ემუქრება საფრთხე. მაგრამ, ყველაზე საშიში მტერი უხილავია — ეს არის ტიფი, მალარია, ჰეპატიტი და სხვა ინფექციური სნეულებანი. აქ სამსახურებრივმა ძაღლებმაც კი იციან, რომ შეიძლება მხოლოდ იმ წყლის დალევა, რომელსაც პატრონი მისცემს (სურათზე).

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას" მასალების მიხედვით

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

მსოფლიოს გუნდური პირველობა ჭადრაკში

ლიდერობენ ამერიკელები

გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში მეტად მკაცრი რეგლამენტით მიმდინარეობს – მონაწილეებმა ზედიზედ 9 ტური უნდა ითამაშონ შეუსვენებლად. რით არის გამოწვეული ორგანიზატორების ესოდენ უცნაური გადაწყვეტილება?

აი, რა განაცხადა ჩემპიონატის მთავარმა ორგანიზატორმა ალფრედ ბეკერმა ჟურნალ „ჩეს პლანეტის" კორესპონდენტთან საუბარში:

– ჯერ კიდევ წინა ჩემპიონატის ჩატარებისას ცხადი გახდა, რომ ძალიან ძნელია პარტიის გადადებით თამაში, ამიტომ მისთვის განკუთვნილი სამი დღე შევამცირეთ. ამას გარდა, ნაკლებად გვყავდა სპონსორები. შეჯიბრება დააფინანსეს ლიუცერნის კაზინომ და ახალმა ყოველდღიურმა გაზეთმა, შვეიცარიის ტელევიზიამ.

შეკითხვაზე, რატომ მოიწვიეს ხორვატიის ნაკრები ჩემპიონატში, ალფრედ ბეკერმა უპასუხა:

– ცენტრალურ შვეიცარიაში დაახლოებით 25 000 ადამიანი ცხოვრობს ყოფილი იუგოსლავიიდან. მათ ჭადრაკი ძალიან უყვართ.

...ამასობაში კი მსოფლიო ჩემპიონატზე გათამაშდა მეოთხე ტური. საქართველოს ქალთა ნაკრები შეხვდა აშშ ძლიერ გუნდს, რომელიც პირველი ადგილისათვის იბრძვის. მაია ჩიბურდანიძე თეთრებით ეთამაშებოდა ბორის გულკოს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონს, შემდეგ კი აშშ ასევე ორგზის ჩემპიონს. ეს შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ნანა იოსელიანი და ნინო გურიელი ამ დღეს ისვენებდნენ. ქეთევან არახამია დამარცხდა ნიკ დე ფირმიანთან, ნინო ხურციძე – კიდევ ერთ ყოფილ საბჭოთა დიდოსტატ გრიგორი კაიდანოვთან, ხოლო ნონა გაფრინდაშვილი – ლარი კრისტიანსენთან. ამრიგად, მატჩის საბოლოო ანგარიშია 3,5:0,5 ამერიკელთა სასარგებლოდ, რომლებმაც 10,5 ქულით პირველ ადგილზე გადაინაცვლეს. რუსეთის ნაკრებმა ყაიმით – 2:2 დაასრულა შეხვედრა ინგლისის გუნდთან და 9,5 ქულით მეორე ადგილზეა. ინგლისელები 9 ქულით მესამე ადგილზე არიან. სომხეთის ნაკრებმა ანგარიშით 2,5:1,5 სძლია უკრაინელებს, ხორვატებმა მოუგეს კუბელებს – 3:1, ხოლო შვეიცარიელებმა – ანგარიშით 2,5:1,5 ყაზახეთის ნაკრებს.

მორიგ მეხუთე ტურში ჩვენი ნაკრები ინგლისელებს ხვდება.

გივი თხინვალელი.

ძალოსნობა

მესამე ადგილი - არასრული გუნდით

მსოფლიოს უძლიერეს ძალოსნებს ორი დღის განმავლობაში მასპინძლობდა თურქეთის საკურორტო ქალაქი ანტალია. 11 ქვეყნის 60-მდე ძალოსანს შორის 6 ქართველი ათლეტიც გამოდიოდა ფიცარნაგზე ნაკრების მწვრთნელის ზურაბ ანთაურის ხელმძღვანელობით. ქართველი სპორტსმენები ამ საერთაშორისო ტურნირში ტრადიციულად ასპარეზობენ, პირად ჩათვლაში მედლებსაც ყოველთვის იღებენ, გუნდურ ჩათვლაში კი პირველად დაკავეს მესამე ადგილი.

ჩვენი სპორტსმენების გამგზავრება ბოლო დღემდე საეჭვო იყო, ამიტომ ჩასვლა დააგვიანდათ, დაღლილ-დაქანცულნი პირდაპირ ასაწონად გაემურნენ და მაშინვე ჩაებნენ ჭიდილში, რამაც მათს შედეგებს დიდი დააშნია.

პირველ დღეს ოთხმა ქართველმა იასპარეზა. დავით პაილიაშვილმა (70 კგ.) ორჭიდში 265 კგ. დააგროვა, ხოლო ალექსანდრე ბადალიანმა (76 კგ.) – 237 კგ. მაგრამ პირად ჩათვლაში ორივე უმედლოდ დარჩა. იმავე დღესვე მამუკა ბრეგვაძემ და გიორგი ხიზანიშვილმაც სცადეს ძალები და მეოთხე-მეხუთე ადგილებს დასჯერდნენ.

მთავარ იმედს გუნდის ხელმძღვანელები მეორე დღეზე ამყარებდნენ. ზურაბ ავთანდილაშვილმა (91 კგ.) ორჭიდში 282 კგ. აწევა და მესამე ადგილი დაიკავა. ალეკო ნოზაძე (108 კგ.) ექვსთვიანი ტრავმის შემდეგ უვარჯიშებელი გამოვიდა სარბიელზე. ამის მიუხედავად, მეორე ადგილზე გავიდა და ვერცხლის მედალი ერგო.

გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონები მასპინძლები გახდნენ 269 ქულით, ვიცე-ჩემპიონობა 207 ქულით ერაყელებს ერგოთ. ქართველები 138 ქულით მესამე ადგილს დასჯერდნენ.

ტურნირიდან დაბრუნებულმა ზურაბ ანთაურმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ შეჯიბრებაზე სრული გუნდი ვერ წაიყვანეს, რადგან ბიძინა მიქიაშვილს ტრავმა ჰქონდა, მუხრან გოგია უსახსრობამ შეაფერხა, აჭარელ იაკობ ომარაძეს საქართველოს ძალოსნობის ფედერაციამ გვიან შეატყობინა, მან კი პასპორტის აღება ვეღარ მოასწრო და შინ დარჩა, გიორგი კობალაძემ გაურკვეველი მიზეზების გამო უარი თქვა მონაწილეობაზე.

გიორგი გოლაძე.

სურათზე: მარცხნიდან დგანან: ზურაბ ავთანდილაშვილი, ზურაბ ანთაური, ზის ალეკო ნოზაძე.

კალათბურთი

თამაშს მცველიც იგებს

ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა საკალათბურთო კომპლექსში გრძელდება ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტური „ბ" ქვეჯგუფში.

გუშინდელი მატჩებიდან აღსანიშნავია თსუ-ს (მთავარი მწვრთნელი ნოდარ ქორქია) გამარჯვება ერთ-ერთ ფავორიტთან თბილისის „დინამოსთან" 89:83. სტუდენტთა წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა ტანმორჩილი გამთამაშებლის ულენტის (33 ქულა) შედეგიანმა თამაშმა. მას კარგად აუბეს მხარი ცენტრალურმა თავდამსხმელებმა ბაბიაშვილმა და ნიჟარაძემ, რომლებმაც ფარზე დაჯაბნეს მეტოქენი.

დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: რუსთავის „აზოტი" — ქუთაისის „რიონი" 101:59, ასკ — „მაკაბი" 91:75.

ყოველი მხრიდან

გინესის წიგნში

რეკორდი - 363 სანტიმეტრი

ცნობილი ამერიკული საცირკო საკალათბურთო დასი Harlem Globetrotters-ი ამჟამად ტურნეს მართავს ევროპაში. ბირმინგემში გამოსვლისას დასის ერთ-ერთმა წევრმა ფრედ სმიტმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — მან ზემოდან ჩააგდო ბურთი კალათში, რომელიც იატაკიდან 11 ფუტისა და 11 დიუმის (3 მეტრი და 63 სანტიმეტრი) სიმაღლეზე იყო მიმაგრებული. მართალია, სმიტის ტყორცნა მთლად სრულყოფილად არ ჩაითვლება, რადგან მან ბურთი კი არ ჩატენა, არამედ მიმართულება შეუცვალა რგოლის თავზე კალათისკენ. ამის მიუხედავად, მიღწევა მაინც დაფიქსირდა. ახალი რეკორდი 7 სანტიმეტრით სჯობს უწინდელს და მას გინესის რეკორდების წიგნში შეიტანენ.

საინტერესოა, რომ დასის წევრები ნოემბრის მიწურულს სანკტ-პეტერბურგში აპირებენ ჩასვლას.

მეცნიერება

ემუქრება დედამიწას კოსმოსური კატასტროფა?

რა მოხდება სინამდვილეში?

ბოლო ხანებში სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის რუსეთის პრესამ მსოფლიოს მორიგი სენსაცია აუწყა: ამერიკელი ასტრონომის მ. ლორენცის მიერ აღმოჩენილი კომეტა წლევანდელი ოქტომბრის მიწურულს შესაძლოა დედამიწას დაეჯახოს, გამოიწვიოს ჩამქრალ ვულკანთა ამოფრქვევა და დამანგრეველ მიწისძვრათა ტალღა გრანდიოზული კატასტროფის მიზეზად იქცესო. მკითხველი, რომელიც გულგრილი არ არის საკუთარი და თავისი პლანეტის ბედისადმი, შეშფოთებულია.

ეს უახლოესი სენსაციური პროგნოზი სულ რამდენიმე კვირაში შემოწმდება, ლორენცის კომეტა კი რაიმე საფრთხეს არ გვიქადის, რადგან იგი... შესაძლოა არც არსებობს!..

გავარჩიოთ.

კომეტები მზის ირგვლივ გაწელილ ორბიტებზე გარემომქცევი მცირე სხეულებია, რომლებიც მხოლოდ მზის ახლოს პერიოდული გავლისას ხდება ხილვადი, რადგან მზის გამოსხივებისა და მზიდან განუწყვეტლივ გამომდინარე ნაწილაკთა ნაკადის („მზისიერი ქარი") ზემოქმედებით მათ მანათობელი „თავები" და „კუდები" უჩნდებათ.

ეს წარმონაქმნები ძალზე გაიშვიათებული, მაგრამ, ამასთან, ძალიან დიდებია — ათეულ მლნ კილომეტრი ზომისა. ამიტომ მათგან არეკლილი მზის გამოსხივებით შეიძლება კომეტების აღმოჩენა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მზესთან მოახლოებამდე რამდენიმე წლის გზა აქვთ დარჩენილი. მაგალითად, ჰალეის კომეტა ჩვენთან გავლამდე 3 წლით ადრე, 1982 წელს იპოვეს 11-ჯერ შორ მანძილზე, ვიდრე მზეა ჩვენგან! მაშინ იგი 20 მილიონჯერ უფრო მკრთალი იყო, ვიდრე უბრალო თვალისათვის მისაწვდომი ყველაზე მკრთალი ვარსკვლავი!

სხვა კომეტებიც აღმოუჩენიათ მათი ორბიტების მორეულ წერტილებში თანავარსკვლავედების ფონზე და საიმედოდ გამოუთვლიათ კიდეც მათი მოახლოების დროც, სავარაუდო სიკაშკაშეც და მოსალოდნელი ხილული ტრაექტორიაც.

თუნდაც, ჰეილ-ბოპის კომეტა, რომელიც თითქმის მთელმა მსოფლიომ და, მათ შორის, ყველა თბილისელმა ნახა წლევანდელ გაზაფხულზე. მოულოდნელი ეს მხოლოდ არაასტრონომებისათვის იყო. ასტრონომები კი მას იცნობდნენ აღმოჩენის მომენტიდან — 1995 წლის 22 ივლისიდან და მაშინვე იწინასწარმეტყველეს, რომ იგი საუკუნის ერთ-ერთ უკაშკაშეს კომეტად მოგვევლინებოდა. პირადად მე უკვე შარშან, წლის დასაწყისში მქონდა ამოკრეფილი ასტრონომიული ჟურნალებიდან ამ კომეტის მომავალი გამოჩენის დაწვრილებითი პარამეტრები. ლორენცის კომეტაზე კი, რომლის „სტუმრობას" თითქოს უახლოეს ხანებში უნდა ველოდოთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერაც არაფერი შემხვედრია. ზემონათქვამიდან ცხადი უნდა იყოს: ასეთი კომეტა, თუ იგი არსებობს, უკვე საკმაოდ მოუახლოვდებოდა მზეს და ასტრონომების ყურადღების საგანიც გახდებოდა. იგი კი ჯერ არსად ჩანს...

რა თქმა უნდა, კომეტები ზოგჯერ ერთგვარად საშიშნიც არიან კაცობრიობისათვის, რადგან შეუძლიათ ახლოს ჩაუქროლონ დედამიწას და არც შეჯახებაა გამორიცხული. ამიტომ უნდა იცნობდეს მკითხველი მათ ზოგ პარამეტრს. უმთავრესი — მასა, ჩანს, საკმაოდ მცირეა. ეს იმიტომ, რომ ყველაზე ახლოს გავლისასაც კი ისინი დედამიწის მოძრაობაზე ვერავითარ გრავიტაციულ ზემოქმედებას ვერ ახდენენ. მაგალითად, ლექსელის კომეტა 1770 წლის 1 ივლისს დედამიწას მიუახლოვდა 2,26 მლნ კმ მანძილზე (მზეზე თითქოს 70-ჯერ უფრო ახლოს). მას რომ დედამიწისოდენი მასა ჰქონოდა, მისი მიზიდულობის შედეგად წელიწადის ხანგრძლივობა (მზის გარშემო დედამიწის შემოვლის პერიოდი) 22 საათით გაიზრდებოდა, იგი კი ერთი წამითაც არ შეიცვალა! სამაგიეროდ, დედამიწის მიზიდულობამ თვით ამ კომეტის ორბიტული პერიოდი 2,5 დღით შეამცირა. ასე დამტკიცდა, რომ ამ კომეტის მასა დედამიწისაზე სულ ცოტა 2 000-ჯერ მცირეა.

მეორე მაგალითი: ბრუკსის-2 კომეტამ 1886 წელს იუპიტერთან გაიარა 150 000 კმ. მანძილზე. ე.ი. მის თანამგზავრთა სისტემაში შეიჭრა, მაგრამ ოდნავადაც ვერ შეცვალა ვერც იუპიტერის, ვერც მისი შედარებით პატარა თანამგზავრების ორბიტები. სამაგიეროდ მისი ორბიტა საშინლად შეიცვალა და პერიოდი 29 წლიდან 7 წლამდე შემცირდა. ამ მონაცემებით, აღნიშნული კომეტის მასა 1000-ჯერ მაინც მცირეა დედამიწისაზე.

სინამდვილეში კომეტების მასა კიდევ უფრო პატარაა. ჯერ ერთი, ბევრი კომეტის ზომა 1 კილომეტრს უახლოვდება (მაგალითად, შვასმან-ვახმანის კომეტისა), რაც მათთვის დამახასიათებელი სიმკვრივის შესაბამისად, კომეტის მასისათვის დედამიწის მასაზე ათ მილიონჯერ ნაკლებ სიდიდეს იძლევა.

ასეთ მაგალითსაც მოვიტან: 1957 წელს ვირტანენის კომეტა ორად გაიხლიჩა და მისი ნაწილები ერთმანეთს დაშორდა 1,6 მ/წმ სიჩქარით. ეს კი ადამიანის სიარულის სიჩქარეა! შესადარებლად — დედამიწა რომ მისმა რაიმე ნამსხვრევმა სამუდამოდ მიატოვოს, იგი უნდა გაიტყორცნოს 11 კმ/წმ სიჩქარით, რაც სამგზავრო თვითმფრინავთა სიჩქარეზე 40-ჯერ მეტია! ამ მონაცემთა შეპირისპირებით და გრავიტაციის კანონებზე დაყრდნობით ვიღებთ, რომ აღნიშნული კომეტის მასა სულ ასი მილიარდი ტონაა, რაც დედამიწის მასის მეათმილიონედია.

ასეთი „მცირე" მასის სხეულთა შეჯახებაც, მით უმეტეს მათი კოლოსალური სიჩქარის დროს, ჩვენთვის მეტად საშიშია. ტუნგუსკის მეტეორიტს, რომელმაც ციმბირის ტაიგა შეაზანზარა, ამაზე მცირე მასა ჰქონდა. იგი ჰაერში აფეთქდა და გამაყრუებელი გრგვინვით ჩაიქროლა ცეცხლოვანი სფეროს სახით, რომლის სიკაშკაშე მზისას ჭარბობდა. გრგვინვა ისმოდა 1000 კმ. მანძილზე, წარმოქმნილმა ჰაერის დარტყმითმა ტალღამ დედამიწას რამდენჯერმე შემოურა, 500 კმ. მანძილზე ფანჯრებიდან მინები ამოცვივდა, 100 კმ. მანძილზე მყოფი ადამიანი ჰაერის ტალღას 6 მ მანძილზე გადაუგდია, საუკუნოვანი ხეები დაილეწა და ძირფესვიანად ამოითხარა 30 კმ. რადიუსით, ხოლო აფეთქებით გამოწვეული ნიადაგის რყევა სეისმურმა ხელსაწყოებმა თბილისშიც კი აღნიშნეს.

მომდევნო რამდენიმე ღამეს ევროპის ცა განათებული იყო ჰაერში გაფანტული მტვრით არეკლილი მზის სხივებით... გამოვლინდა აფეთქების მიდამოებში ბიოლოგიური სამყაროს საგრძნობი მუტაციებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე... ამ მოვლენის ამსახველი რამდენიმე ჰიპოთეზიდან ყველაზე რეალური დედამიწასთან პატარა კომეტის ბირთვის შეჯახების ჰიპოთეზა ჩანს, აფეთქების მიზეზი კი შეიძლება იყოს კომეტის კორონის წყალბადსა და ატმოსფერულ ჟანგბადს შორის რეაქციით მგრგვინავი აირის წარმოქმნა. ეს მეტეორიტი დედამიწის დასახლებულ ნაწილში რომ ჩამოვარდნილიყო, მას მილიონობით ადამიანი შეეწირებოდა.

კომეტის ვარდნას მეცნიერები უშუალოდ ახლახანს იუპიტერზე დააკვირდნენ, 1993 წელს აღმოჩენილი შუმეიკერ-ლევის დიდ კომეტას იუპიტერმა ჯერ ორბიტა შეუცვალა და მიიახლოვა, შემდეგ მოქცევითი ძალებით დაამსხვრია 20-მდე მსხვილ ნაწილად, რომლებიც 1994 წლის ივლისში ერთმანეთის მიყოლებით დაეცა პლანეტაზე უზარმაზარი სიჩქარით. ეს რომ დედამიწაზე მომხდარიყო, ცივილიზაციის განადგურების ტოლფასი იქნებოდა. ოღონდ ისიც სათქმელია, რომ სწორედ მზის სისტემის დიდი პლანეტები აკონტროლებენ კოსმოსიდან შემოჭრილ უცხო სხეულებს, მათ დაჯახებას საკუთარ თავზე იღებენ და ამით ერთგვარ გრავიტაციულ ფარს უქმნიან დედამიწას.

... და მაინც, კოსმოსური კატასტროფები დედამიწაზე არაერთხელ მომხდარა. მეტეორიტთა ვარდნას სხვადასხვა პერიოდში რამდენიმე ათეული კილომეტრის სიგანის ათეულობით კრატერი წარმოუქმნია; ცნობილია, რომ ქალაქი პრალა სწორედ კრატერზეა აგებული. 20-კილომეტრიანი კრატერი, რომელზეც ამჟამინდელი გერმანიის ქალაქი ნორდლინგენია განლაგებული, 15 მლნ წლის წინ წარმოუქმნია ჩამოვარდნილ მეტეორიტს... 65 მლნ წლის წინანდელ ეკოლოგიურ კატასტროფას — დინოზავრთა და მრავალი სხვა სახეობის გადაშენებას დაახლოებით 10 კმ-იანი ასტეროიდის ჩამოვარდნას უკავშირებენ (ადამიანები არ დაზარალდნენ, რადგან... კატასტროფიდან მხოლოდ 60 მლნ წლის მერელა წარმოიშვნენ!). ასეთი ასტეროიდები კი, როგორც მიაჩნიათ, დაახლოებით 10 მლნ წელიწადში ერთხელ ცვივიან.

ოღონდ, დაკვირვებათა სიზუსტისა და რეგულარობის ზრდამ უჩვენა, რომ ციური სხეულები დედამიწას უფრო ხშირად უახლოვდებიან, ვიდრე გვეგონა. მაგ. 1994 წლის დეკემბერში არიზონის შტატის (აშშ) ასტრონომთა მიერ აღმოჩენილმა პატარა ასტეროიდმა აღმოჩენიდან სულ 14 საათის მერე დედამიწას გაუფრინა 105 000 კმ-ზე (მთვარეზე 3-ჯერ ახლოს!). შარშან, 19 მაისს ნახევარი კმ ზომის ასტეროიდმა 72 000 კმ/სთ სიჩქარით გადაკვეთა დედამიწის ორბიტა ჩვენგან სულ 500 000 კმ მანძილზე, ერთი კვირის მერე კი, 1 კმ ზომის ასტეროიდმა ჩაიქროლა ცოტა უფრო შორს — 2 მლნ კილომეტრზე. ყველა ეს სხეული სულ რამდენიმე საათით ასცდა დედამიწას, ამასთან მანამდე უცნობი იყო, თანაც „შარშანდელ" ასტეროიდებს ძალზე დიდი ნგრევას გამოწვევა შეეძლო. გასაკვირი არ არის, რომ უკვე რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა ასტეროიდული საფრთხის პრობლემებზე და იქმნება ასტეროიდთა თვალთვალის მსოფლიო სამსახური, რათა 10-20 მლნ კილომეტრ სივრცეში ვიპოვოთ ყველა უცნობი სხეული, რომელთა ორბიტები დედამიწის ორბიტას კვეთს, რათა საჭირო შემთხვევაში სარაკეტო დარტყმებით განადგურდეს ეს სხეულები, ან შეეცვალოს ორბიტა.

ჰალეის კომეტამ, მას შემდეგ, რაც პირველად დაფიქსირდა, უკვე 30-ჯერ მოასწრო მზის სიახლოვეს გავლა. საინტერესო იყო მისი 1910 წლის გამოჩენა, როცა კომეტამ ზუსტად დედამიწასა და მზეს შორის გაიარა ჩვენგან 22 მლნ კმ-ზე, და მისი 30 მლნ კილომეტრი სიგრძის კუდი კი ზუსტად ჩვენსკენ იყო მომართული.

დედამიწას გარდაუვალად ელოდა ჰალეის კომეტის კუდში გავლა, რაც მსოფლიომ ასტრონომთაგან შეიტყო და იგი პანიკამ მოიცვა. იმარაგებდნენ ჟანგბადსა და აირწინაღებს კომეტაში შემავალი შხამიანი ციანისა და მხუთავი აირისაგან თავდასაცავად, თხრიდნენ ღრმა ორმოებს, ამზადებდნენ ცივი წყლის რეზერვუარებს (მოსალოდნელი სიცხისათვის), ბევრმა შიშით თავიც მოიკლა — ვერ შეურიგდა მსოფლიოს მოსალოდნელ აღსასრულს. კომეტამ კი მშვიდად გაიარა და, თუმცა დედამიწა მის კუდში ჩაიძირა, ქიმიკოსებმა კომეტის ვერავითარი ნივთიერება ვერ იპოვეს. არცაა გასაკვირი: დიფუზური კუდი ხომ ჰაერზე მილიონჯერ და მეტად არის გაიშვიათებული!

სულ სხვანაირად იყო საქმე ჰეილ-ბოპის კომეტის შემთხვევაში. როცა იგი „თბილისის თავზე" კაშკაშებდა, სინამდვილეში 193 მლნ კილომეტრზე ჩვენგან (!), წყნარად შემოუარა მზეს და გაემართა შორეთისაკენ, რათა ორი ათასწლეულის მერე ისევ მოგვევლინოს. ასე რომ, ყველა კომეტა როდია საშიში!

დასასრულ, ისევ ლორენცის კომეტის შესახებ. როგორც ამას წინათ წავიკითხე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომებს, საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის მონაცემთა ბაზისის საშუალებით დაუზუსტებიათ, რომ ასეთი კომეტა არც ერთ ცნობარში არ არის. შტერნბერგის სახელობის ასტრონომიის ინსტიტუტშიც დაუდასტურებიათ, რომ ამგვარი კომეტა არ გამორჩებოდა არიზონის უნივერსიტეტის ოპერატიული დაკვირვებების ობსერვატორიას და უმალვე მოხვდებოდა ინტერნეტში.

ასტეროიდულ-კომეტური საფრთხის საერთაშორისო კომისიის წევრის ლ. რიხლოვას აზრითაც, ჩვენს ეპოქაში დედამიწას კოსმოსური საფრთხე არ ემუქრება.

შალვა საბაშვილი.

გვწერენ

იქნებ გაამართლოს ბლოკთეცებმა?

დიდი დიღმის მასივი ქალაქის ერთ-ერთი მსხვილი დასახლებაა, რომელშიც 40 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. იგი თავდაპირველი ჩანაფიქრით თბილისის საუკეთესო მიკრორაიონი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარება არ მოხერხდა და ბევრი საკითხი გადაუწყვეტი დარჩა.

პრობლემების გადასაჭრელად კოლექტიური განცხადებებით მივმართეთ ქვეყნის ხელმძღვანელ ორგანოებს. მათი დავალებით თბილისის მერიამ გადაწყვეტილებაც მიიღო დიდი დიღმის დასახლებაში მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ, მაგრამ...

საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრა მას შემდეგ, რაც მიღებული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში დახმარების მიზნით, წლეულს ივლისში კოლექტიური წერილით მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტს.

განცხადებაში აღნიშნული ერთ-ერთი ძირითადი საკითხის — დასახლებაში ტროლეიბუსის ხაზის გაყვანის — გადასაწყვეტად სამუშაოები უკვე დაიწყო. საჭიროა მხოლოდ დაჩქარდეს მათი ტემპი და ცენტრალური გზიდან დიდი დიღმის მესასვლელამდე ტროლეიბუსისათვის გადასასვლელი ხიდის მშენებლობა, რათა მოძრაობა შეუფერხებელი და უსაფრთხო იყოს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ასევე ძალიან მტკივნეულია ჩვენთვის — ელექტროენერგიით მომარაგება. მით უფრო, რომ ჩვენთან გაზის კი არა, ელექტროქურებია დამონტაჟებული. ჩვენი აზრით, აქაც არის გამოსავალი.

საქმე ის გახლავთ, რომ დიდი დიღმის დასახლებას ცალკე აქვს ახალი დანადგარებით აღჭურვილი თბოქსელის საქვაბე, სადაც, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, არის მისი ბლოკთეცებად გადაკეთების შესაძლებლობა, რაც სითბური ენერგიის ელექტროენერგიად გარდაქმნის საშუალებას მოგვცემს. ბლოკთეცების მარგი ქმედების კოეფიციენტი კი საკმაოდ მაღალია და დიდი ეკონომიკური ეფექტიანობითაც ხასიათდება.

ბლოკთეცების გამოყენებით, თითქმის გათბობისთვის საჭირო დანახარჯებით, შეეძლებთ ბინების გათბობას, ელექტროენერგიითა და ცხელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფას. დანახარჯები შედარებით მალე დაიფარება.

ეს იმითაც არის საინტერესო, რომ დიდ დიღომში ბლოკთეცების მოწყობით პერსპექტივაში საფუძველი ჩაეყრება საქართველოს მასშტაბით ამ სიახლის დანერგვას, რაც საორად შეამცირებს ელექტროენერგიის დეფიციტს.

და კიდევ: დასახლებაში საცხოვრებელი კორპუსები, სამწუხაროდ, მჭიდროდ არის განლაგებული, რაც არ იძლევა სკვერებისა და პარკების მოწყობის საშუალებას. მაგრამ ჩვენთან არის ცალკე ტერიტორია, სადაც შესაძლებელია დასასვენებელი პარკის გაშენება. ამისათვის საჭიროა ფიჭვის, ნაძვისა და სხვა მცენარეთა ნერგები. თუ გამოგვიყოფენ ნერგებს, მოვაწყობთ შაბათობას, დავრგავთ, მოვუვლით და გავახარებთ მათ.

თუ ამ საკითხების გადაწყვეტაში სათანადო ხელმძღვანელი ორგანოები დაგვეხმარებიან, ყველაფერს, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, დროულად და ხარისხიანად გავაკეთებთ.

დიდი დიღმის
მოსახლეობის სახელით,
ვალერიან ადამია,
ეკონომიკის მეცნიერებათა
კანდიდატი.

გაეროს განვითარების პროგრამა

UNDP

მიმართვა
პროექტში "ცხინვალის რეგიონის რეაბილიტაცია"
სამედიცინო ტექნიკის შესყიდვაზე განაცხადის წარმოსადგენად

გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობა საქართველოში იწვევს წამყვან ფირმებს ჯანდაცვის დარგში, რათა წარმოადგინონ განაცხადები ქ. გორისა და ქ. ცხინვალის საავადმყოფოებისათვის სამედიცინო ტექნიკის შესყიდვაზე.

განაცხადების წარმოდგენის მსურველი კომპანიები მიიღებენ ტექნიკურ და ფინანსურ სპეციფიკაციებს, სამუშაოების პირობების აღწერილობას, განაცხადების წარმოსადგენად აუცილებელ ფორმებსა და ინსტრუქციებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 16.00–18.00 სთ. შემდეგ მისამართზე:

- გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს სახლი, თბილისი, ერისთავის ქუჩა 9
- პროექტის ჯგუფი, ცხინვალი, სტალინის ქუჩა 12, V სართული, ოთახი 504

ტექნიკური, ფინანსური და საკონტრაქტო სპეციფიკაციების პაკეტის მისაღებად დაწესებული 50 აშშ დოლარი არ ანაზღაურდება.

განაცხადების მიღება მთავრდება ა. წ. 7 ნოემბერს 18.00 სთ.

საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

№ 3 24. 10. 1997 წ. ქ. თბილისი

ელექტროენერგეტიკის შუალედური ლიცენზიების გაცემის ვადების გაგრძელების შესახებ

იმის გამო, რომ ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და განაწილების საწარმოთა უმრავლესობამ ვერ შეძლო, კომისიის მიერ დადგენილ ვადებში, შუალედური სალიცენზიო განაცხადის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, 1997 წლის სექტემბრის № 1 გადაწყვეტილებით დადგენილი ყველა ვადა გაგრძელდეს 40 დღით.

თავმჯდომარე ელიზბარ ერისთავი.

ავიაკომპანია
„საქართველოს ავიახაზები"
ასრულებს რეგულარულ პირდაპირ რეისებს
თბილისი - პარიზი - თბილისი
რეისები სრულდება ყოველ ოთხშაბათს

სხვა მიმართულებები:
ათენი, სალონიკი, მოსკოვი,
სანკტ-პეტერბურგი, სოჭი

ტურისტულ სააგენტოებს ვიწვევთ სათანამშრომლოდ.
ცნობებისათვის დარეკეთ 94-75-47; 94-71-80.

GEORGIAN AIRLINES
საქართველოს ავიახაზები

ჩვენი ინფორმაცია მომავლის გასაღებია



დრონი იცვლებიან
ინფორმაციის საჭიროება უცვლელი რჩება

გვისმინეთ ყოველდღე
22:00 - 23:00, 24:00 - 1:00 და 9:00 - 10:00 მოკლე ტალღებზე,
აგრეთვე, 22:00 - 23:00 საშუალო ტალღებზე
საქართველოს სახელმწიფო რადიოს მეორე არხით,
და 22:00 - 23:00 და 9:00 - 10:00
რადიო "ევრიკის" ტალღებზე - FM 100.3.

თბილისის ბიურო: 380008 თბილისი, რუსთაველის 42,
ტელეფონი/ფაქსი 92 23 68
e-mail: libertyg@access.sanet.ge

რადიო თავისუფლება
Radio Liberty

ახალი ამბები. და უფრო მეტი

ქალაქ თბილისში პრესის გავრცელების საცალო ქსელში დასაქმებულთა და კერძო რეალიზატორთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ მიმდინარე წლის 20 მაისიდან ნებადართულია „საქართველოს რესპუბლიკის" მხოლოდ იმ ეგზემპლარების გაყიდვა, რომლებზეც ამ გაზეთის გამომცემელი შპს „პრესის" სპეციალური შტამპი იქნება დარტყმული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია.

ქაღალდის
სავაჭრო ცენტრი
-ქსეროქსის (ფურ) 2,5 ათ - 4,58 ლ.
-საბეჭდი (ფურ) 200 ფურც - 1,83 ლ.
-საწერი (ფურ) 200 ფურც - 1,10 ლ.
-ოფსეტური №1(ფურ) 1ტ - 1500 ლ.
-ქრაფტი (ფურ) 1ტ - 1200 ლ.
-[illegible], ფაქსის, АЦПУ
ტელეტაიპის ქაღალდი ●
საკანცელარიო საქონლის
ფართო არჩევანი
☎ 39-84-05 38-91-64
პეიჯ. 8(77) 40-65-05

ხსოვნა

იოსებ გოდერძიშვილი



ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თიანეთის რაიონის სანეპიდსადგურის ყოფილი მთავარი ექიმი **იოსებ ხვთისოს ძე გოდერძიშვილი.**

დაიბადა 1929 წ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თიანეთის რაიონში ექიმად, სადაც მრავალი ათწლეულის მანძილზე, ზოგჯერ გაუსაძლის პირობებშიც კი, გულანთებული ემსახურა თავის პროფესიას.

პროფესიის სიყვარულმა და შეუცდომელმა ალღომ, განსაკუთრებულად გამორჩეულმა უნარმა დამსახურებული ავტორიტეტი მოუხვეჭა.

იოსებ გოდერძიშვილის შრომა, მისი ერთგულება არჩეული პროფესიისადმი, დაუფასებელი არ დარჩენილა. მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო, იყო უმაღლესი კატეგორიის ექიმი.

წავიდა ჩვენგან მრავალი ადამიანური ღირსებით შემკული პიროვნება. ყველა, ვინც იცნობდა იოსებ გოდერძიშვილს, ქედს იხრის მისი პიროვნული ღირსების წინაშე.

მისი ხსოვნა მარად იქნება სიწმინდის, ადამიანურობის და კაცთმოყვარეობის მაგალითი.

კოლეგები, ახლობლები, ნათესავები.

გამოსვენება 1 XI. 3 ს. თიანეთი, რუსთაველის ქ. № 81.

გახსენება

გურამ მარკოზია

მოულოდნელი იყო შენი ამქვეყნიდან წასვლა, **გურამ!** ვერც წარმოვიდგენდით, ასე უჩუმრად თუ მიგვატოვებდი. საბედისწერო აღმოჩნდა 21 სექტემბრის დილა შენთვის და შენი ახლობლებისათვის.

კეთილი და მართალი კაცის სახელი გქონდა. ყველას უყვარდი, ყველა გაფასებდა. დიდხანს გაგვყვება შენიანებს შენი სითბო და მზრუნველობის მადლი.

ერთი ეგ იყო, დაოჯახება დაგიგვიანდა და დათოს და ნანას ბედნიერებას ველარ მოესწარი.

უკანასკნელ გზაზეც ღირსეულად გაგაცილეს.

40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. საოცრად გვაკლიხარ, გურამ, წახვედი და გაუსაძლისი ტკივილი დაგვიტოვე.

შენი ოჯახი, ახლობლები.



დედა ნანა, მამა დავითი, და მაია, ბებია ელენე, ბაბუა კარლო მაჭარაშვილები, ბიძა თემურ მაჭარაშვილი ოჯახით, დეიდა ლია, ბიძა ალეკო გიოშვილები ოჯახით, ბიძაშვილი ოთარ ჯაფარიძე ოჯახით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

ირაკლი დავითის ძე მაჭარაშვილი

პანაშვიდი 31 X, 1 XI 3 ს. გამოსვენება 2 XI 2 ს. დიღმის მასივი, IV კვარტალი, 8 კორპუსი, I სადარბაზო, III სართული.

გამომცემლობა „მერიდიანი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კარლო და ელენე მაჭარაშვილების შვილიშვილი

ირაკლი დავითის ძე მაჭარაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ნანული ბარათაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში, ხოშარაულის 29.